დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - ქალაქ თბილისის N60 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ციალა გაგნიძე
წევრები:

მაია ლაპიაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი)

მაია ქევხიშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ციალა ჩიტია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

მარიამ მატიაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნინო ბერიშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

მაკა აფრიამაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი,, წევრი)

ილონა აკობია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

თამარი მურუსიძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

თამარ ზედგენიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი)

ნინო ვაშალომიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქალაქ თბილიისის N60 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო-სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	211351348

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი თბილისი
იურიდიული მისამართი	ალექსანდრე ყაზბეგის #39
ფაქტობრივი მისამართი	ალექსანდრე ყაზბეგის #39
საფოსტო ინდექსი	0177
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	http://tbilisi60.edu.ge/
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi60@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	2392178; 2397429

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 230001019175; 22.09.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	25 და 26 სექტემბერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N39

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N39
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი N39

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სკოლაში შესვლისთანავე იგრძობოდა კეთილგანწყობის ატმოსფერო, სკოლა საკმაოდ დატვირთული რეჟიმით მუშაობს, ორი ცვლით, სასკოლო ინფრასტუქტურა საკმაოდ მოწესრიგებულია და სამუშაოდ ყველა პირობაა შექმნილი. კათედრებთან შეხვედრებისას, წარდგენილი დოკუმენტაციის კომენტირების დროს მასწავლებლებისგან იგრძნბოდა მათი ჩართულობა პროცესებში. ვიზიტის დროს დაწესებულებაში ცხადად ჩანდა თანამშრომლობითი კულტურა, რომელიც სკოლის ძლიერი მხარეა. სკოლა დიდ ყურადღებას უთმობს არაფორმალურ განათლებას, თვითშეფასებიდანაც ჩანს, მათი მონაწილეობა სხვადსხვა კონფერენიებში, პროექტებში, რომლის საშუალებასაც დაწესებულებას სკოლაში შექმნილი კლუბები აძლევს. სკოლაშ შექმნილია: კლუბი ,,ბუნების კარი", შემოქმედებითი კლუბი, ინტელექტუალური კლუბი, რადიო კლუბი, ,კულტ-მასობრივი ღონისძიებების კლუბი",დებატების კლუბი, ,,მცირე აკადემიის კლუბი", სპორტის კლუბი.
სკოლაში. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ გამოავლინა სრული მზაობა ავტორიზაციის პროცესთან დაკავშირებით. ავტორიზაციის გუნდს სკოლასთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, სკოლის მხრიდან მაქსიმალური მხარდაჭერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჰქონდა, რომ სამუშაო პროცესი წარმართულიყო საქმეზე ორიენტირებულ გარემოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒შეესაბამება ☐მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტი 3.3	☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესების მართვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1573	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესაბამისად შეფასდა დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა; საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	
ინდიკატორი N....		.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცი
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N.3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანაგებო რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.	სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში გათვალისწინებულ ვადებში 31/10//2023-31/10/2024 უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცი

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცი
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი N.3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.	სკოლას ეძლევა რჩევა გაწეროს საშტატო და არასაშტატო განრიგით გათვალისწინებული ყველა თანამშრომლის, სკოლის ყველა სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები, დახვეწოს დოკუმენტი. (იხ. ინდიკატორის აღწერილობა)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი N.3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანაგებო რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.	სკოლას ეძლევა რჩევა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტისთან შრომითი ხელშეკრულებისგაფორმების შესახებ.
ინდიკატორი N.3.3.1.3	სკოლაში არსებობს თანამშრომლების,მოსწავლეების/მშობლების /კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილების გასაივრების, ასევე საჩივრებ განხილვის წესი.	სკოლას ეძლევა რჩევა განავრცოს განაცხდებისა და საჩივრის გასაჩივრების წესი, დააკონკრეტოს ის მუხლები, რომელიც მითითებული აქვს კანონმდებლობიდან სკოლის შინაგანაწესში და გახადოს უფრო თვალსაჩინო დაინტერესებულიპირებისთვის.
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	რჩევა
ინდიკატორი N....		.....

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლითაც იზიარებდა დასკვნის პროექტში წარმოდგენილ გარემოებებს. სკოლამ ასევე წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრული იყო ვადები და პასუხისმგებელი პირები ხარვეზის/ხარვეზების აღმოფხვრასთან დაკავშირებით.
დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ძირთადი ხარვეზების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ზემოაღნიშნული მასალები შესწავლილ იქნა ექსპერტთა მიერ და შედეგები აისახა წინამდებარე დასკვნაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია
1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ წარმოდგენილ 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სკოლის მისია. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქცენტი, რომელიც სკოლის მისიაში გვხვდება მოსწავლის, მასწავლებლისა და მშობლის თანამშრომლობით მთავარი ღირებულების -თავისუფალი ადამიანის აღზრდაა თავისუფალ გარემოში. დაწესებულება აღნიშნულის ერთ-ერთ განმახორციელებელ მიმართულებად კი არაფორმალურ განათლებას მიიჩნევს სკოლაში შექმნილია: კლუბი ,,ბუნების კარი", შემოქმედებითი კლუბი, ინტელექტუალური კლუბი, რადიო კლუბი, ,კულტ-მასობრივი ღონისძიებების კლუბი",დებატების კლუბი, ,,მცირე აკადემიის კლუბი", სპორტის

კლუბი, ხოლო სკოლის მიერ განხორციელებული სხვადასხვა სასკოლო თუ საგნობრივ ჭრილში წარმოდგენილი პროექტები, მაგალითად, სკოლის მიერ განხორციელებული სასკოლო პროექტები ,,იცოდე და დაიცავი შენი, ჩემი და მისი უფლებები", წარმოჩანენს მოსწავლეთა ავტონომიურობის მხარდაჭერის პროცესს. დაწესებულების ხედვის მთავარი პრინციპი, რომ იყოს მუდმივად განვითარებაზე ორიენტირებული, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და ინტერესებს მორგებული, შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ანალოგიურად გამოიხატება როგორც ზემოაღნიშნული ტიპის პროექტების განხორცელებაში, ასევე არაფორმალური განათლების მხარდაჭერითა და ხელშეწყობითაც.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებს და შესაბამისია ინდიკატორთან.

2. სკოლა მდებარეობს თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში, მისი როლი გარდა პრესტიჟული მდებარეობისა მნიშვნელოვანია იმ ღირებულებებით, რომლის დამკვიდრებას სკოლა ცდილობს. მაგალითად, სკოლაში აქტიური მუშაობა მიმდინარეობს კლუბების მიმართულებით და ასევე სკოლის დირექიასთან ინტერვიურების მიგნებით - სკოლის დირექიის მიერ ორგანიზდება მშობელებთან შეხვედრები, სადაც განიხილება სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებების აქცენტები. დაწესებულების დირექია ცდილობს მშობლების ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში, ხოლო სკოლის მისიით განსაზღვრული მთავარი პრინციპების განვითარება კი სკოლა მშობლის ჩართულობას მაქსიმალურად უწყობს ხელს. დაწესებულბის მიერ განხორციელებული სხვადასხვა ტიპის სასკოლო პროექტები, რომელიც საკმაოდ მოცულობითი და მრავალფეროვანია ანიჭებს უპირატესობას, მას როგორც პიროვნულ განვითარებაზე ორიენტრებულ სივრცეს. მაგალითად, ბიოლოგის კლუბის მიერ განხორელებული პროექტები, ჩატარებული კონფერენციები. სკოლას განსაზვრული აქვს საკუთარი ნიშა თემში, მას როგორ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ენდობიან, როგორ უსაფრთხო სოციო-კულტურულ სივრცეს.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა, რომლის შემადგენელი ნაწილიცაა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები კანონმდებლობის შესაბამისად, შეთანხმებულია სკოლის სამეურვეო საბჭოსთან, რომელიც თავისი შემადგენლობით უკვე წარმოდგენილია სასკოლო საზოგადების ყველა წევრისგან. ასევე სკოლამ წარმოადგინა სტრუქტურული ერთეულების სამუშაო ჯგუფის ოქმი, რომელშიც განხილულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. აღნიშნულიდან გამომდინარე სკოლის მისია, ხედვა ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით და შესაბამისია ინდიკატორთან.

4. სკოლას აქვს 8 საგნობრივი კათედრა, რომელიც აქტიურადაა ჩართული სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში და იზიარებს სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. სასკოლო სასწავლო გეგმა კი დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ (ოქმის#1). სადამრიგებლო პროგრამებში, სასკოლო პროექტბში ის აქტივობები, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დამკვიდრებას სკოლაში გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. აღნიშნულიდან გამომდინარე არამარტო კათედრებისა და სადამრიგებლო პროგრამებით გაზიარებულია სკოლის მისია ხედვა, ღირებულებები არამედ სასკოლო დონეზე დანერგილია და ჩანს კონკრეტულ აქტივოებში. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორთან შესაბამისია.

5. სკოლაში შესვლისთანავე ვხვდებით სკოლის მისია, ხედვისა და ღირებულებებს სკოლის დერეფანში. ასევე სკოლას ექსპერტთა ვიზიტის დროს უკვე ჰქონდა საკუთარი ვებ-გვერდი , სადაც სრულად დევს ინფორმაცია სკოლის შესახებ და მათ შორის სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები. სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები ხელმისაწვდომია სკოლის შენობაში სასკოლო საზოგადებისა და სკოლაში შემომსვლელი პირებითვის, ასევე სხვა დაინტერესებული პირებისთვის სკოლის ვებ-გვერდზე. აღნიშნულიან გამომდინრე ინდიკატორი შესაბამისია.

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მის საქმიანობასა და კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბერის N448 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სკოლის წესდების" მიხედვით, სკოლისსახელწოდებაა „სსიპ - ქალაქ თბილისისN60 საჯარო სკოლა" და სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და საჯარო სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა;

სკოლის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო შეხვედრის სხდომის ოქმი სკოლის მისიის, მოკლევადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმების პროექტის განხილვასთან დაკავშირებით;

2022 წლის 07 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N1 ;

სკოლის ვებ-გვერდი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 07 სექტემბრის N2 სხდომაზე დამტკიებულია სკოლის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოებისა და ჩართულ მხარეთა პრიორიტეტებსა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. მეთოდოლოგიაში აღწერილია სტატეგიული დაგეგმვის პროცესისთვის აუცილებელი ეტაპები. წარმოდგენილ მეთოდოლოგიის დოკუმემენტზე დაყრდნობით შესაძლოა ითქვას, რომ მისი დანერგვის დროს სკოლა არ აღმოჩნდება სტრატეგიულ თუ სამოქმედო გეგმებებში საზოგადოების ინტერესების დაპრიორიტეტების თუ ინტერესების გაუთვალისწინებლობის რისკების ქვეშ, რადგან აღნიშნულის ინტერესების მექნაზიმები გათვალსიწინებულია წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შესაბამისია.
2. სკოლის მიერ წარმოდგენილი 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა მოიცავს სკოლის განვითარების პრიორიტეტებს რომელიც ეხება სკოლისთვის პრიორიტეტულ საკითხებს, მაგალითად, სკოლის დოკუმენტაციის დახვეწა, მშობლებთან ინფორმიებულობის ზრდა, სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსება-გაუმჯობესების გზით, თანამშრომელთა პროფესიული განვითარება, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, ჯანმრთელობა და სოციალური განვითარების ხელშეწყობა. აღსანიშნავია, რომ დღეის მდგომარეობით, შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული პრიორიტეტული საკითხების შესრულება დაწესებულებას დაწყებული აქვს, მინიმუმ დოკუმენტების მოწესრიგებით, რაც ვიზიტის დროს გამოჩნდა კიდეც ასევე მშობელთა ჩართულობს ზრდა - გამოხატული აქვს სკოლის მისიაშიც. სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც სკოლის განვითარების შვიდწლიან სტრატეგიული გეგმის მიზნებიდან გამომდინარეობს და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შესაბამისია.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც სკოლის განვითარების შვიდწლიანი სამოქმედო გეგმის მიზნებიდან გამომდინარეობს და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. სამოქმედო გეგმაში მოცემული: ამოცანა-აქტივობა-პასუხისმგებელი პირი-ვადები- შესრულების ინდიკატორი თანხევდრაშია გაწერილია ვადებში და რეალისტურად შესრულებადია. იგი მოიცავს: სკოლის ფუნქციონირებისთვის საჭირო დოკუმენტაციის შემუშავებასა და სკოლის ორგანიზაციულ განვითარებას, სწავლა - სწავლების ხარისხის ამაღლებაზე მუდმივ ზრუნვას, მშობელთა მუდმივ ჩართულობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობას, სკოლის მმართველობაში დემოკრატიული კულტურის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამკვიდრება, ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებასა და სკოლის კომპიუტერიზაციას, სკოლის მატერიალური ბაზის სრულყოფას, განვითარებასა და აღჭურვას. ის ეფუძნება სკოლის შვიდწლიან სამოქმედო გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შესაბამისია.

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამ ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები. მოცემული: ამოცანა-აქტივობა-პასუხისმგებელი პირი-ვადები- შესრულების ინდიკატორი თანხევდრაშია გაწერილ ვადებში და რეალისტურად შესრულებადია. მაგალითად, სტრატეგიული მიზანი სასწავლო პროცესის ხარისიხის ამაღლებას პასუხობს ის ამოცანები, რომელსაც სკოლა ისახავს აღნიშნულის მისაღწევად მიზნად, გამოხატული აქტივობების სახით, თავის პასუხისმგებელი პირების, შესრულების ვადებისა თუ ინდიკატორების გათვალისიწნებით. ბუნებრივია სკოლის ცხოვრებიდან გამოდნინარე არ არის მოულოდნელი დაგეგმილი აქტივობის გადახედვა ან ვადების შევლა, თუმცა სკოლის დირექიასთან ინტერვიურებით კარგად ჩანდა, რომ სრულად გაცნობიერებული აქვს სკოლა-როგორც ცოცხალი პროცესი და რისკების მოლოდინს ადექვატურ გამოწვევად აღიქვამს. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია;

სკოლის სტრატეგიული გეგმა;

სკოლის სამოქმედო გეგმა;

სამეურვეო საბჭოს ოქმი #2

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს; მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი ყველა პროცესის თანმდევად წარმოდგენილია მონიტორინგი და შეფასება. მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის სტრატეგია. სკოლის მიერ დასახული მიზნების მონიტორინგს ახორციელებს სკოლის დირექცია. საჭიროების შემთხვევაში კი სკოლის დირექტორი განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს.სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანზიმებს და შესაბამისია ინდიკატორთან.
2. სკოლის მიერ წარმოდგენილ მეთოდოლოგიაში სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტურია სკოლის სტრატეგია, როგორც ზევით ავღიშნეთ სკოლის მიერ დასახული მიზნების მონიტორინგს ახორციელებს სკოლის დირექცია. საჭიროების შემთხვევაში, სკოლის დირექტორი განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს კომპეტენციის შესაბამისად. პასუხისმგებელი პირები შეისწავლიან საკითხს, აკვირდებიან შესრულების ინდიკატორებს და ახდენენ მათ სისტემატურ გადამოწმებას. ერთწლიან და შვიდწლიანი სამოქმედო გეგმაში აღწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგს, ახორციელებს სკოლის სამეურვეო საბჭო. სასწავლო წლის დასრულების შემდეგ უნდა შეჯამდეს სამოქმედო გეგმაში მითითებული აქტივობების შესრულება და შეფასდეს გეგმის განხორციელების შედეგები სამოქმედო გეგმით განსაზღვრული თითოეული მიმართულების მიხედვით. აღნიშნულთან დაკავშირებით, სამეურვეო საბჭოს ანგარიშს წარუდგენს სკოლის დირექტორი. იქიდან გამომდინარე, რომ სკოლა გადის პირველადი ავტორიზაციის პროცესს, სტატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის პრაქტიკაში დანერგვის შემთხვევაში სკოლაში სრულად იმუშავებს სტატეგიული თუ სამოქმედო გეგმების მონიტორინგის სისტემა და გათვალისიწნებული იქნება სასკოლო საზოგადოებისა თუ სხვა დაინტერესებული პირების უკუკავშირი. შესაბამისად ინდიკატორი შესაბამისია.
3. სკოლას აქვს ვებ-გვერდი, სადაც გამოქვეყნებულია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები. იქიდან გამომდინარე, რომ სკოლა გადის პირევლად ავტორიზაციას, აღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილი აქტივობების შედეგების ხილვის საშუალება ცოტა მოგვიანებით ექნება ფართო საზოგადოებას. შესაბამისად ინდიკატორი შესაბამისობაშია;
4. სკოლას აქვს ვებ-გვერდი, სადაც გამოქვეყნებულია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმები. იქიდან გამოდმინარე, რომ სკოლა გადის პირევლად ავტორიზაციას, აღნიშნული დოკუმენტებში გაწერილი აქტივობების შედეგების ხილვის საშუალება ცოტა მოგვიანებით ექნება ფართო საზოგადოებას. შესაბამისად ინდიკატორი შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის სტატეგიული დაგეგვის მეთოდოლოგია;
სკოლის სტატეგიული შვიდწლიანი გეგმა;
სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.
შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის საშტატო განრიგის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულია შემდეგი თანამდებობრივი პოზიციები: დირექტორი (1), დირექტორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოადგილე (2) , ბუღალტერი (1), მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი (1), საქმისმწარმოებელი (1), საინფორმაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მენეჯერი (1), ბიბლიოთეკარი (1), მასწავლებელი (85), ხოლო სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში მომუშავე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა ნუსხაში: სკოლის ექიმი (1), ფსიქოლოგი (1) , დარაჯი (4), დამლაგებელი (4), სპეციალური საგანმანათლებლო პირის ასისტენტი (19), მუშა (1), აღნიშნული პირების ფუნქციები გაწერილია დოკუმენტში „სსიპ - ქალაქ თბილისის N60 საჯარო სკოლის მართვის პრინციპებისა და სტრუქტურული ერთეულების /პირების ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნის დებულებით“ და ინდივიდუალურად გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულ თანამშრომლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ თანამდებობრივი ინსტრუქციები გაეცნო თითოეულ თანამშრომელს სკოლის საქმისმწარმოებლის მიერ, რომელსაც თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების ბრძანებით დაევალა ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა.

სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა გრაფიკული სტრუქტურა, დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით 18/04/2023 N2-127 „სსიპ - ქალაქ თბილისის N60 საჯარო სკოლის სტრუქტურული სქემის დამტკიცების შესახებ“ , რომლის მიხედვითაც სკოლაში სტრუქტურული ერთეულების სახით მოქმედებს: დირექცია, ადმინისტრაცია, სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, პედაგოგიური საბჭო, კათედრები, კლუბები, დასაქმებული პირები, მოსწავლეთათვითმმართველობა. არ არის გათვალისიწინებული მრჩეველთა საბჭო, რომელიც ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში წარმოდგენილია სტრუქტურული ერთეულის სახით.

სკოლის წარმომადგენლის ინტერვიურებით დადგინდა, რომ სტრუქტურული ერთეულები საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობენ ,,ზოგადი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისი მუხლებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და საქართველოს განათლებისა და მეცნირების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლის წესდებით''.

„სსიპ - ქალაქ თბილისის N60 საჯარო სკოლის მართვის პრინციპებისა და სტრუქტურული ერთეულების /პირების ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნის დებულებაში“ სკოლის სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალში არ არის მოსწავლეთა თვითმმართველობა, შესაბამისად აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებიც არ არის გაწერილი.

როგორც სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, კოლეგიური სტრუქტურული ერთეულები წლის დასაწყისში ადგენენ სამუშაო გეგმას, რომლის შესაბამისადაც ახორციელებენ საქმიანობას წლის განმავლობაში, იკრიბებიან და განიხილავენ დაგეგმილ და რიგგარეშე საკითხებს.. თანამდებობრივ ინსტრუქციაში გამიჯნულია მასწავლებლის ფუნქციები სტატუსების შესაბამისად. თანამდებობრივი ინსტრუქციებითა და შრომითი ხელშეკრულებებით განსაზღვრულია ქვემდებარეობის და ანგარიშვალდებულების სისტემა. იქიდან გამომდინარე, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქიები გაწერილი იყო, მაგრამ არ იკითხებოდა ყველა სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია, ექსპერტთა ჯგუფი ადგენს ინდიკატორის შესაბამისობას, მაგრამ სკოლას ეძლევა რჩევა გაწეროს საშტატო და არასაშტატო განრიგით გათვაალისიწნებული ყველა თანამშრომლის, სკოლის ყველა სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები, დახვეწოს დოკუმენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს სკოლის ყველა თანამშრომელი, რომელთა მოვალეობანი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, შრომით ხელშეკრულებებში გაწერილი ვალდებულებებით, „სსიპ - ქალაქ თბილისის N60 საჯარო სკოლის მართვის პრინციპებისა და სტრუქტურული ერთეულების /პირების ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნის დებულებით“ და შინაგანაწესით.

სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია 84 მასწავლებლის საშტატო ერთეული, სკოლაში 40 სსსმ მოსწავლეა, რომელთაც ემსახურება 4 სპეციალური მასწავლებელი. სკოლას საშტატო განრიგით გათვალისინებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტეტნტის 19 საშტატო ერთეული. ამ ეტაპზე სკოლას ემსახურება 5 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, ექვს ადგილზე გამოცხადებულია ვაკანსია teachers.gov.ge-ზე.

სკოლის ბიბლიოთეკარი დასაქმებულია დროებითი ხელშეკრულების საფუძველზე, ვაკანტური ადგილის შევსებამდე. სკოლას ჰყავს 53 კლასის დამრიგებელი.

სკოლის ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სარგებელიდან ფინანსდება სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორის პოზიცია. აღნიშნული პოზიციის შესაბამისი თანამდებობრივი ინსტრუქცია სკოლა ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების, ანგარიშვალდებულების სასკოლო პრაქტიკით სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს სკოლის საგანმანათლებლო, ფინანსური და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი და მოადგილეები, ხარისხის მართვის ჯგუფის წევრებთან ერთად პედაგოგებთან დიალოგში ადგენენ მათ პროფესიულ საჭიროებებს და ამის შესაბამისად გეგმავენ პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ტრენინგებს, სამუშაო შეხვედრებს, უზრუნველყოფენ მათ გეგმაზომიერად განხორციელებას, ზედამხედველობას უწევენ კათედრების მუშაობას.
სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებითა და სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ ისინი საქმიანობას ახორციელებენ წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად. სკოლას ჰყავს 4 დარაჯი.
სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით, ასევე სკოლის ადმინისტრაციასთან და დირექციასთან ინტერვიურებით შეიძლება ითქვას რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას და ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

„სსიპ - ქალაქ თბილისის N60 საჯარო სკოლის მართვის პრინციპებისა და სტრუქტურული ერთეულების /პირების ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნის დებულება“;

თანამდებობრივი ინსტრუქციები;

სკოლის სტრუქტურა;

შრომითი ხელშეკრულებები;

სტრუქტურული ერთეულების ოქმები და სამოქმედო გეგმები;

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის განმარტებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსის, მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დებულების, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის და სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლის მიერ ჩატარებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვნის შედეგად დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლის მიღება ხორციელდება კონკურსის გზით teacherjobs.ge-ზე გამოცხადებით. მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დებულების თანახმად, მასწავლებლის კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ქმედუნარიან პირს, რომელიც აკმაყოფილებს სპეციალურად ამავე წესით დადგენილ საკვალიფიკქციო მოთხოვნებს, 2015 წლის 1 იანვრამდე მოქმედ მასწავლებელს და 2015 წლის 1 იანვრამდე სერტიფიცირებულ პირს. ამავე წესით საკვალიფიკაციო მოთხოვნები დადგენილია ,,ზოგადი განათლების შესახებ''

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქართველოს კანონის 21^3 მუხლისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად. ვიზიტის პროცესში ექსპერტების მიერ გამოთხოვილ იქნა ბოლო პერიოდში ჩატარებული კონკურსის მასალები, რომლიდანაც დგინდება, რომ კონკურსის გამოცხადება და საკონკურსო კომისიის დაკომპლექტება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სკოლამ ასევე წარმოადგინა 2023 წლის 20 სექტემბერს სკოლის დირექტორის ბრძანების N2-446- ით დამტკიცებული დასაქმებულის სამსახურში მიღების , შვებულების ხანგრძლივობის და მიცემის წესი, რომელიც არეგულირებს როგორც მასწავლებლების, ისე სხვა პერსონალის სკოლაში მიღების წესს, თუმცა აღნიშნული წესი მოიცავს მხოლოდ მიღების რეგულაციებს და არ არის გაწერილი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი.

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო; შრომითი ურთიერთობის წარმოშობა; შრომითი ურთიერთობის პირობები; შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, საბოლოო ანგარიშსწორება; დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა; შრომის პირობებთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები; განცხადების/საჩივრის განხილვის წესი. შინაგანაწესის დებულებები შრომის კოდექსთან შესაბამისობაშია. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლამ წარმოადგინა „სსიპ - ქალაქ თბილისის N60 საჯარო სკოლის მართვის პრინციპებისა და სტრუქტურული ერთეულების /პირების ფუნქციების და საკვალიფიკაციო მოთხოვნის დებულება“ სკოლის წარმომდგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მაგალითად, სკოლაში მასწავლებლის/ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, კვალიფიციური კადრის შესარჩევად ცხადდება კონკურსი. სკოლა კონკურსის ჩატარების დროს ხელმძღვანელობს მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით. დასაქმების ვებ-გვერდზე teacherjobs.ge განთავსდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

   სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა დასაქმებულზე. მაგალითად, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში საათების გადანაწილება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებელზე, ხოლო გადანაწილების შეუძლებლობის შემთხვევაში ხდება შემცვლელ მასწავლებელთან ხელშეკრულების გაფორმება. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა და ინდიკატორი შესაბამისობაშია.

მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დებულებით დადგენილია მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლის დირექტორთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობით დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტურ საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, სკოლის დირექტორის ბრძანებით განისაზღვრება კონკრეტული ვაკანტური პოზიციისადმი წაყენებული საკონკურსო პირობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ზე. დირექტორის ბრძანებით შეიქმნა საკონკურსო კომისია, რომელიც შედგებოდა კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც სკოლის წარმომადგენლებისაგან, ასევე მოწვეული სპეციალისტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დარგობრივი დეპარტამენტების წარმომადგენლებისგან, სსიპ მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებისაგან, რესურსცენტრის წარმომადგენლისა და რაიონული ორგანიზაციის წარმომადგენლისგან. რაც შეეხება სკოლის სხვა პერსონალს, შინაგანაწესის თანახმად, მათი შერჩევა შესაძლებელია როგორც კონკურსის წესით, ასევე დირექტორის მიერ კანდიდატთან გასაუბრების გზით. პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლების პირად საქმეში არ არის განთავსებული უფლებს ჩამორთმევის შესახებ ცნობები. სკოლის დირექისათან ინტერვიურებით დადგინდა, რომ მოთხოვის შესაბამისად წარადგენენ აღნიშნული ცნობებს ახლადაყვანილი კადრები.

ყველა მასწავლებლებთან არ იყო გაფორმებული ხელშეკრულება სტატუსების მიხედვით, პირად საქმეებში უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობების არარსებობისა და შრომითი ხელშეკრულებებში დასაზუსტებელი გარემობების გამო ინდიკატორი არ იყო შესაბამისობაში, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ წარმოადგინა სტატუსების მიხედვით გაფორებული შრომითი ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რომლებშიც გათვალისწინებულია ყველა სავალდებულო მუხლობრივი ჩაშლა და დაზუსტებული გარემოებები, ასევე სკოლამ წარმოდგინა მასწავლებელთა ცნობები, უფლების ჩამორთმევის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სკოლაში დასაქმებული თანამშრომელების პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის'' თანახმად, სკოლის ექიმად მუშაობისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, სამედიცინო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი რომელიმე შემდეგ სპეციალობაში:

ა) „პედიატრია“;

ბ) „საოჯახო მედიცინა“;

გ) „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი“.

ექიმის პირადი საქმის გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში ექიმის პოზიციაზე დასაქმებულ კადრს აქვს შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განათლება და მის მიერ დაკავებული პოზიცია შეესაბამება ექიმისთვის კანონმდებლობით და სკოლის თანამდებობრივი ინსტრუქციით წაყენებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი თანამდებობრივი ინსტრუქციით საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია სკოლის დირექტორი, მოადგილის, ბუღალტრის, საინფორმაციო მენეჯერის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის, სკოლის ადმინისტრატორის, დამრიგებლის, სპეციალური მასწავლებლის, საქმისმწარმოებლის, დამლაგებლის, დარაჯის, ცეცხლფარეშის პოზიციებისთვის. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები კანონმდებლობის შესაბამისია და აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სამუშაო ჯგუფები და სტრუქტურული ერთეულები მუშაობენ გუნდურობის პრინციპით, იკრიბებიან სხდომებზე და ოქმის სახით იღებენ გადაწყვეტილებებს. საგნობრივი კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. კათედრის წევრებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, ერთობლივ პროექტებს. სკოლის პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოებს, საგნობრივ კათედრებს, მრჩეველთა საბჭოს აქვთ სასწავლო წლის დასაწყისში განსაზღვრული სამუშაო გეგმა, რომლის შესაბამისადაც იკრიბებიან და განიხილავენ საკითხებს. გადაწყვეტილებების მიღება ხდება კენჭისყრის საფუძველზე. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში ჩართულები არიან სკოლის პედაგოგები და დირექციის წარმომადგენლები.
შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობები იკრიბებიან და გუნდურად იღებენ გადაწყვეტილებებს თავმჯდომარის არჩევაზე, აქტივობების დაგეგმვაზე, კლუბების შექმნაზე, შეიმუშავებენ თვითმმართელობის ქცევის კოდექსს, ირჩევენ წარმომადგენელს დისციპლინურ კომიტეტში. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წვრები მასწავლებლებს ესწრებიან გაკვეთილებზე და აძლევენ განმავითარებელ შეფასებას და რეკომენდაციებს. სკოლის დირექტორმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ თავიანთი კოპეტენციის ფარგლებში სკოლის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული თვითშეფასების პროცესში. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, შესაბამისად, ინდიკატორი შესაბამისია.
5. სკოლის მასწავლებლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ხორციელდება წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება. სკოლამ წარმოადგინა კათედრის დებულება, რომელშიც გაწერილია პედაგოგთა შორის ურთიერთთანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარების გზები, კერძოდ, პედაგოგები გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით უკავშირდებიან და თანამშრომლობენ სხვადასხვა სკოლის პედაგოგებთან; პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, გეგმავენ და ატარებენ ურთიერთდასწრებას („კრიტიკული მეგობარი“), ინტეგრირებულ და პროქტ – გაკვეთილებს. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია წახალისების ფორმები. სკოლასთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ არსებობს წახალისების პრაქტიკა დღესასწაულთან დაკავშირებით, მოტივაციის ამაღლების მიზნით, მუშაობაში მოპოვებული წარმატებისთვის, და/ან საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:
ა) მადლობის გამოცხადება;
ბ) სიგელით დაჯილდოება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.
აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების მექანიზმი და ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი;

ღია კონკურსის ჩატარების მასალები;

მაძიებელი მასწავლებლების ხელშეკრულება და საათობრივი დატვირთვა;

შრომითი ხელშეკრულებები;

სტრუქტურული ერთეულების ოქმები;

კათედრების დებულებები;

შეფასება:
○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში, რომლის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის (ყველა) მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა, არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლების ხელშეწყობა, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა, მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასება, მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა და სხვა. დოკუმენტში გაწერილია პერსონალის შეფასების სხვადასხვა სტრატეგიები, რომელზე დაყრდნობით სკოლა ცდილობს გააუმჯობესოს საგანმანათლებლო პროცესისა თუ სასკოლო ცხოვრების ყველა ასპექტი. ასევე სკოლის შინაგანაწესი, რომლითაც განისაზღვრება დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობის გარკვეული საკითხები. შინაგანაწესი ადგენს შრომის პირობების, ზოგადი პრინციპების, დასაქმებულის შვებულების, წახალისების და დისციპლინური წარმოების დეტალებს. მისი მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა, არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლების ხელშეწყობა, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა, მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასება, მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა და სხვა. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და შემუშავებულია დებულება. ჯგუფის შექმნის მიზანია, სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა, სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება, სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება; სკოლას აქვს შემუშავებული სისტემა - დაკვირვება, შეფასება, უკუკავშირი. საჭიროებების გამოვლენით კი რეკომენდაციას აძლევს მასწავლებელს შესაბამისი აქტივობებისა და ტრენინგების დაგეგმვაში. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლას წარმოდგენილი აქვს გაკვეთილზე დასწრებისა და დაკვირვების წინასწარ შემუშავებული გრაფიკი, რომელიც იძლევა ინდივიდუალური საჭიროებების დადგენის საშუალებას, ზემოაღნიშნული სისტემის დანერგვით კი სკოლას ჩამოყალიბებული აქვს თავისი ხედვა და დამოკიდებულებები, ხოლო წარმოდგეილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით კი უფრო თანმიმდევრულს ხდის პროცესს. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად. სამუშაო პროცესზე დაკვირვების, ურთიერთდასწრებების შედეგად გამოვლენილი საჭიროებები დეტალურად განიხილება ინდივიდუალურად

მასწავლებლებთან, რომლებიც თავის მხრივ ზრუნავენ საკუთარი პროფესიული განვითარებისთვის. გარდა ამისა, სკოლის დირექციასთან ინტერევიურების მიგნებით-დირექტორის მოადგილე ადგენს და გეგმავს პროფესიული ზრდისთვის შესაბამის აქტივობებს, რომლებიც ცვალებადია თანამშრომელთა საჭიროებების გათვალისწინებით. სკოლა გეგმავს დანერგოს ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობებიც, რაც ძირითადად, გამოიხატება თემატური ტრენინგების მოძიებითა და ხელშეწყობით. გარდა ამისა, დირექტორის მოადგილე წინასწარ ადგენს საგაკვეთილო პროცესზე დასწრების განრიგს, რომლის მიხედვითაც ხორციელდება ურთიერთდასწრება. ამ დროისთვის სკოლისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება პროფესიული განვითარების კუთხით მასწავლებლებში ციფრული კომპეტენციების განვითარებაა. სკოლის მასწავლებლები ჩართულები არიან INTELI-ს და STEAM-ის პროექტებში. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ სკოლა გადის პირველადი ავტორიზაიის პროცესს და წარმოდგენილი გეგმის განხორიელება უკვე ჰქმნის შთაბეჭდილებას, საჭიროებების გამოვლენისა და გეგმის შემუშავების პროცესის შესახებ. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების ერთ-ერთი ამოცანაა ხელი შეუწყოს პერსონალის კარიერულ ზრდას. დასაქმებული თანხმობით სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომელთა მონაწილეობას პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში, სკოლის მიერ წარმოდგენილ სხვადსხვა მიმართულებებით ტრენინგებსა თუ კონფერენციებში მონაწილეობა სკოლისთვის მნიშვნელოვანი მიმართულებაა, მაგრამ უფრო მნიშვნელოვნად ალბათ მეტი შესაძლებლობების მიცემა და განვითარების მხარდაჭერაა სკოლის მხრიდან, რადგან სკოლა მზაობას გამოხატავს ნებისმიერი საქმიანობისადმი, რომელიც დაეხმარება სკოლის პერსონალს განვითარებისთვის, რაც ბუნებრივია სასკოლო გარემოს გაუმჯობესებასა და მოსწავლის აკადემიური ცოდნის ამაღლებაზე იქნება ორიენტირებული. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლის დირექციასთან ინტერვიურებით სკოლა უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან - მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის (ან ამდაგვარი ტიპის) დოკუმენტი შემუშავებული, სკოლაში ახალი თანამშრომლის ადაპტაციაზე პასუხისმგებელი პირი, პედაგოგის შემთხვევაში, არის შესაბამისი საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელი, ხოლო სხვა პერსონალზე პასუხისმგებელი პირი არის დირექტორის მოადგილე. ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაცია მოიცავს: სასკოლო საზოგადოების გაცნობას, მოვალეობებისა და უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, შენობისა და ინფრასტრუქტურის დათვალიერება-გაცნობას, პირადი საქმის შედგენას, სასკოლო დოკუმენტაციისა და სამუშაო აღწერილობის გაცნობას. აღნიშნული იძლევა ინდნიკატორთან შესაბამისობის საშუალებას.

5. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის წახალისების ფორმები და გამოყენების წესი კანონმდებლობის შესაბამიად, ასევე სკოლა მონაწილეობს სხვადასხვა ტიპის ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროექტებში, რასთანაც დაკავშირებულია პერსონალის ინიციატივები და მათი ჩართულობა პროექტებში. სკოლის მასწავლებლებთან და ადმინისტრაციასთან ინტერვიურებით კი გამოჩნდა მიგნება სკოლის დირექიის მხრიდან მათი მხარდაჭერა თუ წახალისება სხვადსახვა დროს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება;
2. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შემუშავებულია დებულება;
3. საგაკვეთილო პროცესზე დასწრების შეფასების კრიტერიუმი;
4. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შეფასების ფურცელი;
5. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი;
6. საგაკვეთილო პროცესზე დასწრების განრიგი;
7. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
8. პროფესიული განვითარების მიზნით აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც სრულად აღწერილია სასწავლო პროცესი, ასევე სკოლამ წარმოადგინა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხრადაჭერის მართვის დებულება, რომლის მიზანიც სწავლის ხარისხზე ამაღლებაზე ზრუნა, თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერაა-გამოხატულია შემდეგი პროცესებით: დაკვირვება,შეფასება, უკუკავშირი, მხარდაჭერა. ასევე კათედრის დებულება, რომლის ფარგლებშიც მოქმედი კათედრა უზრუნველყოფს პროცესუალურ მიდგომას, ეფუძნება კანონმდებლობას და დანერგვის პროცესში ასრულებს ყველა იმ ფუნქიას, რომელიც საჭიროა სისტემატიზაციისთვის. სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ამსახველი დოკუმენტები-ოქმები, ბრძანებები, ფოტომასალა. საგანმანათლებლო საქმიანობის პროცესული მიდგომა იკვეთება სკოლის მასწავლებლის ვაკანსიის გამოცხადებიდან დაწყებული კანონმდებლობის შესაბიმისად, საათობრივი ბადის, სადამრიგებლო პროგრამების თუ კათედრების მუშაობის გამართული მექანიზმების მუშაობით დასრულებული. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების დანერგვისას სკოლა აღნიშნულის პროცესულად მიყოლოს შემთხვევაში მიიღებს სისტემატიზაციას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
2. სკოლის მიერ წარმოდგენილი ყველა მარგეულირებელი დოკუმენტი: სასკოლო სასწავლო გეგმა, სტრუქტურული ერთულების საქმიანობის დოკუმენტები, სკოლის შინაგანაწესი, სამოქმედო გეგმა,სტატეგიული განვითარების გეგმა, ადამიანური რესურსების მართვის, საერთაშორისო თუ ადგილობრივ პროექტებში აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკაშირებული ყველა პროცესი და იდენტიფიცირებულია საგანამანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი თუ დამხმარე პროცესებთან. გასათვალისიწინებელია დოკუმენტებში აღწერილი პროცესები, რომელიც სხვადასხვა აქტივობებად განხორციელებული და დანერგილი აქვს სკოლას შესაბამისია ინდიკატორთან და ემსახურება საგანამანთლებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ მმართველობით, ძირითად თუ დამხმარე პროცესებს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
3. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია განცხადებისა და საჩივრის გასაჩივრების კონკრეტული მუხლი, რომელიც ექვემდებარება კანონმდებლობას. ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედის მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი. სკოლის მიერ წარმოდგენილ საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომლის მიხედვითაც, განსაზღვრულია სკოლაში დოკუმენტბრუნვის ორგანიზება. იგი ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე (მათ შორის ელექტრონულზე) და ყველა თანამშრომლისთვის ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესებს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის

შესაბამისად, სკოლას ეძლევა რჩევა განავრცოს განაცხდებისა და საჩივრის გასაჩივრების წესი, დააკონკრეტოს ის მუხლები, რომელიც მითითებული აქვს კანონმდებლობიდან სკოლის შინაგანაწესში და გახადოს უფრო თვალსაჩინო დაინტერესებული პირებისთვის.
4. სკოლის თანამშრომლების და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი დაცვა ხორციელდება სკოლის შინაგანაწესით. სკოლა მიჰყვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებულ უსაფრთხოების წესებს. სკოლას საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ შესაბამისად, შემუშავებული აქვს ბავშვის მიმართ განხორციელებული ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია. აღნიშნული ინსტრუქციის დაცვაზე პასუხისმგებელ პირებს წარმოადგენენ სკოლაში დასაქმებული მანდატურები. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვას. გამოყოფილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი და სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზმები. სკოლის საზოგადოების უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად სკოლა თავისი კომპეტენციის ფარგლებში სრულყოფილ ინფორმაციას აწვდის შესაბამის ადრესატებს, კერძოდ, სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-ის ცხელი ხაზის ნომერი - 112, უსაფრთხოებისა და 2საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის - უსაფრთხოების სპეციალისტისა და დაცვის თანამშრომლების მობილური ტელეფონის ნომერი და სხვა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სასკოლო სასწავლო გეგმა;
2.მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება;
3.მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია);
4.ვიზუალური დათვალიერება;
5. საქმისწარმოების ერთიანი წესი;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულები- სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა. აღნიშნული ორგანოების წარმომადგენლები მონაწილეობენ მართვის პროცესებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში, ასევე სკოლა მუდივ კიმუნიკაციაზეა მათთან და შეთანხმებისამებ მოქმედებს მათი უკუკავშირის მიხედვით, რაც დასტურდება შესაბამისი ოქმებით. ასევე სკოლა ერთ-ერთ საშუალებად ელექტრონულ ჟურნალს განიხილავს, უფრო მშობლებთან კომუნიკაციისა და მათგან უკუკავშირის მიხღების მიზნით. სკოლას აქვს საიტი, რომელიც მუშაობს გამართულად და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს ინფორმაციის მიღების საშუალება. სკოლის დირექიასთან ინტერვიურებით ასევე აქტიურად გამოყენება ხდება სოციალური ქსეილის მიმოწერის და უფრო მარტივ საშუალებას მიიჩნევა. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.სკოლაში, ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად წარმოდგენლია ყველა კოლეგიაური ორგანო: რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში თუ სკოლის მართვის პროცესებში ჩართულობა. კანონმდებლობით გათვლისიწინებული კოლეგიალური ორგანოების არსებობა და მათი უფლება-ვალდებულებები უზრუნველყოფს ინდიკატორის შესაბამისობას. მაგალითად, იმ შემთხვევაში როდესაც სკოლის შინაგანაწესი მტკიდება სამეურევო საბჭოს მიერ, რომელიც თავისი ფორმატით კოლეგიალური ორგანოა და შედგება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისგან უკვე უზრუნველყოფს მათ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. შესაბამისად, ინდიკატორი შესაბამისია.
.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კათედრების დებულება;
მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ ბრძანება;
ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
კათედრის დებულება.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია მოსწავლეების, თანამშრომლებისა და სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემო. სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლას ჰყავს სამი მანდატური, რომელიც უზრუნველყოფს თავის საქმინობის შესაბამისად მოსწავლეთა უსაფრთხოებას. სკოლის მიერ წარმოდგენილია სკოლის დირექტორის 2023 წლის 30 მარტის N2-101 ბრძანებით დამტკიცებული სკოლაში სამედიცინო დახმარების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევის წესსა და პროცედურებს.

სკოლას ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის ექიმი. კაბინეტი აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.
ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა აღჭურვილია ცეცხლმაქრებით და სხვა შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი.სკოლაში დირექტორის 2023 წლის 18 აპრილის N2-128 ბრძანებით დამტკიცებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა, სადაც დეტალურად გაწერილია უსაფრთხოების ნორმები.
სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია საგანგებო შტაბი, რომელსაც ევალება დაიცვას სკოლაში თანამშრომელთა და მოსწავლეთა უსაფრთხოება. ასევე, სკოლაში დირექტორის ბრძანებით არის განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში საევაკუაციო გეგმის შესაბამისად, დამონტაჟებულია ცეცხლმაქრები, სკოლაში დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო ელექტრო სისტემა.

სკოლას არ ჰქონდა:

- ✓ შენობის ექსპლუატაციის (მდგრადობის) უსაფრთხოების შესახებ დასკვნა;
- ✓ უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- ✓ დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ

ზემოაღნიშნულიდან სკოლამ მხოლოდ წარმოადგენილი ჰქონდა მიწერილობა სსიპ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში სკოლის შენობა- ნაგებობის უსაფრთხოების შესახებ დასკვნასთან დაკავშირებით, შესაბამისად, იყო მოლოდინის რეჟიმში. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს მიერ გაცემული დასკვნა, რომელითაც დგინდება, რომ შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მის მდგრადობას საფრთხე არ ემუქრება, თუმცა გაცემულია რეკომენდაციები, შენობის ხანგრძლივი, უსაფრთხო ექსპლუატაციისთვის. შესაბამისად, ინდიკატორი შესაბამისია.
ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა მიწერილობა საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების შესახებ, რომლის პასუხადაც ირკვევა, რომ არ ითანხმებდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური სკოლის მიერ წარდგენილ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა შეთანხმებული საგანგებო სიტუაიების მართვის გეგმა. შესაბამისად, ინდიკატორი შესაბამისია.
ასევე სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას წარმოადგინა მიწერილობა და სახანძრო მოწყობილობის საპროექტო დოკუმენტები, შესაბამისობის გეგმით კი სკოლა თვლის რომ 31/10//2024 წლისთვის შეძლებს აღნიშნული ხარვეზის ბოლომდე აღმოფხვრას, შესაბამისად სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმაში გათვალისწინებულ ვადებში 31/10//2023-31/10/2024 უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება.

სკოლა ვიზუალური დათვალიერებით საკმაოდ კეთილმოწყობილია. აქვს ლიფტი, რომელსაც წვდომა აქვს ყველა სართულზე, საკლასო ოთახები დიდი და ნათელია, აქვს საბუნებისმეტველო ლაბორატორია, რომელიც ასრულებს ლაბორატორიის ფუნქციას და არ არის მუდმივად კონკეტული კლასის ოთახი, აქვს ისტის კაბინეტი, სადაც გათავსებულია პერსონალური კომპუტერები-განათლების მართვის საინფორმაიო ცენტრის ქსელში ჩართულია და მუშაობს. ასევე აქვს კეთიმოწყობილი ორი სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, ყველა სართულზე სველი წერტილებ, მათ შორის ადაპტირებული, რესურსოთახი,გარე სპორტული მოედანები, ეზო. სკოლას ეძლევა რჩევა შრომის უსაფრთხოეების სპეციალისტისთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შესახებ.

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. სკოლის შენობა შემოღობილია და კეთილმოწყობილია. სასკოლო ტერიტორიაზე უსაფრთხოებას უზრუნველყოს სკოლაში დასაქმებული 4 დარაჯი და 3 მანდატური. სკოლამ წარმოადგინა რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წერიგს დაცვას, შესაბამისად ინდიკატორი შესაბამისია.

3. სკოლას ყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, პირადი ასისტენტი და ა.შ. რომლებიც უზრუნველყოფენ განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის სსსმ მოსწავლეების ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. სკოლის დამრიგებლების მიერ ხდება სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდება, რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე. იმგვარად იგეგმება აქტივობები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას. ამასთანავე, სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას ახდენს სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი და მანდატური, რომლებიც ასევე ზრუნავენ სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. სკოლას დამონტჟებული აქვს ლიფტი, რომელსა წვდომა აქვს ყველა სართულზე. ინდიკატორი შეესაბამება.

4..სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვასთან დაკავშირებით, სკოლა ხელმძღვანელობს „სკოლამდელი და ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვისა და სამუშაო რეჟიმის სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N308/ნ ბრძანების შესაბამისად. ასევე, სკოლის დირექტორის 2018 წლის 02 მარტის N2-81 ბრძანებით დამტკიცებულია სანიტარული კვანძების დასუფთავების წესები, პერიოდულობა, დასუფთავებისათვის განკუთვნილი ინვენტარისა და გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხა, ასევე განსაზღვრულია სანიტარულ კვანძებში სისუფთავის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, სკოლაში დასაქმებულნი არიან შესაბამისი პირები, კერძოდ, დამლაგებლები, ასევე, ექიმი კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს რეკომენდაციას ჰიგიენური და სანიტარული ნომრების დაცვის კუთხით. გარდა ამისა, საგაკვეთილო პროცესის დაწყებამდე ხდება საკლასო ოთახების განიავება და შესაბამისი წესით დასუფთავება. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის საზოგადოების, მოსწავლეთა, თანამშრომელთა, მშობელთა პერსონალურ მონაცემთა დაცვას ,,პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“. სკოლის მონაცემთა დაცვის მარეგულირებელი წესი და მონიტორინგის მექანიზმები აყალიბებს დასაქმებულთა/მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტრატეგიას, მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებსა და მონიტორინგის მექანიზმებს. დამუშავებას კანონის შესაბამისად. პერსონალურ მონაცემები მუშავდება როგორც ავტომატური ისე არაავტომატური საშუალებების გამოყენებით. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები“ დეტალურად განსაზღვრავს რა ტიპის მონაცემები მუშავდება, რა სახით და რა მიზნით. გარდა ამისა, სკოლის დირექტორის 2021 წლის 15 თებერვლის 2-10 ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ახორციელებს სკოლაში პერსონალური მონაცემების დაცვას. ინდიკატორი შეესაბამება.

6. სკოლა იღებს შესაბამის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ზომებს, იმ ელექტრონული თუ მატერიალური დოკუმენტების დასაცავად, სადაც ინახება მონაცემები სუბიექტების შესახებ. სკოლა და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფენ ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან, პროგრამაში (განათლების მართვის სსისტემის მიერ ლიცენზირებული) არსებული მონაცემები ხელმისაწვდომია მხოლოდ სკოლაში დასაქმებული პირებისთვის. ინდიკატორი შეესაბამება.

სკოლაში დაცულია, ინფორმაციული უსაფრთხოება, სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ტექნოლოგიურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ლაბორატორიის გამოყენების წესი, სადაც გაწერილია ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების პროცედურები. სკოლას კომპიუტერული სისტემები დაცული აქვს ანტივირუსული პროგრამებით. ინდიკატორი \სეესაბამება,.

7.იქიდან გამომდინარე, რომ სკოლა გადის პირველდი ავტორიზაციის პროცესს, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანზიმების ფუნქციონირების პერიოდული შეფასების დადგენა ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა.სამომავლოდ სკოლაში იგეგმება სწავლის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ დეტალური ანალიზის და ანგარიშის შედგენა, რაც გამოყენებულ იქნება გამოვლენილი გამოწვევებისა და სისუსტეების გაუმჯობესებისთვის. ინდიკატორი შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის დირექტორის ბრძანება საგანგებო შტაბის შექმნის შესახებ;
სკოლის დირექტორის ბრძანება სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
ვიზუალური დათვალიერება;
პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
დირექტორის ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების შესახებ;
დირექტორის ბრძანება „სანიტარულ კვანძებში სისუფთავის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“;
დირექტორის ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის N60 საჯარო სკოლის ლაბორატორიის გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ და დამტკიცებული წესი;
ბრძანება კომპიუტერულ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
N69 სკოლის 2023 წლის 08 ივნისის N660611 წერილი სსიპ ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში სკოლის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების შესახებ დასკვნასთან დაკავშირებით;
დირექტორის N2-236 ბრძანება „რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☒მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას სარგებლობაში აქვს გადაცემული 4733.00 კვ.მ. ფართი, საიდანაც შენობა-ნაგებობის საერთო ფართია 3265.12 კვ.მ. სკოლის ინფრასტრუქტურა, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, ძირითადად რეაბილიტირებულია და გამართულია. სკოლის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია ვიდეო სათვალთვალო კამერებით. სკოლა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიით და თანამედროვე რესურსებით (კერძოდ, პროექტორები). სკოლას აქვს სათანადო რაოდენობის კომპიუტერები, ასევე, გამართული აქვს საკლასო ოთახები 28 საკლასო ოთახი, სპორტული დარბაზები 2 სპორტული დარბაზი და 2 ღია სპორტული მოედანი. სრულად რეაბილიტირებულია სააქტო დარბაზი. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეების გადაადგილებისთვის საჭირო მექანიზმი (ლიფტი) . ამასთანავე, მათთვის გამოყოფილია რესურს ოთახი და შესაბამისი ადამიანური პერსონალი(ფსიქოლოგი,

სპეციალური მასწავლებლები, ასისტენტები). სკოლას ჰყავს სათანადო რაოდენობის ადამიანური რესურსი და აქვს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც დაცული წიგნადი ფონდით სარგებლობა შეუძლია, როგორც სკოლის პერსონალს, ასევე, მოსწავლეებს. ბიბლიოთეკაში სარეგისტრაციო ჟურნალს აწარმოებს ბიბლიოთეკარი. ბიბლიოთეკაში დაცულია ინვენტარიზაციის წესები. სპეციალური სარეგისტრაციო ჟურნალი არის რამდენიმე და ყველა დანომრილია, შენახულია დაკეტილ კარადაში. ჩაწერა საინვენტარო წიგნში წარმოებს გარკვეული ხელით. ბიბლიოთეკის წიგნსა და ბროშურას მიეკუთვნება საინვენტარო მორიგი ნომერი. ბიბლიოთეკას გააჩნია ელექტრო კატალოგი - Bibluicat.ge ბიბლიოთეკარის მიერ ხდება წიგნების დამატება, ძიება და მართვა. სკოლას გაიჯარებული აქვს ფართი: სკოლის კვებისთვის. სკოლას თვითშეფასების წარმოდგენის დროს გასული სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი ჰქონდა დამატებითი საგანამანათლებლო მომსახურებას მუსიკალური(ფასიანი) წრის სახით, ასევე გამოგზავნილი ჰქონდა დარბაზის გაიჯარებისთვის გამოხადებული აუქიონი, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში არ ფიქსირდება დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება, ხოლო საიჯარო ხელშეკრულება გაფორმებულია მხოლოდ შპს ,,ჯანსაღი კვება" , (იჯარის ხელშეკრულება #6) სხვა დამატებითი მომსახურების შესახებ სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაიაში არ ფიქსირდება.

2.სკოლაში, ინფრასტრუქტურა და საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია, როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისათვის. სასწავლო დროის ნებისმიერ მონაკვეთში, როგორც მოსწავლეებს, ამასთანავე მასწავლებლებს, შეუძლიათ ისარგებლონ სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიით და ბიბლიოთეკით. პედაგოგები იყენებენ სამასწავლებლოს, კომპიუტერული ლაბორატორიას, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიას და ბიბლიოთეკას საკუთარი იდეების, ინიციატივების წარმოდგენისა და რეალიზებისათვის. სასკოლო საზოგადოებას შეუძლია ისარგებლოს სააქტო და სპორტული დარბაზებით, ბიბლიოთეკითა და მისი წიგნადი ფონდით, ამასთანავე, სკოლის მატერიალური ბაზითა და გარე სპორტული მოედნებით. სკოლაში მოქმედებს როგორც კომპიუტერული ლაბორატორია, ასევე, ბიბლიოთეკა. მისით დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გამოიყენოს არსებული რესურსი. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ლაბორატორია, რომლით სარგებლობაც შეუძლიათ მოსწავლეებს დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლაში მოწყობილია რესურს-ოთახი და დამონტაჟებულია ლიფტი.

3.სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლისთვის შესაბამის გარემოს, სკოლა აღჭურვილია, ყველა იმ რესურსით, რომლასც უნდა აკმაყოფილებდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწერსებულება. საკლასო ოთახები და კაბინეტები მოწყობილია შესაბამისად. სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ტექნოლოგიების კაბინეტები, სათანადოდ მოწყობილი სპორტული და სააქტო დარბაზები. სკოლის შენობის რეაბილიტაცია მოხდა ნაწილობრივ 2018 წელს. აღნიშნული რემონტი განხორციელდა რეაბილიტაციის ფარგლებში და რემონტის პერიოდში ადაპტირდა. რაც გულისხმობს ინკლუზიური გარემოს შექმნას. სკოლას აქვს ადაპტირებლი გარემო, რესურს ოთახი, პანდუსი, ადაპტირებული საპირფარეშოები სქესის მიხედვით, ლიფტი.

4..სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას - დიდი და ნათელი საკლასო ოთახები, ნათელი დიდი დერეფანი, დიდი ეზო, სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი, კომპიუტერების კაბინეტი, ბიბლიოთეკა, საგამოფენო სივრცე და სამუშაო სივრცეები სკოლის თანამშრომლებისა და მოსწავლეებისთვის შესაძლებლობას ქმნის სკოლის ბაზაზე

განხორციელდეს მრავალფეროვანი სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები (ფეისბუქ გვერდიდან და ფოტო მასალიდანაც ჩანს რომ სკოლაში მრავალფეროვანი აქტივობები და ღონისძიებები ტარდება).

5..სკოლის სასწავლო და მატერიალური ბაზა (ტექნიკური აღჭურვილობა, სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მასალის რაოდენობა) და ხარისხი შეესაბამება მოსწავლეთა საჭიროებებს სხვადასხვა საგნობრივი პროგრამების ასათვისებლად, ხელმისაწვდომია მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის, გამოიყენება მოსწავლეების ასაკობრივი ჯგუფის და მათი განვითარების დონის შესაბამისად. სახელმძღვანელოების და ელექტრონული სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება ყოველწლიურად. ამ პროცესში ჩართულია საგნობრივი კათედრები, მასწავლებლები, ბიბლიოთეკარი, დირექტორი. რესურსები შეირჩევა ხდება პროგრამის საჭიროებებიდან გამომდინარე. ყველა მოსწავლეს და მასწავლებელს აქვს თანაბარი წვდომა შერჩეულ რესურსებზე. ყველა სახელმძღვანელო, როგორც ძირითადი ისე დამატებითი არის ბიბლიოთეკაში და ხელმისაწვდომია ყველასთვის. ბიბლიოთეკაში მოცემულია როგორც ბეჭდური, ასევე ციფრული რესურსები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შესყიდვის დოკუმენტაცია;
ბიბლიოთეკის დებულება;
ვიზუალური დათვალიერება,
სპეციალური მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება;
სსსმ მოსწავლის ინდივიდუალური ასისტენტის შრომითი ხელშეკრულება;
კომპიუტერების, წიგნადი ფონდის, პროექტორების, ლეპტოპების, კამერების, შესყიდვის დოკუმენტაცია

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. კერძოდ, სკოლას აქვს 20 ლეპტოპი, 50 კომპიუტერი, 12 პროექტორები და 10 პრინტერი. სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით. სკოლის მოსწავლეები, მასწავლებლები და სხვა თანამშრომლები საჭიროების დროს სარგებლობენ აღნიშნული ტექნოლოგიებით. მასწავლებლების, მოსწავლეების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. სკოლაში არის მუდმივი ინტერნეტ კავშირი.

2..სკოლას მთლიანად ფარავს მუდმივი ინტერნეტ კავშირი. ინტერნეტ კავშირის ხარვეზით მიწოდების შემთხვევაში, მიმართავენ ცხელ ხაზს. სკოლის კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობა ხელმისაწვდომია პერსონალისთვისაც და მოსწავლეთათვისაც. სკოლას ჰყავს კომპიუტერულ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი, აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლის მიზანიც სკოლაში არსებული მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა, წესში გაწერილია ყველა მატერიალური რესურსით სარგებლობის წესები, მათ შორის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი. ინდიკატორი შესაბამისობაშია, რადგან მოსწავლლებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომობის შეფასების შესაძლებლობა მიეცა ექსპერტთა ჯგუფს ვიზუალური დათვალიერების დროსაც.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კომპიუტერულ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
ვიდეო კამერების, კომპიუტერების, პროექტორის შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის დამტკიცების 2023 წლის 29.03 ბრძანება N2-100;
სსიპ-ქალაქ თბილისის N60 საჯარო სკოლის ტექნოლოგიური განვითარების დებულება

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა ,,საქმისწარმოების წესი", რომელიც ადგენს ერთიან მოთხოვნებს დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და მათი შენახვის წესთან დაკავშირებით. სკოლაში იწარმოება ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი და შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. გარდა ამისა, სკოლა იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემას "eflow"-სა და Eschool-ის ბაზებს. სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადითა და წესით ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები.
2.სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. საქმისწარმოებათან დაკავშირებით, სკოლა იყენებს E-flow სისტემას, სადაც ტარდება ყველა კორესპონდენცია, ბრძანებები, წერილები, განცხადებები, სამსახურებრივი ბარათები. სკოლას აქვს ვებ-გვერდი - http://tbilisi60.edu.ge/. სკოლა სარგებლობს სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემით (ESCHOOL), რომელშიც დაცულია მოსწავლეთა და თანამშრომლების პერსონალური ინფორმაცია და ბაზები.

3.ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი. Eschool-ის ბაზაში სრულადაა ასახული სკოლის პერსონალისა და მოსწავლეების, კლასების, მობილობისა და სხვა მონაცემები.

4..სკოლა თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან, კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში აწვდის საჭირო ინფორმაციას, უკუკავშირს და ანგარიშებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საქმისწარმოების ერთიანი წესი;
სარეგისტრაციო ჟურნალის ვიზუალური დათვალიერება;
Eflow, Eschool;
ვებ-გვერდი - http://tbilisi60.edu.ge/
ფინანსური საქმიანობის ანგარიში;
სასწავლო პროცესის ანგარიში;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაის სტრატეგია),რომლის მიზანიც მშობლებთან ურთიერთობის ფორმებისა და პრინციპების განსაზღვრაა, სტატეგიაში დეტალურად წარმოდგენილია მშობლისა თუ სკოლის უფლება-ვალდებულებები, დაწესებულება ინფორმაციის გამზიარრებლად კი ერთის მხრივ დამრიგებლებს, მეორეს მხრივ კი სკოლის სოციალურ ქსელსა და ვებ-გვერდს მიინევს. ასევე სკოლას აქვს საინფორმაიო დაფა, რომელსაც ის იყენებს აქტიურად. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სკოლა უზრუნველყოფს თავისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.სკოლას აქვს აქტიური სოციალური ქსელი და სკოლის ვებ-გვერდი, რომელიც იხვეწება და თავსდება ინფორმაცია დაწესებულების საქმანობის შესახებ.

3 სკოლის დირექციამ გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ხშირად ხვდება მშობლებსა და მოსწავლეებს (მშობელთა კრებებზე, ინდივიდუალურ შეხვედრებზე ...) და იღებს მათგან უკუკავშირს. მიღებულ უკუკავშირს ითვალისწინებს სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების უზრუნველსაყოფად. ასევე დიდ ყურადღებას უთმობს სოციალური ქსელი მართვას და აღნიშნულ პლატფორმაზე მიღებულ უკუკავშირს. სკოლა აქვს კომუნიკაცია საზოგადოებასთან და მის უკუკავშირს იყენებს საქმიანობის გასაუმჯობესებლად, იქიდან გამომდინარე, რომ სკოლა გადის პირველადი ავტორიზაციის პროესს, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ უკუკავშირისა და მისი შედეგების გათვალსიწინების მოლოდინები მომდევნო ხანებში უნდა გვქონდეს, რადგან სკოლა ახლა აყალიბებს იმ სისტემურ ცვლილებებს, რომელიც ექსპერტთა ჯგუფს დოკუმენტების სახით დაგვახვედრა. შესაბამისად ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4..სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

5..ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია მოიავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, სტრუქტურას. პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები და ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნებს, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისებს, გასაჩივრების მექანიზმებს, საკონტაქტო ინფორმაციას. იქიდან გამომდინარე , რომ სკოლა გადის პირველადი ავტორიზაციის პროცესს შესრულების შედეგების ხილვის საშუალება ცოტა მოგვიანებით ექნება ფართო საზოგადოებას.
ვებ-გვერდი დახვეწის პროცესშია და ემატება სხვადსახვა ტიპის ინფორმაციები. შესაბამისად ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სოციალური ქსელი
მშობელთან კომუნიკაციის სტრატეგია
მშობელთა კრების სხდომის ოქმი

სკოლის ვებ-გვერდი.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს ოქმი, რომლითაც დამტკიცებულია სკოლის ბიუჯეტი, მიმდმიანრე წლის შესყიდვების გეგმა და სკოლის ბიუჯეტი. სამოქმედო გეგმის შესყიდვების ნაწილი შედგენილია სკოლის ფინანსების გათვალისწინებით იმგვარად, რომ სკოლის მოწყობისათვის, სასწავლო რესურსებისა თუ სასწავლო პროცესის ხელშეწყობისათვის გამოყოფილი თანხები პრიორიტეტების მიხედვითაა განაწილებული. ბიუჯეტის დამტკიცება ხორციელდება კანონის შესაბამისად - მის შედგენაში სასკოლო საზოგადოებაა ჩართული. ამასთან ბიუჯეტირების პროცესი დინამიურია და საჭიროებიდან გამომდინარე ცვლილებების შეტანაც შესაძლებელია. ბიუჯეტი შეესაბამება წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმას და შესაბამისია ინდიკატორთან.

2.სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის და მონიტორინგის) სისტემა. ბიუჯეტი დგება კონკრეტული საფუძვლებისა და გაანგარიშების შესაბამისად. სკოლა ყოველწლიურად ადგენს საკუთარ ფინანსურ ანგარიშს. ბიუჯეტში ცვლილებების წესი და პროცედურები განსაზღვრულია კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად.სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად აორგანიზებს შეხვედრები სამეურვეო საბჭოსთან, .ტარდება საბაზრო კვლევა თითოეულ საქონელზე ხოლო წლის ბოლოს დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურადაა აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსები. სკოლას ჰყავს ბუღალტერი, რომელიც ფინანსების გათვალისწინებით შეიმუშავებს ბიუჯეტს დირექტორთან ერთად და დაამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სამეურვეო საბჭოს ოქმი;

ბიუჯეტის დამტკიცების დოკუმენტი

შესყიდვების წლიური გეგმა და დამტკიცების დოკუმენტაცია
ფინანსური საქმიანობის ანგარიში
2023 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს მოსწავლის კანონით გათვალსიწინებული უფლებების დაცვასა და შესაბამისი გარანტიებს. შინაგანაწესში კანონმდებლობის შესაბამიად გაწერილია დისციპლინური გადაცდომა და პასუხისმგებლობის სახეები, მოსწავლეთა მიმართ დისცილინური წარმოების წესი, მოსწავლეთა წახალისებისა და გამოყენების ფორმები, აქვე შინაგანაწესში ვხვდებით სკოლის თანამშრომელთა მიერ დისციპლინური გადაცდომის სახეებს, რომელიც უმეტესობა მოსწავლეთა უფლებების დაცვაზეა ორენტირებული და განსაზღვრავს მოსწავლეთა ინტერესების დაცვას. ასევე სკოლის მიერ წარმოდგენილ მშობელთან დადებულ ხელშეკრულებებში გაწერილია მოსწავლის მიმართ კანონმდბლობით გათვალისიწნებული უფლებები. სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ბავშვთა მიმართ განხორციელებულ ძალადობათან დაკავშირებული შიდა ინსტუქცია, რომლეშიც გაწერილია ყველა საფეხური: ბავშვთა მიმართ ძალადობის გამოვლენიდან დაწყებული ინფორმაციის კონფდენციალურობის დაცვით დასრულებული ყველა ეტაპი. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2.მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებაში. მოსწავლეთა უფლებების დაცვის გარანტიები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, შემუშავებულია შიდა ინსტრუქციები, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები. თითოეული დოკუმენტი არის საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის, ამასთან, სკოლაში პერიოდულად ტარდება ღონისძიებები მოსწავლეთა უფლებებთან დაკავშირებით, რაშიც აქტიურად არიან ჩართულები კლასის დამრიგებლები და დირექცია, გამოკრულია პოსტერები, რიგდება საინფორმაციო ბროშურები, ყველაზე მთავარი, რაც ამ დოკუმენტაციაში უნდა გამოირჩეს არის სკოლის მიერ განხორციელებული სხვადსხვა ტიპის მრავალეროვანი პროექტები, რომლშიც

ჩართულია სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრები, მაგალითად, კლუბების მიერ ორგანიზებული კონერენცები, რომელაც ესწრება სხვადასხვა სასკოლო სზოგადოების წევრები. ცხელი ხაზისა ნომრები შესაბამისი ნიშნულებით გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ამასთანავე, კანონით გათალისწინებული უფლებების დამდგენი დოკუმენტები, როგორიც არის მოსწავლეთა ქცევის კოდექსი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე, ასევე, დამრიგებელბის მიერ აღნიშნული გაცნობილი აქვთ სწავლის დაწყებისას.
3.სკოლის მოსწავლის მშობელთან კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც თანხვედრაშია სკოლის სხვა დოკუმენტებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მატერილური სახით შემთხვევითობის შერჩევის პრინციპით შერჩეული იყო რამდენიმე მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც თანხვედრაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და შესბამისობაშია ინდიკატორთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ზედაპირულ დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირი
ბავშვის ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია
ბრძანება ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ;
სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება
სკოლის შინაგანაწესი.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისია. სკოლამ ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინა მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ. რომელიც დეტალურად განმარტავს აღნიშნული პროცედურების ეტაპებს. შესაბამისად ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურები ხორციელდება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, სკოლის მიერ წარდგენილი მოსწავლის პირადი საქმეებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისია. ასევე ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგენილი მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, კლასიდან კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერების, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ. რომელიც დეტალურად განმარტავს აღნიშნული პროცედურების ეტაპებს, ხოლო წარმოდგენლი პირადი საქმეები და ბრძანებებით კი დგინდება რომ სკოლა იცავს აღნიშნულ პროედურებს და შესაბამისია ინდიკატორთან.

3.სკოლა ჩართულია სხვადსხვა ტიპის პროექტებში არაფორმალური განათლების მიმათულებით, რაც აქტიურად შუქდება სკოლის ფეისბუქ გვერდზე, ასევე სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა ამ მიმართულებებით საკლუბო მუშაობის აქტიური საქმიანობა. სკოლა მოსწავლეებს ამ ეტაპზე არ სთავაზობს დამატებით მომსახურებას. ინდიკატორი შესაბამისია.

4..სკოლის სოციალურ გვერდზე, ვებ-გვერდზე გაზიარებული, სკოლის შიდა სივრეში გამოკრული აქტივობების, რესურსებისა და სერვისების შესახებ ინფორმაია არის კანონმდებლობის შესაბამისია. არ შეიავს დისკრიმინაციულ ნიშნებს და ხელმისაწვდომია, როგორ სკოლის შენობაში მისული პირისთვის , ასევე ფართო საზოგადოებისთვის. ინდიკატორი შესაბამისია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლის პიადი საქმეები;
განათლებს მათვის საინფორმაციო სისტემის ბაზა;
სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის დოკუმენტაციის შესწავლით ირკვევა, რომ სკოლას შემუშავებული აქვს ტრანზიციის გეგმა და მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი, რომელიც მოიცავს ძირითადად პირველკლასელთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმებს .

სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დამრიგებლები სასწავლო წლის დაწყებამდე ხვდებიან პირველკლასელთა მშობლებსა და მოსწავლეებს, აცნობენ სასკოლო გარემოს, მას შემდეგ რაც ისინი დარეგისტრირდებიან სკოლაში, აწარმოებენ ინტერვიუებს მოსწავლის მშობლებთან, ეცნობიან ბავშვების პორტფოლიოებს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებისა და საჭიროებების უკეთ გასაცნობად. ახალი სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა ორგანიზებულად, საზეიმო ვითარებაში ხვდება პირველკლასელებს. სპეციალურად მორთული საკლასო ოთახები მოსწავლეებს პირველივე დღიდან უჩენს დადებით განწყობას სასკოლო გარემოსადმი. პირველკლასელების დამრიგებლები აწყობენ ექსკურსიებს სასკოლო შენობაში სხვადასხვა სივრცეების დათვალიერების მიზნით.

სასკოლო ტრანზიციის ხელშეწყობის მიზნით, დაწყებითი საფეხურიდან შემდგომ საფეხურზე გადასვლისას, შემსვლელი მასწავლებლები თანამშრომლობენ კლასის ყოფილ დამრიგებლეთან და სხვა შემსვლელ პედაგოგებთან, რათა შეისწავლონ მოწავლეთა საჭიროებები და გაითვალისწინონ მუშაობის პროცესში.

დამრიგებლები მუდმივად ზრუნავენ, რომ ახალგადმოსული მოსწავლე ადვილად ადაპტირდეს კლასთან, წინასწარ ესაუბრებიან მოსწავლეებს, აწვდიან ინფორმაციას ახალი მოსწავლის კლასში ჩარიცხვისა და შესაბამისი ქცევების შესახებ. ახალმოსულ მოსწავლეს დამრიგებელი წარუდგენს მასწავლებლებსა და თანაკლასელებს, აცნობს სასკოლო სივრცესა და მოსალოდნელ ქცევებს, სკოლის შინაგანაწესს. შემუშავებულია სადამრიგებლო პროგრამები. სკოლის განცხადებით, ახალი სასწავლო წლიდან სკოლის სადამრიგებლო პროგრამებში გამახვილდება ყურადღება ადაპტაციის შიდასაკლასო მექნიზმებზე.

სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოში ადაპტაციის მექანიზმები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის ინკლუზიური განათლების ნაწილში. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. საკლასო ოთახების ინვენტარი და ინტერიერი ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას და დადებითი განწყობის ჩამოყალიბებას. სკოლის ვიზუალური დათვალიერებისას საკლასო ოთახებსი დაგვხვდა „მოლაპარაკე კედლები“ - მოსწავლეების მიერ შექმნილი თემატური ნახატები, პოსტერები, აპლიკაციები. სადამრიგებლო მუშაობა მიმართულია მოსწავლეთა მხარდაჭერისაკენ. სსსმ მოსწავლეებისათვის განკუთვნილი რესურსოთახი, არაფორმალური ინტელექტუალური, სპორტული და სახელოვნებო აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

სკოლაში სსსმ მოსწავლის გადმოსვლის ან ჩარიცხვის შემთხვევაში ხდება ისგ ჯგუფების შექმნა, რომელთა მიერ ხდება მოსწავლეზე მორგებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. ამასთანავე მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, ხდება კონკურსის გამოცხადების გზით ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების დასაქმება. სკოლა, ასევე უზრუნველყოფს, საჭიროების შემთხვევაში, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ დასკვნის მომზადებას. მშობლის მიერ აღიარების პროცესის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ, მოსწავლის და მშობლის სურვილის გათვალისწინებით, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის სასწავლო პროცესში ინტეგრაციას. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3. სკოლის დოკუმენტაციის შესწავლისას და წარმომადგენლებთან ინტერვიურებით დადგინდა, რომ სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა ატარებს მშობელთა გამოკითხვებს, სემესტრის მიმდინარეობის დროს და დასასრულს, კლასის დამრიგებლები ინდივიდუალურად აცნობენ ინფორმაციას მშობლებს შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით ტარდება სემესტრული გამოცდები. აღნიშნულთან დაკავშირებით ხდება მშობლების ინფორმირება დამრიგებლის მიერ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით - შექმნილია ჯგუფები სოციალურ ქსელში, სატელეფონო კომუნიკაცია, ელექტრონული ფოსტა და სხვ. საგნის მასწავლებლებლებმა აღნიშნეს, რომ ახდენენ მოსწავლეთა საჭიროებების იდენტიფიცირებას და ითვალისწინებენ მათ სასწავლო პროცესის დადგემვის დროს. კლასის დამრიგებლების ვალდებულებაა მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პერიოდულობით მოსწავლის აკადემიური მიღწევებისა და დისციპლინის შესახებ.

სკოლას აქვს შესაბამისი პრაქტიკა და 2023-2024 სასწავლო წელსაც გეგმავს მოსწავლეთა რემედიაციის პროგრამის განხორციელებას დაწყებით საფეხურზე. მოსწავლეებსა და მშობლებს რეგულარულად მიეწოდებათ ინფორმაცია სკოლაში არსებული მხარდამჭერი აქტივობების შესახებ. მოსწავლეთა მხარდასაჭერად სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებასა და დიფირენცირებული სწავლების მიდგომებს. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4. სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესები. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. სკოლა მხარს

უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს, ეხმარება ღონისძიებების ჩატარებაში. სკოლამ გაგვიზიარა საკლუბო საქმიანობის პრაქტიკა. ასევე აღსანიშნავია, რომ სასკოლ პროექტში პრიორიტეტულ თემაზე „კულტურული მემკვიდრეობის დაცვა“ ჩართულია მოსწავლეთა თვითმმართველობა.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

5. მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურად არის ჩართული სასკოლო დაგეგმვასა და განხორციელებაში. სკოლაში ხორციელდება საკლუბო მუშაობა სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით. სკოლაში არაფორმალური განათლების გაძლიერების, მოსწავლეთა თვითრეალიზების, ფიზიკური, სოციალური და ინტელექტუალური განვითარების ხელშეწყობის მიზნით მოსწავლეთა მაღალი ინტერესის გამო დაფუძნდა რამდენიმე კლუბი, რომლებიც ახორციელებენ დამატებით/არაფორმალურ აქტივობებს მოსწავლეებთან, სკოლის სხვა პედაგოგებთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად. სკოლის მიერ მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები საჭირო რესურსების მიწოდებისა და სამუშაო სივრცის გამოყოფის მიმართულებით. დამრიგებლები გეგმავენ და ახორციელებენ ექსკურსიებს მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

6. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა უკუკავშირს, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური აქტივობებისა და შეთავაზებული სერვისის მიწოდების პროცესში. მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად და მოსწავლეთა მომსახურების გასაუმჯობესებლად, სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები და აწარმოებს გამოკითხვებს. მოსწავლეები და მშობლები დირექციასთან და დამრიგებლებთან აფიქსირებენ თავიანთ ხედვებს, გამოცდილებას, სურვილებს. სკოლა ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტში გათვალისწინებულია მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის მიღების მეთოდები და შესაბამისი პირი ან სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის დამუშავებას.

სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა და სასკოლო სასწავლო გეგმა, ისევე, როგორც სკოლის რეგულაციათა უმრავლესობა, ითვალისწინებს მონიტორინგის, შეფასებისა და გაუმჯობესების სისტემების არსებობას. აღნიშნული რეგულაციების მიხედვით მნიშვნელოვანია, რომ სკოლა მოსწავლეებს ჩართავს არა მხოლოდ აქტივობებისა და მომსახურებების დაგეგმვის, არამედ შეფასებისა და გადასინჯვის პროცესშიც. მოსწავლეებთან ერთად ღირებული უკუკავშირის მიცემა შეუძლიათ დაინტერესებულ მხარეებსაც, იქნებიან ეს სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები თუ თემის წევრები. სკოლა სხვადასხვა არაფორმალური აქტივობების განხორციელებისას

შეაგროვებს მონაცემებს გაწეული მომსახურების შესახებ მოსწავლეების გამოკითხვით, ანკეტირებით, ინტერვიუირებითა და სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით. მნიშვნელოვანია, რომ მიღებული მონაცემები გაანალიზდება და შესაბამისად სკოლის მიერ გაწეულ მომსახურებებში მოხდება საჭირო ცვლილებების დაგეგმვა და განხორციელება. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა

ტრანზიციის გეგმა

ექსკურსიების გეგმები

დამრიგებლის სამუშაო დებულება

კლუბების დებულებები

ხარისხის მართვის მექანიზმი

არაფორმალური აქტივობების ამსახველი მასალა

სასკოლო პროექტი

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმები ინფორმაციული ტექნოლოგიების აკადამიასთა, უნივერსიტეტებთან. სკოლას სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული აქვს მოსწავლეთა პროფორიენტაციის პროგრამა , რომლის თანახმადაც სკოლა თანამშრომლობს რამდენიმე პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებელთან, ბიზნეს-სექტორთან. კლასის დამრიგებელი კლასის საათზე ესაუბრება ბავშვებს პროფესიებზე, ახდენენ ქვეყნისათვის საჭირო პროფესიების პოპულარიზაციას. აგრეთვე სკოლა აწარმოებს თემში სხვადასხვა პროფესიის ადამიანების საქმიანობის კვლევას და მათი პროფესიის პოპულარიზაციას. პერიოდულად იგეგმება სხვადასხვა პროფესიის მქონე ადამიანების მოწვევა და საუბარი მათი პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით.

2. სკოლა ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტების წარმომადგენლებისა და სხვადასხვა პროფესიის პირებთან შეხვედრებს საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან, რათა მათ შეძლონ სწორი არჩევანის გაკეთება მომავალი პროფესიის შერჩევისას. კლასის დამრიგებლები მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებს აწვდიან/მიაწვდიან ინფორმაციას ზოგადი განათლების საბაზო და საშუალო საფეხურების დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. კლასის დამრიგებლების საშუალებით მოსწავლეებს სისტემატურად მიეწოდებათ ინფორმაცია უნივერსიტეტებში ღია კარის დღეებთან დაკავშირებით.

ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

3.ინტერვიუს დროს სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა პროფორიენტაციის პროექტებში მონაწილე მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარე ქმნის კითხვარებს, პერიოდულად აწარმოებს გაწეული მუშაობის კვლევას. ამზადებს კითხვარებს მშობლებისთვისაც, ხოლო მიღებული შედეგების გათვალისწინებით გეგმვს მომდევნო წლის აქტივობებს. კარიერული განვითარების სერვისის გაუმჯობესების მიზნით სკოლა ახორციელებს კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მოკვლევებს, აქვს მონაცემები, თუ რამდენი კურსდამთავრებული ჩაირიცხა პროფესიულ თუ უმაღლეს სასწავლებელში, ასევე ინტერესდება მათი დასაქმებით. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

მოსწავლეთა პროფორიენტაციის პროგრამა;

პროფორიენტაციის განხორციელებული აქტივობების მასალა

მემორანდუმები პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებთან

სადამრიგებლო პროგრამები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ირიცხება 40 სსსმ მოსწავლე. სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება ი.ს.გ ჯგუფი. ი.ს.გ. ჯგუფის შეხვედრები ხორციელდება სემესტრში მინიმუმ ოთხჯერ და საჭიროების შემთხვევაში მეტჯერაც. ი.ს.გ ჯგუფის შეხვედრაზე სსსმ მოსწავლის მშობელი აქტიურადაა ჩართული შვილის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრასა და ი.ს.გ გეგმის შედგენაში. თითოეული მოსწავლისათვის შედგენილი ინდ. გეგმა ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და მაქსიმალურად არის მორგებული სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე. სკოლაში ბრძანების საფუძველზე შექმნილია სკოლის შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც განიხილავს მონიტორინგის შედეგებს და წლის ბლოს დებს დასკვნას. სასწავლო წლის დაწყებამდე სსსმ მოსწავლე და მისი მშობელი ხვდება კლასის დამრიგებელს, სპეც. მასწავლებელსა და დირექტორს. შეხვედრის მიზანია მოხდეს მოსწავლის ადაპტირება სასკოლო გარემოსთან. ასევე, წინასწარ ხდება შეხვედრა იმ კლასის მშობლებთან, რომელშიც მოსწავლეს მოუწევს სწავლება. სპეციალურმა მასწავლებლებმა წარმოადგინეს მიმდინარე წლის ინკლუზიური განათლების განხორციელების საქმოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

2.ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმაში სპეც. მასწავლებელს ყურადღება გამახვილებული აქვს მშობლის, დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლის ჩართულობაზე. სკოლამ წარმოადგინა ტრანზიციის გეგმა, სადაც ნათლად ჩანს მჭიდრო თანამშრომლობა მოსწავლეთა მშობლებთან და საგნის მასწავლებლებთან. სპეციალურ მასწავლებლებთან და ინკლუზიური განათლების პროცესში ჩართულ სხვა სპეციალისტებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მშობელთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია მოსწავლის საჭიროებების დასადგენად, ხოლო მასწავლებლებთან- საჭიროებაზე მორგებული ინდგეგმების შემუშავებისა და პროცესის ორგანიზებულად წარმართვისთვის. სკოლა იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელში, სხვადასხვა გარე აქტივობებში და დაგეგმილის გარდა, ხშირად ტარდება სამუშაო შეხვედრები ექსპერტების ჩართულობით. სპეცმასწავლებლები თანამშრომლობენ ტრენერებთან და ხშირად ესწრებიან ტრენინგებს. მნიშვნელოვანია დირექციის მხარდაჭერა. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სასკოლო სასწავლო გეგმა

ისგ

ტრანზიციის გეგმა

ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა

მემორანდუმები

გამოკითხვის მასალები

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით არ აქვს გათვალისწინებული ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული/გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო/სააღმზრდელო მომსახურება. სკოლას გაიჯარებული აქვს ფართი: სკოლის კვებისთვის. სკოლას თვითშეფასების წარმოდგენის დროს გასული სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი ჰქონდა დამატებითი საგანამანათლებლო მომსახურებას მუსიკალური(ფასიანი) წრის სახით, ასევე გამოგზავნილი ჰქონდა დარბაზის გაიჯარებისთვის გამოცხადებული აუქიონი, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში არ ფიქსირდება დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება, ხოლო საიჯარო ხელშეკრულება გაფორმებულია მხოლოდ შპს ,,ჯანსაღი კვება" , (იჯარის ხელშეკრულება #6) სხვა დამატებითი მომსახურების შესახებ სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაიაში არ ფიქსირდება.

2. სკოლას გაიჯარებული აქვს ფართი კვებისთვის, რომელიც გამოცხადებული აუქიონის შედეგად შემოვიდა სკოლის ტერიტორიაზე მეიჯარედ. სკოლას თვითშეფასების წარმოდგენის დროს გასული სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი ჰქონდა დამატებითი საგანამანათლებლო მომსახურებას მუსიკალური(ფასიანი) წრის სახით, ასევე გამოგზავნილი ჰქონდა დარბაზის გაიჯარებისთვის გამოცხადებული აუქიონი, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში არ ფიქსირდება დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება, ხოლო საიჯარო ხელშეკრულება გაფორმებულია მხოლოდ შპს ,,ჯანსაღი კვება" , (იჯარის ხელშეკრულება #6) სხვა დამატებითი მომსახურების შესახებ სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაიაში არ ფიქსირდება.

3. სკოლას გაიჯარებული აქვს ფართი კვებისთვის, რომელიც გამოცხადებული აუქიონის შედეგად შემოვიდა სკოლის ტერიტორიაზე მეიჯარედ. სკოლას თვითშეფასების წარმოდგენის დროს გასული სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი ჰქონდა დამატებითი საგანამანათლებლო მომსახურებას მუსიკალური(ფასიანი) წრის სახით, ასევე გამოგზავნილი ჰქონდა დარბაზის გაიჯარებისთვის გამოცხადებული აუქიონი, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის დროს მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში

არ ფიქსირდება დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება, ხოლო საიჯარო ხელშეკრულება გაფორმებულია მხოლოდ შპს ,,ჯანსაღი კვება" , (იჯარის ხელშეკრულება #6) სხვა დამატებითი მომსახურების შესახებ სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაიაში არ ფიქსირდება. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის დირექტორის ბრძანებები;

სკოლის ფეისბუქგვერდი;

საჯარო რეესტრის ამონაწერი;

შპს ,,ჯანსაღ კვებასთან" გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება #6

შეფასება:

- ○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- ○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე
ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ-ქალაქ თბილისის N60 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, რაც მოიაზრებს მოსწავლეების შესაძლებლობების, საჭიროებებისა და ინტერესების, მშობლებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებას. სემესტრის ბოლოს ანალიზის ან/და კვლევის საფუძველზე დგინდება მოსწავლეთა საჭიროებები, პროცესზე დაკვირვებისას პედაგოგები გამოკვეთენ სასწავლო მიზნებს; კურიკულუმის შედგენის მეთოდოლოგიის გათვალისწინებით ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში დაწყებითის კათედრა განიხილავს პედაგოგების მიერ შემუშავებულ ახალ საგნობრივ კურიკულუმებს წინარე გამოცდილების გათვალისწინებით. სასწავლო წლის ბოლოს, კათედრის წევრები მოსწავლეთა შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთენ სწავლა-სწავლების პროცესის ხარვეზებს/მიღწევებს და განსაზღვრავენ სამომავლო საქმიანობის მიზნებს, რომლებშიც აისახება პრიორიტეტული საკითხები;

   ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. სსიპ-ქალაქ თბილისის N60 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. სასკოლო კურიკულუმის თემატიკა მორგებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და პრიორიტეტებს, გათვალისწინებულია საგნობრივი კათედრების შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი საჭიროებები. სკოლაში ხორციელდება სასკოლო პროექტები, შემუშავებულია და ხორციელდება სადამრიგებლო პროგრამები. სკოლაში ყველა პირობაა შექმნილი მოსწავლის განვითარებისა და პიროვნული ზრდის მხარდაჭერის თვალსაზრისით; აქტივობები ხორციელდება როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური მიმართულებით. სკოლა მომავალში მიზნად ისახავს არაფორმარული განათლების გაძლიერებას. აღნიშნულ

საკითხთან დაკავშირებით საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის წარმომადგენელმა პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, რომ კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინეს მოსწავლეების ცოდნა, ინტერესთა სფერო, გამოცდილება. სკოლას აქვს ხედვა და მზაობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში გაითვალისწინოს სასკოლო საზოგადოების შესაძლებლობები და პრიორიტეტები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. სსიპ-ქალაქ თბილისის N60 საჯარო სკოლის დაწყებით საფეხურზე კურიკულუმებზე მუშაობის პროცესი ციკლურია, პროცესის თანამონაწილეები არიან, როგორც დაწყებითის ასევე სხვადასხვა კათედრები, მასწავლებლები, მოსწავლეები, რიგ შემთხვევებში - მშობლებიც; დაწყებითი კლასების მასწავლებლები პროცესის მიმდინარეობისას ეყრდნობიან წინა წლის გამოცდილებას და ახორციელებენ მოდიფიცირებას მშობელთა და მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. სსიპ-ქალაქ თბილისის N60 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის თემატიკა მორგებულია თითოეულ ინდივიდზე და ითვალისწინებს თანამედროვე სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს; პრიორიტეტების განისაზღვრება დაწყებითების კათედრების შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი ხარვეზების/ მიღწევების მიხედვით; ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, დაწყებით საფეხურზე, ტარდება მოსწავლეების მშობლებთან შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მშობლებს დამრიგებლების მხრიდან მიეწოდებათ ინფორმაცია სასწავლო პროცესში არსებული სიახლეების შესახებ; მშობლები ეცნობიან წინასწარ გაწერილ კომპლექსური დავალების ეტაპებს, დაწყებითების კათედრაზე მომზადებულია კომპლექსური დავალების ბარათები, რომელთაც კლასის დამრიგებელი უზიარებს მშობლებს, პირისპირ ან/და ონლაინ ფორმით; სოციალურ ქსელში, (როგორიცაა Teams-ის და Facebook-ის ჯგუფები თითოეული კლასისთვის, მშობლებისთვის და თანამშრომლებისთვის). სკოლის გვერდზე, პერმანენტულად ხდება გაზიარება დაწყებითი კლასების კათედრაზე განხორციელებული აქტივობების, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის/თემისთვის, გარდა ამისა, შექმნილია კლასის (დახურული) ჯგუფები, რომელშიც დამრიგებლები, ყოველდღიურ რეჟიმში აზიარდებებ სიახლეებს, განხორციელებული/განსახორციელებელი აქტივობების ნუსხას, მიზნობრივ რეკომენდაციებს/სტატიებს აღმზრდელობით საკითხებსა და ბავშვთა ფსიქოლოგიის შესახებ; აგრეთვე, სკოლას აქვს ვებ გვერდი, რომელიც განახლების ეტაპზეა. სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც მუდმივად ხდება საინტერესო/სახალისო აქტივობების ნუსხის განახლება, მოსწავლეთა ნამუშევრების, ნახატების გამოფენა;
ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
2. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
3. სკოლის თვითშეფასების ფორმა

4. სასკოლო-სასწავლო გეგმა
5. 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები ქმნის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას.ამავეს ადასტურებს ისიც, რომ თემატური დაგეგმვისას გათვალისწინებულია დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები (მაგალითად, თანატოლების ყოფა-ცხოვრება, მშობლიური გარემო, სახელოვანი წინაპრები, ბუნება და ადამიანი, თანაგრძნობა და ამ თემების დასამუშავებლად შერჩეული ტექსტები ის კონტექსტებია, რომლებზე მსჯელობაც მოსწავლეს პირადი გამოცდილების საფუძველზე შეუძლია).
კურიკულუმში მოცემული დავალებების შინაარსი შეესატყვისება იმ ცოდნასა და მოთხოვნებს, რასაც ითვალისწინებს საფეხურის საგნობრივი სტანდარტი. პედაგოგებს გააზრებული აქვთ ცნებებზე ორიენტირებული სწავლების არსი.სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად და თითეული თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები. თითოეულ თემასთან გაწერილია შესაბამისი კომპლექსური ბუნების დავალების პირობა.კომპლექსური დავალების პირობები იმგვარდაა შედგენილი, რომ წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი ცოდნის კონსტრუირება. კურიკულუმში წარმოდგენილი თემები, თემების შესაბამისი საკითხები და საკითხთა კლასტერი, კომპლექსური დავალებები, რესურსები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე, რაც აისახება დაწყებითი I-VI კლასების კურიკულუმებში.
წარმოდგენილი კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი არის მოსწავლეზე ორიენტირებული, ის ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას და ითვალისწინებს იმ ძირითად პრინციპს რაც მასშია მოთხოვნილი- დაგეგმილი აქტივობებით და კომპლექსური დავალებებით აქცენტი კეთდება მოსწავლის ძლიერი მხარის წამოწევაზე, წინარე ცოდნის გააქტიურებაზე და მოტივაციის ამღლებაზე. ასევე გათვალისწინებულია ცოდნის აქტიური კონსტრუირების პროცესი. ის რომ მოსწავლე სწავლების პროცესში მთავარი სუბიექტია იკვეთება მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმა სწორედ მოსწავლეთა შედეგების, ინტერესების გათვალისწინებით ხდება. აქცენტი კეთდება არა მხოლოდ ცოდნის შეძენაზე, არამედ საჭირო უნარების გამომუშავებასა და ცოდნის ტრანსფერზე.

წარმოდგენილ ჩარჩოებში სასწავლო წლის განმავლობაში შუალედური მიზნები იმგვარადაა გაწერილი, რომ ზედმიწევნით პასუხობს ესგ-ის მიერ საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ ინდიკატორებს. წარმოდგენილ ჩარჩოებში ნათლად ჩანს სამიზნე ცნების მისაღწევი გზები.

შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგანაც ითვალისწინებს მოსწავლეთა ასაკობრივ, ინდივიდუალურ თავისებურებებს და შესაძლებლობებს. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. გრძელვადიანი მიზნების, ე.წ გლობალური ფუნქციური უნარებისა და საგნობრივი ცოდნის კავშირი წარმოჩენილია საგნობრივი კურიკულუმის იმ ნაწილში, სადაც სასწავლო თემები დაკავშირებულია მოსწავლისათვის ნაცნობ სიტუაციებთან, მათ დასამუშავებლად კი შერჩეულია ცხოვრებისეული კონტექსტ მაგალითები.

როგორც გასაუბრებისას აღნიშნეს, ქვეცნებების ნაწილი გააქტიურდება კომპლექსური დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპზე, ნაწილი-დამოუკიდებლად, მრავალფეროვანი აქტივობების საშუალებით. მასწავლებლებმა თემის ,,ადამიანი და ბუნება“ მაგალითზე იმსჯელეს, როგორ წარმოუდგენიათ კონკრეტული საგნობრივი საკითხების შესწავლასთან ერთად, დააფიქრონ მოსწავლეები გარემოსადმი პირად პასუხისმგებლობაზე და აუმაღლონ მოქალაქეობრივი ცნობიერება.

სკოლას აქვს პროექტული სწავლების საფუძვლიანი გამოცდილება, რაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ისე კათედრებთან გასაუბრებით. პროექტების განხორციელება თავისთავად უბიძგებს მოსწავლეებს თანამშრომლობითი უნარების განვითარებისკენ.

კომპლექსური დავალების პირობები/მონახაზები 2023-2024 წლის კურიკულუმის ჩარჩოებიდან, ისეა შერჩეული, ჩამოყალიბებული, რომ უნდა იწვევდეს მოსწავლეებში ისეთი ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას, როგორიცაა შემოქმედებითი აზროვნება, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია.

მოსწავლეებს ისეთი პროდუქტების შექმნას სთავაზობენ, მაგალითად, მე–3 კლასელებს „გარემო,რომელშიც ვცხოვრობ“ ,“პროფესია ჩემს თემში–ტელესიუჟეტის მომზადება მეხანძრეებზე“ ,რაც გამოიწვევს შემოქმედებით აზროვნებას. შემოქმედებით ,ასევე კრიტიკულ აზროვნებას განავითარებას გამოიწვევს, მაგალითად მეოთხე კლასელებისათვის შეთავაზებული კომპლექსური დავალების პრიობა: თემა, „მედია და ინფორმაცია“ ,კომიქსის შექმნა–1“ინფორმაციის გადაცემა ძველად და ახლა“ ანუ მოსწავლისთვის შეიქმნა საინტერესო დავალების პირობა, რომელიც ერთგვარი გამოწვევაცაა მისთვის, რადგან მოსწავლემ დავალებაში წარმოჩენილი ამოცანა/პრობლემა ორიგინალურად, შემოქმედებითად, საკითხზე ორიენტირებულად უნდა გადაწყვიტოს.

წარმოდგენილ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები (ქვეცნებები), თემები, საკითხები, რესურსები იძლევა შესაძლებლობას პროცესი იყოს ორიენტირებული ფუნქციურ კომპონენტურ უნარებზე, კერძოდ მე-3 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეა “მხიარული სტარტები“ მიემართება შემდეგ ფუნქციურ უნარებს: შემოქმედობითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ნებელობა.

-სკოლის მიერ მოწოდებულ კურიკულუმში და კომპლექსურ დავალებებში, ჩანს, რომ კურიკულუმი ემსახურება ფუნქციური უნარების განვითარებას, ისეთების როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, შემოქმედებითობა. მაგ,მასწავლებელთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ხშირად ირჩევეს ისეთი ტიპის დავალებას რაც ხელს შეუწყობს თანამშრომლობითი უნარების განვითარებას და საერთო მიზანზე ორიენტირებულობას. მოსწავლეებს აძლევს ისეთი ტიპის დავალებას სადაც პროდუქტია შესაქმენლი;

ელ-წიგნი, პრეზენტაცია, ბუკლეტი, მოდელი, პროექტი. ეს კი მათ შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაში ეხმარება და აძლევს საშუალებას იაზროვნონ თავისუფლად, შეზღუდვების გარეშე.
სკოლაში დაგეგმილი სასწავლო პროცესი ხელს უწყობ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შუალედური მიზნების მიღწევას და გლობალურ ფუნქციური უნარების განვითარებას. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმში სასწავლო პროცესის დიფერენცირების რეალურ მცდელობაზე მეტყველებს რამდენიმე ფაქტორი: ა) სასწავლო თემების შერჩევისას მოსწავლეთა ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება; ბ) მოდიფიცირებული და კლასის საჭიროებასა და წინარე გამოცდილებას მორგებული კომპლექსური ბუნების რამდენიმე დავალება; გ) ინდივიდულური სასწავლო გეგმები, რომელთა საფუძველზეც ირკვევა, რომ კათედრის წევრებს შეუძლიათ, განსაზღვრონ სასწავლო მიზნები სსსმ მოსწავლეებისთვის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით; მასწავლებლებმა ერთ-ერთი დავალების საფუძველზე, აღწერითი ტექსტის შედგენა რ. ინანიშვილის მოთხრობა ,,ეთერის“ მიხედვით, იმსჯელეს, როგორ გაამარტივებენ საბოლოო პროდუქტის ფორმას მოსწავლისთვის, რომელსაც წერითი უნარები სუსტად აქვს განვითარებული.
კურიკულუმში გათვალისწინებული კომპლექსური დავალებების პირობა , კრიტერიუმები და აქტივობები ფორმულირებულია ისე რომ ფარავს ცოდნის სამივე კატეგორიას და აგებულია მარტივიდან რთულისკენ. გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. გარდა ამისა, კომპლექსური დავალების წარმოდგენილი ნიმუშები მოსწავლეს საშუალებას აძლევს აირჩიოს მისთვის სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის ფორმა, მოსწავლის მზაობიდან გამომდინარე. რაც დიფერენცირებული მიდგომის ელემენტებია.
სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, მოსწავლეებს სთავაზობს მის საჭიროებებზე, უნარებსა და შესაძლებლობებზე მორგებულ დავალებებს, ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, უნარებს, შესაძლებლობებს და ყოველთის ახდენს დავალების მოდიფიცირებას და ადაპტირებას. ასევე, სთავაზობს ისეთ დავალებებს, სადაც მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ ცოდნას და თანამშრომლობენ ერთმანეთთან. პედაგოგმა საუბრისას აღნიშნა , რომ სპეციალური საჭიროების მოსწავლეებს ყოველთვის აძლევს ადაპტირებულ დავალებას და სწავლების პროცესში აუცილებლად ითვალისწინებს სსსმ მოსწავლების ინტერესებს. მის მიერ შემუშავებულ ინდ. გეგმაში, თითოეული მოსწავლის შესაძლებლობის შესაბამისად განსაზღვრულია მოსწავლესთან მიმართებით მისაღწევი გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები.
სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. აღნიშნულის დამადასტურებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ სკოლის მიერ წარმოდგენილი ი.ს.გ, ადაპტირებული კომპლექსური დავალებები და კურიკულუმის დაგეგმვისას დფერენცირეული სწავლების გამოყენება.
მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს, სასწავლო პროცესი იგეგმება მათი ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების გრძელვადიან მიზნებთან მიმართება ჩანს კათედრის მიერ თითოეული საფეხურისთვის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) მტკიცებულებად ატვირთული შეფასების რუბრიკების ნიმუშებში. საანალიზოდ სკოლამ წარმოადგინა როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებისა და საგნობრივი სტანდარტის თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგებიდან. მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, რა მოეთხოვება მოსწავლეს კონკრეტული დავალების შესრულებისას. კომპლექსური დავალების

განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ზუსტად ეხმიანება ამავე დავალების პირობაში მოცემულ მოთხოვნებს, რაც ადასტურებს, რომ მოსწავლისთვის თავიდანვე ნათელია, რა ცოდნის წარმოჩენა ევალება.
ინტერვიუსას მასწავლებლებმა ხაზი გაუსვეს, რომ ისინი იყენებენ ასევე სიტყვიერ განმავითარებელ კომენტარებს/შეფასებებს სწავლების პროცესში. მათ აღნიშნეს, რომ განმავითარებელი კომენტარის გაკეთებისას ცდილობენ ჯერ დადებითი ასპექტები წარმოაჩინონ, შემდეგ კი გასაუმჯობესებელ მხარეზე ისაუბრონ. მათთვის მნიშვნელოვანია მოსწავლის მიმღებლობა განმავითარებელი შეფასების მიმართ.
წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, რომელიც ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის ტაქსონომიას. რომლებიც ზოგად წარმოდგენას ქმნის დაწყებითი საფეხურის ფარგლებში შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ისეა ჩამოყალიბებული რომ ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მიმდინარეობისას სხვადასხვა სახის მეთოდური ორიენტირების გამოკვეთას. გულისხმობს მოსწავლის მხრიდან შესრულებული სამუშაოს აღწერას და წარმოდგენილი ნაშრომის გასიტყვებას და შეფასებას.
შეფასების რუბრიკების შექმნაში მონაწილეობენ მოსწავლეებიც და მათ წინასწარ იციან ის კრიტერიუმები , რომლითაც შეფასდება მათი დავალება.
უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული რუბრიკები შუალედურ მიზნებთან მიმართებით ნამდვილად ვალიდური შეფასების ინსტრუმენტია, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით განზოგადებულ რუბრიკებზე. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლას აქვს გამოცდილება შექმნას განმავითარებელი შეფასების რუბრიკა შუალედურ დავალებასთან მიმართებით, აღნიშნული კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. კურიკულუმის შედგენისას წინარე გამოცდილება გათვალისწინებულია იმ თვალსაზრისით, რომ 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებისას მასწავლებლები დაეყრდნენ წინა სასწავლო წელს, კომპლექსური დავალებების დანერგვა-განხორციელების პროცესში მიღებულ გამოცდილებას. შეიტანეს დავალებები, რომელთა შექმნის პროცესშიც მოსწავლეებმა განსაკუთრებული ინტერესი და მოტივაცია გამოავლინეს. მართალია, კათედრას დოკუმენტური სახით არ წარმოუდგენია პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, თუმცა გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ ეფექტიანი თანამშრომლობის კულტურა, აანალიზებენ მოსწავლეების ნამუშევრებს, გამოყოფენ მიღწევებსა თუ ტიპურ ხარვეზებს და ერთად გეგმავენ სამომავლო აქტივობებს.
გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი დაგეგმვის პროცესში ურთიერთთანამშრომლობენ და ერთმანეთთან განიხილავენ მიღწეულ შედეგებს, დაგროვილ გამოცდილებას.(იხილეთ,კათედრის სამოქმედო გეგმა,ოქმები) ისინი მსჯელობენ რომელმა აქტივობამ თუ დავალებამ რა შედეგი გამოიღო, როგორ მოხდა მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, მათი მოტივაციის ამაღლება და უკეთესს შედეგებზე გასვლა. ისინი იყენებენ ერთმანეთის მიერ დანერგილ „წარმატებულ“ აქტივობებსაც.
ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ კურიკულუმის შევსებისას თანამშრომლობენ კათედრაზე. გაითვალისწინეს საგნის სწავლების წარმატებული გამოცდილება და ასახეს კურიკულუმის ჩარჩოში.
ჩატარებული კომპლექსურების ანალიზით და მიღებული შედეგების გათვალისწინებით იგეგმება შემდეგი კომპლექსური დავალება,რომელიც მორგებულია შესაბამისი უნარებსა და გამოცდილებას. მოსწავლეთა დავალებების შეფასების და ანალიზის საფუძველზე მასწავლებელი კათედრის წევრებთან, ერთობლივად მუშაობს მომდევნო წლის კურიკულუმზე. აღნიშნული კრიტერიუმის დამდასტურებლად, შეგვიძლია მივიჩნიოთ დაწყებით საფეხურზე ოთხი წლის შემაჯამებელი ოქმი, სადავ განხილულია მიღწეული შედეგები და შედეგებზე დაყრდნობით მიღეულია გადაწყვეტილებები მომავალში სამოქმედოდ.ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგნობრივი კურიკულუმი
2. პროექტი
3. ინდ.გეგმები
4. თვითშეფასების ფორმა
5. ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა
6. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
7. ოქმები
8. ინტერვიუ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

X შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ და შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სასწავლო პროცესში განხორციელებული პროექტები და სასკოლო კურიკულუმში გაწერილი შუალედური მიზნები (კომპლექსური დავალებები და პროექტები) ხელს უწყობს მოსწავლეს აქტიურად იყოს ჩართული შემოქმედებით პროცესებში. . კურიკულუმში წარმოდგენილი არის შემოქმედებითი კომპლექსური დავალებები, როგორებიცაა: ამბის შეთხზვა საკუთარ წარმოსახვაზე დაყრდნობით (ბუნებრივია, კონკრეტულ თემაზე), მოთხრობაში ეპიზოდის ჩართვა, ამბის გადმოცემა პერსონაჟის ხედვის კუთხიდან, პირადი მოსაზრების ჩამოყალიბება და ა.შ. ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პირობები, შინაარსები მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა. დაწყებით საფეხურზე შექმინლი კურიკულუმები, საგნობრივი ჯგუფების მიხედვით, მორგებულია მოსწავლეთა ინტერესებს, ასაკსა და მზაობაზე. რაც თავის მხრივ კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სკოლა ცდილობს მოსწავლეს შესთავაზოს ისეთი შუალედური მიზნები, რომლებიც მათ აქტიურ ჩართლუობასა მოითხოვს შემოქმედებით პროცესებში. ინდიკატორი დაკმაოყფილებულია

2. კონსტრუქტივსტული სწავლების ერთ-ერთი მთავარი პრინციპი წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახალის შენებაა. სწორედ აღნიშნული პრინციპის მიხედვით არის შექმნილი დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი ჩარჩო კურიკულუმები, სადაც შუალედური მიზნები (კომპლექსური დავალებები) იმგვარად არის შერჩეული და გადანაწილებული, რომ მოსწავლეს აძლევს მიღებული ცოდნის გამოყენების საშუალებით ახალი ცოდნა შეიძინოს. ცოდნის კონსტრუირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სასწავლო თემების მოსწავლისთვის ნაცნობ, შინაარსიან კონტექსტებთან დაკავშირებაა, რაც მას წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის აგებაში ეხმარება. წარმოდგენილ კურიკულუმში ეს პრინციპი დაცულია იმ თვალსაზრისით, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა შინაგანი მზაობა და ინტერსები. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ნაცნობ კონტექსტთან მიმართებით. აღნიშნულის დასტურად შეიძლება მოვიყვანოთ საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები, რომლებშიც წარმოდგეილი შუალედური მიზნები იმგვარად არის განაწილებული, რომ მოსწავლეს წინარე ცოდნაზე დაყრდნობით შეუძლია ახალის დაშენება და მისი ცხოვრებისეულ სიტუაციებში გამოყენება. საგნობრივი კურიკულუმების შესწავლისას გამოიკვეთა ნაცნობიდან უცნობისკენ, მარტივიდან რთულისკენ განვითარების პრინციპით, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს მოსწავლეთა შინაგანი მოტივაციის გააქტიურებას. ინდიკატორი დაკმაოყფილებულია

3. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლა სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს გამჭოლი უნარები და ღირებულებები. კურიკულუმში ასახული კომპლექსური დავალებები ინდივიდუალური გამოცდილების, ყოფით სიტუაციების კონტექსტს მოიცავს და მეტაკოგნიციის განვითარების საშუალებას იძლევა. კურიკულუმში, შეიძლება ითქვას, ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები იმ თვალსაზრისით, რომ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პრეზენტაციის ეტაპი თავისთავად მოითხოვს, იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, რა და როგორ შეასრულა კრიტერიუმებიდან. აღნიშნული სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შერჩეული თემები, შუალედური მიზნები და მათი განხორციელების გზები მოსწავლეებს აძლევს შესასძლებლობას სწორად განვითარდნენ და შეიძინონ საჭირო უნარები ამ მიმართულებით. ინდიკატორი დაკმაოყფილებულია

4. სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპები ცოდნის სამ კატეგორიას - დეკლარატიული, პირობისეული და პროცედურული- აერთიანებს. დაწყებით საფეხურზე, წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. აღნიშნული რაც დასტურდება იმით, რომ კურიკულუმში მოცემული დავალებები მოითხოვს როგორც დეკლარატიული, ისე პირობისეული და პროცედურული ცოდნის გამოყენებას. ინდიკატორი დაკმაოყფილებულია

5. ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების პრინციპი საგნობრივ კურიკულუმში წარმოჩენილია იმ თვალსაზრისით, რომ თემის ფარგლებში შესწავლილ განსხვავებულ საგნობრივ საკითხებს მოსწავლე ერთმანეთთან აკავშირებს და საბოლოოდ ერთ შემოქმედებით პროდუქტში აერთიანებს. ერთ-ერთ ინსტრუმენტად გამოყენებულია კომპლექსური დავალება. ინდიკატორი დაკმაოყფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები დაწყებით საფეხურზე

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საგნობრივი კურიკულუმების მიხედვით, სასწავლო პროცესი უკავშირდება საფეხურის გრძელვადიან მიზნებს, რადგან თითოეული სასწავლო თემისთვის განსაზღვრულია, რა ტიპის დავალებაში გააქტიურდება საფეხურის სამიზნე ცნებები. თემატური დაგეგმვა და თემის ფარგლებში წარმოჩენილი საგნობრივი საკითხები ლოგიკურად ეხმიანება საგნობრივ სტანდარტს, გრძელვადიან და შუალედურ მიზნებს. რეალისტური და დამაჯერებელია მასწავლებელთა უკუკავშირი სამომავლო იდეებთან და კურიკულუმის სრულყოფასთან დაკავშირებით. მათ გაანალიზებული აქვთ შერჩეული დავალებების ფუნქცია, მიზნები, რაც მკაფიოდ მიანიშნებს იმაზე, რომ აქვთ პოტენციალი, იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით და რაც უმნიშვნელოვანესია, სასწავლო პროცესი წარმართონ ისე, რომ საგნობრივი საკითხების დამუშავებასთან ერთად, მოსწავლეს ცოდნის განზოგადებისკენ უბიძგონ. ამდენად, სტანდარტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2.წარმოდგენილ კურიკულუმში სასწავლო თემებისა და საგნობრივი საკითხების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ემოციური და ფსიქოლოგიური მზაობა. მაგალითად, თანატოლების ცხოვრება, მშობლები და შვილები, ურთიერთობები მოზარდებს შორის და ამ თემებთან დაკავშირებული ტექსტები, მოსწავლის ცხოვრებისეული კონტექსტებია და მათზე მსჯელობა მნიშვნელოვანია მისი პიროვნული ზრდისა და ემოციური განვითარებისთვის. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და სასკოლო პროექტები საშუალებას მისცემს მოსწავლეს ამოიცნოს საკუთარი ემოციები, ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია (თანაგრძნობა) სხვების მიმართ. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მოსწავლის ფსიქოემოციური განვითარების მნიშვნელობა გააზრებული აქვთ. სკოლამ წარმოადგინა პროექტი "კულტურული მემკვიდრეობა ქვეყნის იდენტობაა", პროექტის გეგმაში ჩანს მოსწავლის სოციოემოციურ განვითრებაზე ორიენტირებული აქტივობები. ივეთება, რომ პროექტული სწავლება არის კათედრების ძლიერი მხარე, თანამშრომლობითი კულტურისა და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დასტური. ამდენად, სტანდარტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. 2023-2024 წლის სასკოლო კურიკულუმებში ჩანს სკოლის ხედვა შეფასების პროცესთან დაკავშირებით იმ მხრივ, რომ კომპლექსური დავალებები თავისთავად გულისხმობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებს, დავალების კრიტერიუმები მიემართება სამიზნე ცნებებს და გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის, როგორ იღებს მოსწავლე დეკლარაციულ, პროცედურულ და პირობისულ ცოდნას. დაწყებით საფეხურზე მეტწილად კომპლექსური დავალება ასრულებს შუალედური სასწავლო მიზნის ფუნქციას, წარმოდგენილია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მასწავლებლები აანალიზებენ შეფასების კრიტერიუმებსა და საფეხურის გრძელვადიან მიზნებს შორის კავშირს. როგორც აღნიშნავენ, განმავითარებელი ზეპირი კომენტარი დაწყებითი საფეხურის სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და იცნობენ სათანადო სტრატეგიებს. ვასკვნით, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. ამდენად, სტანდარტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. შეფასების სისტემის ვალიდურობას, ობიექტურობას, სანდოობასა და სამართლიანობას განაპირობებს შეფასების რუბრიკების ინდიკატორების ლოგიკური კავშირი დავალებებში გააქტიურებულ სამიზნე ცნებებთან. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ ეცნობიან კომპლექსური დავალების შეფასების რუბრიკებს. მეტი გამჭვირვალობისთვის შეფასების რუბრიკები ხშირად თვალსაჩინოდაა კედელზე გაკრული, რათა მოსწავლისთვის ადვილად ხელმისაწვდომი იყოს. სამართლიანობისა და ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით, კომპლექსური დავალების წარდგენის შემდეგ, მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთს, ავსებენ ე.წ მსმენლის დღიურს,მსჯელობენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ მხარეებზე, იცნობენ თვითშეფასების ინსტრუმენტებს. ამდენად, სტანდარტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

1. 5.სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგ საკითხებს: შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები; ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ). დეტალურადაა გაწერილი თუ როგორ ხდება ვერიფიკაციის პროცესი, შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა, ვალიდაციის წესი და პროცედურა. დაწყებითი კლასების კათედრა უფრო სპეციფიური მექანიზმებით მუშაობს, კერძოდ, განმავითარებელი შეფასება გვაძლევს მოსწავლის მრავალმხრივ შეფასების შესაძლებლობას; მრავალკომპონენტიანობა და სხვადასხვა წყაროზე დაფუძნებული შეფასება მოსწავლის შესაძლებლობების მრავალმხრივ გაანალიზებაში ეხმარება მათ. მოსწავლის შეფასება ხელმისაწვდომია მშობლებისთვის (ინდივიდუალურად), ინფორმაციის გაზიარება მშობლებისთვის შესაძლებელია როგორც სემესტრის განმავლობაში (დაინტერესების შემთხვევაში, მოსწავლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენა/გაღრმავების მიზნით), ისე სემესტრის ბოლოს; შეფასებისას, კათედრა, ითვალისწინებს მოსწავლეთა ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, აანალიზებს მის მიღწევებს და შეიმუშავებს მხარდაჭერის მექანიზმებს.

   ინდიკატორი შესაბამისობაშია.
2. 6.თითოეული დოკუმენტი, რომელშიც მოსწავლეზე რაიმე ინფორმაციაა დაფიქსირებული, მათ შორის პირადი საქმეები, განმავითარებელი შეფასება და ა.შ. ინახება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, სკოლის კანცელარიაში. მოსწავლეთა მობილობის განხორციელების დოკუმენტაციის განთავსება ხდება ორგანიზებულად. სკოლაში ჟურნალების მონიტორინგზე განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, რომელიც გარკვეული პერიოდულობით, განვლილი სასწავლო წლის ბოლოს, აარქივებს ყველა დოკუმენტაციას.

   ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შეფასების ვერიფიკაცია;
2. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;

3. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
4. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
5. თვითშეფასების ფორმა;
6. სასკოლო სასწავლო გეგმა;
7. კათედების ოქმები;
8. სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
9. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მხარდამჭერ და მიმღებლობით სასწავლო გარემოს. კურიკულუმზე მუშაობისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები, იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, გამოიყენება სწავლების უნივერსალური დიზაინი, იგეგმება და ხორციელდება სასკოლო თუ საკლასო ღონისძიებები, არაფორმალური განათლება მოსწავლეს უჩენს ნდობის, დაცულობის, მიმღებლობის განცდას. ამას ადასტურებს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ორიენტირებული თანამშრომლობა. მასწავლებლებს შორის ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, რჩევების მიცემა და გამოცდილების გაზიარება. პედაგოგების მიერ კოლეგების მიმართ გაცემული უკუკავშირი ძირითადად პროგრესსა და განვითარებაზეა ორიენტირებული. ახალბედა კადრის მიმართ კოლექტივის მიმღებლობა დადებითი და კონსტრუქციულია. წარმოდგენილი დოკუმენტაციით აგრეთვე დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვისაც საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. ეს ყველაფერი, კი მხარდამჭერი და პოზიტიური გარემოს დასტურია.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. სწავლა ხორციელდება მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე. კომპლექსური დავალებების შესრულებისას გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები, რა შეუძლია მას. სკოლა ახორციელებს სხვადასხვა სახის სასწავლო პროექტებს, ატარებს ღონისძიებებს და გეგმავს ექსკურსიებს. მშობლებში,

მოსწავლეებსა და მასწავლებლებში პერიოდულად ხორციელდება მოსაზრებებისა და საჭიროებების გამოკითხვა და ანალიზი. სწავლება მიმდინარეობს კომპლექსური დავალებების მეშვეობით, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, რომლის ნებისმიერი აზრი მისაღები და წახალისებულია მასწავლებლის მიერ. ამ დროს მოსწავლე აქტიურია, ხოლო მასწავლებელი ასრულებს ფასილიტატორის როლს. ის მოსწავლესთან ერთად გეგმავს სასწავლო პროცესს, აძლევს მას დავალებების არჩევის შესაძლებლობას. სკოლას გააზრებული აქვს, რომ დაწყებით საფეხურზე მნიშვნელოვანი ასპექტია მოსწავლის საჭიროების მუდმივი მონიტორინგი, ამიტომაც, სამომავლოდ ამ მიმართულებით გეგმავს მეტად გააქტიურებას. კერძოდ, მასწავლებლები ჩაატარებენ გამოკითხვებს, საჭიროების კვლევას და სხვ.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. სკოლაში არის მეგობრული, ურთიერთთანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემო. ტარდება ურთიერთდასწრების გაკვეთილები, მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას. პედაგოგების მიერ კოლეგების მიმართ გაცემული უკუკავშირი განვითარებაზეა ორიენტირებული. გადაწყვეტილების მიღებისას იკვეთება გუნდურობა და კოლეგიალურობა. მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესი, პასუხისმგებლობის დელეგირება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, დანერგილი კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი სკოლის წარმატებული გამოცდილებაა. სკოლა მზადაა, შეინარჩუნოს თანამშრომლობითი გარემო სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის მხრიდან სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდის მდგრადობისა და საერთო წარმატებისთვის.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა უზრუნველყოფს სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატს.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
2. პროექტები, საკლუბო მუშაობა , არაფორმალური განათლება;
3. სასკოლო პროექტი
4. ურთიერთდასწრების რეფლექსიები
5. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა (2023-2024);
6. საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
7. საჯარო სკოლის სტარტეგიული განვითარების გეგმა;
8. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;

9. კათედრის სხდომის ოქმები;
10. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

X შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია თუ როგორ ხორციელდება კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტის თანახმად კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და მონიტორინგი ამ პროცესის უწყვეტი ნაწილია, ჩამოყალიბებულია შესაბამისი კითხვები, რომელთა ანალიზი კურიკულუმის მონიტორინგისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების საშუალება იქნება. ასევე იგეგმება მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება, რაც ასევე კურიკულუმის შეფასების საფუძველი იქნება. კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების რამდენიმე ფორმა არსებობს დაწყებით საფეხურზე, მათ შორის კომპლექსური დავალების ანალიზი, რომლის დროსაც მასწავლებელი აღრიცხავს მოსწავლეთა შედეგებს კომპლექსურიდან კომპლექსურამდე, ასევე თემატური მატრიცის ან კომპლექსური დავალების გაუმჯობესების გზებსა და რეკომენდაციებს. აღნიშნული შეფასება სასწავლო წლის ბოლოს წარედგინება დაწყებითების კათედრებს, სადაც ხდება თითოეული მასწავლებლის მოსაზრებისა და რჩევის გაზიარება და

გათვალისწინება შემდეგი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში. დაწყებით საფეხურზე ტარდება დიაგნოსტიკური წერები, სასწავლო წლის დასაწყისში და ბოლოს.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სკოლაში არსებული მონიტორინგისა და შეფასების ფორმები სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებასა და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. დიაგნოსტიკური წერები, როგორც განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ჩატარდა მესამე და მეოთხე კლასებში, ემსახურებოდა მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებას, მათ მონიტორინგს, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების წარმოჩენას. 2022-2023 წლებში განხორციელებულმა პრე და პოსტ ტესტებმა გამოკვეთა სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება ამ მიმართულებითაც. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ისევე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სკოლაში ფუნქციონირებს სწავლის პროცესის/ ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, რომლიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; სკოლაში ინტენსიურად ხორციელდება სწავლების ხარისხის მონიტორინგი, მოსწავლეების შედეგების კვლევა და ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების მოძიება/დანერგვა. სკოლაში მონიტორინგი ემსახურება პრობლემების იდენტიფიცირებასა და წარმატების გაზომვას. მიმდინარე სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს მონიტორინგის მექანიზმის კიდევ უფრო ეფექტურად/მიზნობრივად ამოქმედდებას, რაც შეაფასებს მიღწევებს და ასევე გამოკვეთს მიმართულებებს, სადაც საჭიროა დახმარება/მხარდაჭერა. სკოლა გეგმავს გაძლიერებას ხარისხის განვითარების ჯგუფის მუშაობის მეთოდოლოგიის დახვეწისა და გამრავალფეროვნების მიმართულებით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია;
2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი;
3. პროექტები, საკლუბო მუშაობა , არაფორმალური განათლება;
4. სკოლის თვითშეფასების ფორმა;
5. სასკოლო - სასწავლო გეგმა;
6. საგნობრივი კათედრების ოქმები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა შეფასება ხდება სხვადასხვა წყაროების დახმარებით. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა ძლიერი მხარეების წარმოჩენას და სუსტი მხარეების გაუმჯობესებას. მოსწავლეთა შეფასება ხდება, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი (მეხუთე კლასის მეორე სემესტრში და მეექვსე კლასში) შეფასებით. მოსწავლეებს აფასებენ, როგორც ტესტებით და დამოუკიდებელი დავალებებით, ისე სხვადასხვა სახის პროექტებით და პრეზენტაციებით. რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ახერხებენ შეაფასონ საკუთარი კვლევის, ცოდნის გამოყენების და პრეზენტაციის უნარები. შეფასების ეს შესაძლებლობა ეხმარება მოსწავლეებს განუვითარდეთ დამოუკიდებლად აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის მნიშვნელოვანი უნარები. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესის მონიტორინგს და შეფასებებს ძირითადად მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების საფუძველზე აკეთებს. ინტერვიუს პროცესში გასაუბრებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში სკოლას მშობლებთან პირდაპირი კომუნიკაციის გამოყენების პრაქტიკაც გააჩნია.მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე, არამედ, მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია.
2. მოსწავლეთა მრავალმხრივი კონტექსტით შეფასებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებას. დაწყებით საფეხურზე გამოყენებულია მოსწავლეთა მიღწევების იდენტიფიცირებისთვის ისეთი ტიპის დავალებები, რომელიც იძლევა სურათს მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების შესახებ. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები ცოდნას აგებენ ინდივიდუალურად, წყვილში, ჯგუფებში მუშაობით, საშინაო თუ საკლასო დავალებებით, კლასგარეშე აქტივობებით, რომელიც შესაბამისად, ფასდება განსხვავებული შეფასების რუბრიკებით და განმავითარებელი შეფასებით, რაც საბოლოო ჯამში გვაჩვენებს მოსწავლის წარმატებას დინამიკაში. სკოლა მოსწავლეს ხედავს სხვადასხვა კონტექსტში და ცდილობს მის წარმოჩენას/ შეფასებას. შეფასების დროს გათვალისწინებულია ყველა ინდივიდუალური ფაქტორი (შესაძლებლობები, უნარები, გამოცდილებები, წინაპირობები, პიროვნულობა , თვითგანსაზღვრა და სხვა)“ პედაგოგებმა ინტირვიუს დროს ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ მოსწავლეთა ხელშეწყობის მიზნით იქმნება სოციალური თუ კოგნიტურად ხელსაყრელი გარემო სასწავლო პროცესში; ამისათვის ფორმალურთან ერთად იყენებენ არაფორმალურ აქტივობებს, მაგ.: ექსკურსიებს, გასვლით გაკვეთილებს, იწვევენ სტუმრებს და სხვა.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია.
3. შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება სკოლას ეხმარება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაში და სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებაში, სწავლის უნარების დეფიციტის იდენტიფიცირებასა და გაუმჯობესების გზების მოძიებაში; დაწყებითი კლასების კათედრაზე დამკვიდრებულია მოსწავლეთა შეფასებისას დროისა და

სივრცის გათვალისწინება, მთელი რიგი ფაქტორებით, რომლებსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე (მოსწავლის პიროვნულ თუ ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე). მონაცემების შეგროვებისთვის დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები იყენებენ ღია და დახურული ტიპის ტესტებს, კომპლექსურ დავალებებს, პროექტებს, აანალიზებენ საშინაო თუ საკლასო დავალებებს, რაც იძლევა მკაფიო სურათს მოსწავლეთა პროგრესისა და მიღწევების შეფასებისთვის.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. სასკოლო-სასწავლო გეგმისა და სკოლის თვითშეფასების ფორმის მიხედვით მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, შეფასებისას მასწავლებელი ხედვის სხვადასხვა პერსპექტივებსა და მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს. ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე, მაგალითად, მოსწავლის სიტუაციის შესწავლისას შემფასებელი (დამრიგებელი, მასწავლებელი, დირექცია) მხედველობაში იღებს იმას, რომ ბავშვის მდგომარეობაზე გავლენას ახდენს, არამარტო ოჯახი, მასწავლებლები და მეგობრები, არამედ მშობლების სამსახური, მშობლების სამეგობრო, სანათესავო, თემი და ა.შ. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ და იყენებენ კონსტრუქტივიზმის პრინციპებს და დიფერენცირებულ მიდგომის მეთოდებს. სკოლას აქვს გამოცდილება და სამომავლო ხედვა. მოსწავლის შეფასებისას მასწავლებელი ცდილობს სრული სურათი შეიქმნას მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შესახებ.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
3. სკოლის თვითშეფასების ფორმა
4. სასკოლო-სასწავლო გეგმა
5. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (დაწყებითი საფეხური)

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

X შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში საგნობრივი კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების შესახებ, კერძოდ; მათი მიგნებები, დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. საგნობრივი კათედრების მიერ მოხდება სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული კურიკულუმის რევიზია და ანალიზი, რომლის ფარგლებშიც, მასწავლებლები, კათედრის წევრები, მშობლები და მოსწავლეები საუბრების და მსჯელობის მეშვეობით განიხილავენ განვლილ სასწავლო წელს. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ამ პროცესების განხილვა ხორციელდება უმეტესწილად ზეპირსიტყვიერად, საუბრების საშუალებით. 2023-2024 სასწავლო წლის დასაწყისისთვის იგეგმება სკოლამ შეიმუშაოს კურიკულუმების რევიზიის ინსტრუმენტი, სადაც გაწერილი იქნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდამჭერისთვის საჭირო რეკომენდაციები რაც გააუმჯობესებს შეფასების და გადახედვის პროცესებს. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლის წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს, რომ მომავალში სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახება მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის განმსაზღვრელი რესურსები, ინსტრუმენტები და შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ

მომდევნო სასწავლო წლისთვის შექმნილი კურიკულუმი იქნება მოსწავლეზე ორიენტირებული, გათალისწინებული იქნება სწავლების დიფერენცირებული მიდგომები, უფრო მეტად იქნება მოქნილი და მორგებული სწავლების გრძელვადიან მიზნებზე, გამდიდრებული მრავალფეროვანი რესურსებით. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა; დანართი N8
- დანართი N135; სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი
- ინტერვიუს შედეგები
- კათედრის სხდომის ოქმი

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

X შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები, კურიკულუმის განვითარების ეტაპები, კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, გამიჯნულია კურიკულუმის შემუშავების და განხორციელების პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ფუნქციები. მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებს განვითარების ისეთ მნიშვნელოვან პრინციპს, როგორიცაა მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობა და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გამახვილებულია ყურადღება კონცეპტუალურ ჩარჩოზე, კურიკულუმის დიზაინზე, დანერგვის ინსტრუმენტებზე შუალედურ სასწავლო მიზნებზე, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაციაზე, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციებსა და კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმებზე.
   მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ისინი სასწავლო წლის დაწყებამდე იკრიბებიან, განიხილავენ გასული სასწავლო წლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ცდილობენ დაგეგმონ კურიკულუმის ისეთი ჩარჩო, რომელშიც აღმოფხვრილი იქნება წინა სასწავლო წლის პრობლემები. ასევე, კურიკულუმის დაგეგმვისას თანამშრომლობენ სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან, კურიკულუმის ირგვლივ მსჯელობენ კათედრების სხდომებზე და საბოლოოდ კურიკულუმის დაგეგმვისას მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მასწავლებელთა შეხედულებები და მოსწავლეთა შესაძლებლობები. იმის გათვალისწინებით რომ მშობელი სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილია აქტიურად თანამშრომლობენ მათთან, ხვდებიან მათ, მშობელთა კრებებზე აცნობენ კურიკულუმში გაწერილ შუალედურ და გრძელვადიან მიზნებს, იღებენ მათგან უკუკავშირს. სკოლა სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებამდე გეგმავს პედაგოგებისთვის, მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის შეიმუშავოს გამოკითხვის ფორმა, რაც ხელს შეუწყობს ახალ სასწავლო წელს კურიკულუმის გაუმჯობესებული ვარიანტის შემუშავებას.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში სკოლა ითვალისწინებს და კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ ამ პროცესს ხელი შეუწყო წინასწარ დაგეგმილმა შეხვედრებმა კათედრის წევრებთან და მშობლებთან. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ ისინი მოიცავენ მოსწავლეთა ინტერესების სფეროებს. ასევე აღინიშნა, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა შედეგების ანალიზს, რა იყო მათთვის ყველაზე საინტერესო და რაზე გაუჭირდათ მუშაობა. მოსწავლეთა ინტერესების და დიფერენცირებული მიდგომების საფუძველზე მასწავლებლები ქმნიან და ავითარებენ სასკოლო კურიკულუმს, რითაც სასკოლო კლიმატი ხდება მეტად უსაფრთხო და პოზიტიური. სკოლაში განხორციელებულია არაერთი საინტერესო პროექტი, რის დამადასტურებლადაც წარმოდგენილი იქნა მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტებისა და შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.
3. სსიპ-ქალაქ თბილისის N60 საჯარო სკოლის საბაზო საფეხურზე კურიკულუმებზე მუშაობის პროცესი ციკლურია, პროცესის თანამონაწილეები არიან სხვადასხვა კათედრები, მასწავლებლები, მოსწავლეები, რიგ შემთხვევებში - მშობლებიც; მასწავლებლები პროცესის მიმდინარეობისას ეყრდნობიან წინა წლის გამოცდილებას და ანახორციელებენ მოდიფიცირებას მშობელთა და მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია
4. სსიპ-ქალაქ თბილისის N60 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის თემატიკა მორგებულია თითოეულ ინდივიდზე და ითვალისწინებს თანამედროვე სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს; პრიორიტეტები განისაზღვრება სხვადასხვა კათედრების შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი ხარვეზების/მიღწევების მიხედვით; ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, საბაზო საფეხურზე, ტარდება მოსწავლეების მშობლებთან შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მშობლებს დამრიგებლების მხრიდან მიეწოდებათ ინფორმაცია სასწავლო პროცესში არსებული სიახლეების შესახებ; მშობლები ეცნობიან წინასწარ გაწერილ კომპლექსური დავალების ეტაპებს, კათედრებზე მომზადებულია კომპლექსური დავალების ბარათები, რომელთაც კლასის დამრიგებელი უზიარებს მშობლებს, პირისპირ ან/და ონლაინ ფორმით; სოციალურ ქსელში, (როგორიცაა Teams-ის და Facebook-ის ჯგუფები თითოეული კლასისთვის, მშობლებისთვის და თანამშრომლებისთვის). სკოლის გვერდზე, პერმანენტულად ხდება გაზიარება კათედრებზე განხორციელებული აქტივობების, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის/თემისთვის, გარდა ამისა, შექმნილია კლასის (დახურული) ჯგუფები, რომელშიც დამრიგებლები, ყოველდღიურ რეჟიმში აზიარდებებ სიახლეებს, განხორციელებული/განსახორციელებელი აქტივობების ნუსხას, მიზნობრივ რეკომენდაციებს/სტატიებს აღმზრდელობით საკითხებსა და ბავშვთა ფსიქოლოგიის შესახებ; აგრეთვე, სკოლას აქვს ბლოგი, რომელიც განახლების ეტაპზეა. სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც მუდმივად ხდება საინტერესო/სახალისო აქტივობების ნუსხის განახლება, მოსწავლეთა ნამუშევრების, ნახატების გამოფენა;
ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმი
2. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
3. სკოლის თვითშეფასების ფორმა

4. სასკოლო-სასწავლო გეგმა
5. 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ქმნის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას იმდენად, რამდენადაც დოკუმენტში ასახულია კომპლექსური ტიპის დავალებები, რაც თავისთავად გულისხმობს მოსწავლეზე ორინეტირებულობასა და ზოგადად, კონსტრუქტივისტული მიდგომების დანერგვას სასწავლო პროცესში. ამასთან, აქვთ მკაფიო ხედვა, როგორ გააქტიურონ საფეხურის სამიზნე ცნებები საეტაპო აქტივობებისა თუ თემის შემაჯამებელი დავალებების საშუალებით. თემატური დაგეგმვისას გათვალისწინებულია საბაზო საფეხურის მოსწავლეების ინტერესები და ასაკობრივი თავისებურებები
საბაზო საფეხურის საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმებში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. უპირატესობა ენიჭება თემების შესწავლას სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი თემატური ბლოკების, თემების და საკითხების შესაბამისად.
წარმოდგენილ ჩარჩოებში სასწავლო წლის განმავლობაში შუალედური მიზნები იმგვარადაა გაწერილი, რომ ზედმიწევნით პასუხობს ესგ-ის მიერ საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ ინდიკატორებს. წარმოდგენილ ჩარჩოებში ნათლად ჩანს სამიზნე ცნების მისაღწევი გზები.
კურიკულუმში წარმოდგენილი თემები, თემების შესაბამისი საკითხები და საკითხთა კლასტერი, კომპლექსური დავალებები, საგანმანათლებლო აქტივობები, რესურსები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე.
ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. გრძელვადიანი მიზნების, ე.წ გლობალური ფუნქციური უნარებისა და საგნობრივი ცოდნის კავშირი წარმოჩენილია საგნობრივი კურიკულუმის იმ ნაწილში, სადაც სასწავლო თემები დაკავშირებულია მოსწავლისთვის ნაცნობ სიტუაციებთან, მათ დასამუშავებლად კი

შერჩეულია ცხოვრებისეული კონტექსტ მაგალითები. გასაუბრებისას მასწავლებლებმა იმსჯელეს, თემის-დანაშაული და პასუხისმგებლობა-შესწავლისას ტექსტის გაგება-გააზრებასთან ერთად, როგორ იმუშავებენ, მაგალითად, ფუნქციურ-კომპონენტურ უნარზე-მოქალაქეობა.

კომპლექსური ბუნების დავალებების დაგეგმვით კი თავისთავად უბიძგებენ მოსწავლეებს თანამშრომლობითი და კომუნიკაციური უნარების განვითარებისკენ. საგანთა ინტეგრირება (მაგალითად, ქართული ლიტერატურა და ხელოვნება), რისი გამოცდილებაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ისე ზეპირი რეფლექსიით, ხაზს უსვამს, რომ ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაზე ზრუნვა კათედრისთვის მნიშვნელოვანია.

მოსწავლეებს ისეთი პროდუქტების შექმნას სთავაზობენ, მაგალითად, მე–8 კლასელებს საინფორმაციო ბუკლეტის შექმნა სკოლაში-როგორ მივმართოთ ადგილობრივ თვითმმართველობას მაწანწალაა ძაღლების პრობლემის მოსაგვარებლად,რაც გამოიწვევს,მოქალაქეობის შემოქმედებითი,კრიტიკული,თანამშრომლობითი უნარის განვითარებას. შემოქმედებით ,ასევე კრიტიკულ აზროვნებას განავითარებას გამოიწვევს, მაგალითად მე–9 კლასელებისთვის სტატიის/არგუმენტირებული ესეს დაწერა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების მიზეზების კვლევაზე, ამ საკითხთან დაკავშირებული წყაროების მიხედვით ანუ მოსწავლისთვის შეიქმნა საინტერესო დავალების პირობა, რომელიც ერთგვარი გამოწვევაცაა მისთვის, რადგან მოსწავლემ დავალებაში წარმოჩენილი ამოცანა/პრობლემა ორიგინალურად, შემოქმედებითად, საკითხზე ორიენტირებულად უნდა გადაწყვიტოს.

წარმოდგენილ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები (ქვეცნებები), თემები, საკითხები, რესურსები იძლევა შესაძლებლობას პროცესი იყოს ორიენტირებული ფუნქციურ კომპონენტურ უნარებზე, კერძოდ მე-7 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეა „სპორტსმენების ანალიზი“ მიემართება შემდეგ ფუნქციურ უნარებს: შემოქმედობითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ნებელობა. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმში სასწავლო პროცესის დიფერენცირების რეალურ მცდელობაზე მეტყველებს რამდენიმე ფაქტორი:

ა) სასწავლო თემების შერჩევისას მოსწავლეთა ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება; ბ) მოდიფიცირებული და კლასის საჭიროებასა და წინარე გამოცდილებას მორგებული კომპლექსური ბუნების რამდენიმე დავალება; გ) ინდივიდულური სასწავლო გეგმები, რომელთა საფუძველზეც ირკვევა, რომ კათედრის წევრებს შეუძლიათ, განსაზღვრონ სასწავლო მიზნები სსსმ მოსწავლეებისთვის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით; მასწავლებლების წინარე გამოცდილება და მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების ანალიზის უნარი ცხადყოფს, რომ შეუძლიათ სასწავლო პროცესი დაგეგმონ ისე, რომ გამოიყენონ დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები.

კომპლექსური დავალებებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი , საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. ამ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუ, რომლის დროსაც მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივოების, პროექტების განხორციელების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის, აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენცირებას. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს ეძლევთ შესაძლებლობა მოსწავლეებს შესთავაზონ სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის მრავალფეროვანი მეთოდები (მაგალითად მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში იყენებენ სხვადასხვა ვიდეო და აუდიო დამხმარე მასალას).

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. აღნიშნულის დამადასტურებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ სკოლის მიერ წარმოდგენილი ი.ს.გ, ადაპტირებული კომპლექსური დავალებები და კურიკულუმის დაგეგმვისას დიფერენცირეული სწავლების გამოყენება.
კურიკულუმში გათვალისწინებული კომპლექსური დავალებების პირობა , კრიტერიუმები და აქტივობები ფორმულირებულია ისე რომ ფარავს ცოდნის სამივე კატეგორიას და აგებულია მარტივიდან რთულისკენ. გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. გარდა ამისა კომპლექსური დავალების წარმოდგენილი ნიმუშები მოსწავლეს აძლევს აირჩიოს მისთვის სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის ფორმა, რაც დიფერენცირებული მიდგომის ელემენტებია . ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების გრძელვადიან მიზნებთან მიმართება ჩანს კათედრის მიერ თითოეული საფეხურისთვის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) მტკიცებულებად ატვირთული შეფასების რუბრიკების ნიმუშებში. საანალიზოდ სკოლამ წარმოადგინა როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებისა და საგნობრივი სტანდარტის თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგებიდან. მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, რა მოეთხოვება მოსწავლეს კონკრეტული დავალების შესრულებისას. კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ზუსტად ეხმიანება ამავე დავალების პირობაში მოცემულ მოთხოვნებს, რაც ადასტურებს, რომ მოსწავლისთვის თავიდანვე ნათელია, რა ცოდნის წარმოჩენა ევალება.
ინტერვიუსას მასწავლებლებმა ხაზი გაუსვეს, რომ ისინი იყენებენ ასევე სიტყვიერ განმავითარებელ კომენტარებს/შეფასებებს სწავლების პროცესში. მათ აღნიშნეს, რომ განმავითარებელი კომენტარის გაკეთებისას ცდილობენ ჯერ დადებითი ასპექტები წარმოაჩინონ, შემდეგ კი გასაუმჯობესებელ მხარეზე ისაუბრონ. მათთვის მნიშვნელოვანია მოსწავლის მიმღებლობა განმავითარებელი შეფასების მიმართ.
წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, რომელიც ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის ტაქსონომიას. რომლებიც ზოგად წარმოდგენას ქმნის დაწყებითი საფეხურის ფარგლებში შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ისეა ჩამოყალიბებული რომ ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მიმდინარეობისას სხვადასხვა სახის მეთოდური ორიენტირების გამოკვეთას. გულისხმობს მოსწავლის მხრიდან შესრულებული სამუშაოს აღწერას და წარმოდგენილი ნაშრომის გასიტყვებას და შეფასებას.
შეფასების რუბრიკების შექმნაში მონაწილეობენ მოსწავლეებიც და მათ წინასწარ იციან ის კრიტერიუმები , რომლითაც შეფასდება მათი დავალება.
უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული რუბრიკები შუალედურ მიზნებთან მიმართებით ნამდვილად ვალიდური შეფასების ინსტრუმენტია, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით განზოგადებულ რუბრიკებზე. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლას აქვს გამოცდილება შექმნას განმავითარებელი შეფასების რუბრიკა შუალედურ დავალებასთან მიმართებით, აღნიშნული კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. კურიკულუმის შედგენისას წინარე გამოცდილება გათვალისწინებულია იმ თვალსაზრისით, რომ 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებისას მასწავლებლები დაეყრდნენ წინა სასწავლო წელს, კომპლექსური დავალებების დანერგვა-განხორციელების პროცესში მიღებულ გამოცდილებას. შეიტანეს დავალებები, რომელთა შექმნის პროცესშიც მოსწავლეებმა განსაკუთრებული ინტერესი და მოტივაცია გამოავლინეს. მართალია, კათედრას დოკუმენტური სახით არ წარმოუდგენია პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, თუმცა

გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ ეფექტიანი თანამშრომლობის კულტურა, აანალიზებენ მოსწავლეების ნამუშევრებს, გამოყოფენ მიღწევებსა თუ ტიპურ ხარვეზებს და ერთად გეგმავენ სამომავლო აქტივობებს.
გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი დაგეგმვის პროცესში ურთიერთთანამშრომლობენ და ერთმანეთთან განიხილავენ მიღწეულ შედეგებს, დაგროვილ გამოცდილებას.(იხილეთ,კათედრის სამოქმედო გეგმა,ოქმები) ისინი მსჯელობენ რომელმა აქტივობამ თუ დავალებამ რა შედეგი გამოიღო, როგორ მოხდა მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, მათი მოტივაციის ამაღლება და უკეთესს შედეგებზე გასვლა. ისინი იყენებენ ერთმანეთის მიერ დანერგილ „წარმატებულ“ აქტივობებსაც.
ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ კურიკულუმის შევსებისას თანამშრომლობენ კათედრაზე. გაითვალისწინეს საგნის სწავლების წარმატებული გამოცდილება და ასახეს კურიკულუმის ჩარჩოში.
ჩატარებული კომპლექსურების ანალიზით და მიღებული შედეგების გათვალისწინებით იგეგმება შემდეგი კომპლექსური დავალება,რომელიც მორგებულია შესაბამისი უნარებსა და გამოცდილებას. მოსწავლეთა დავალებების შეფასების და ანალიზის საფუძველზე მასწავლებელი კათედრის წევრებთან, ერთობლივად მუშაობს მომდევნო წლის კურიკულუმზე. აღნიშნული კრიტერიუმის დამდასტურებლად, შეგვიძლია მივიჩნიოთ დაწყებით საფეხურზე ოთხი წლის შემაჯამებელი ოქმი, სადავ განხილულია მიღწეული შედეგები და შედეგებზე დაყრდნობით მიღეულია გადაწყვეტილებები მომავალში სამოქმედოდ.ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი
- პროექტი
- ინდ.გეგმები
- თვითშეფასების ფორმა
- ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- ოქმები
- ინტერვიუ

შეფასება:
- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

X შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1 სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ და შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სასწავლო პროცესში განხორციელებული პროექტები, სასკოლო კლუბები და სასკოლო კურიკულუმში გაწერილი შუალედური მიზნები ხელს უწყობს მოსწავლეს აქტიურად ჩაერთოს შემოქმედებით პროცესებში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. ცოდნის კონსტრუირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სასწავლო თემების მოსწავლისთვის ნაცნობ, შინაარსიან კონტექსტებთან დაკავშირებაა, რაც მას წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის აგებაში ეხმარება. წარმოდგენილ კურიკულუმში ეს პრინციპი დაცულია იმ თვალსაზრისით, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა შინაგანი მზაობა და ინტერესები. კონსტრუქტივსტული სწავლების ერთ-ერთი მთავარი პრინციპი წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახალის შენებაა. სწორედ აღნიშნული პრინციპის მიხედვით არის შექმნილი საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი ჩარჩო კურიკულუმები, სადაც შუალედური მიზნები (კომპლექსური დავალებები) იმგვარად არის შერჩეული და გადანაწილებული, რომ მოსწავლეს აძლევს მიღებული ცოდნის გამოყენების საშუალებით ახალი ცოდნა შეიძინოს. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სასკოლო განათლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოსწავლეს განუვითაროს თვითდასწავლის უნარები. სწავლის სწავლა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია. აღნიშნული სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შერჩეული თემები, შუალედური მიზნები და მათი განხორციელების გზები მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას სწორად განვითარდნენ და შეიძინონ საჭირო უნარები ამ მიმართულებით. კურიკულუმში, შეიძლება ითქვას, ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები იმ თვალსაზრისით, რომ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პრეზენტაციის ეტაპი თავისთავად მოითხოვს, იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, რა და როგორ შეასრულა კრიტერიუმებიდან. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სასაწავლო პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეების მხრიდან ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებას, რაც დასტურდება იმით, რომ კურიკულუმში მოცემული დავალებები მოითხოვს როგორც დეკლარატიული, ისე პროცედურული და პირობისეული ცოდნის გამოყენებას. მასწავლებლებმა კონკრეტული თემის ფარგლებში გააქტიურებული საგნობრივი ქვესაკითხების მაგალითზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია ცოდნის სამივე კატეგორიის გათვალისწინებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. საბაზო საფეხურზე სასკოლო კურიკულუმები შედგენილია საგნობრივი, ანუ პირველი და მეორე უცხოური ენის სტანდარტის მიხედვით. VII-IX კლასების კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლისაგან მოითხოვს საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით და ცოდნის მობილიზებით შექმნას პროდუქტი, რაც თავის მხრივ ადასტურებს იმას, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები საბაზო საფეხურზე

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილი კურიკულუმებში წარმოჩენილია საფეხურის სამიზნე ცნებები, ცოდნა, რომელსაც მოსწავლე კონკრეტული თემის, საკითხის, ქვესაკითხის შესწავლისას უნდა დაეუფლოს. ამ ცოდნისკენ სვლა კი კონსრუქტივისტული სწავლის მეთოდებით ხორციელდება. აღნიშნული უპირველეს ყოვლისა დასტურდება კომპლექსური ტიპის დავალებებით და მასწავლებლებთან გასაუბრებით. წარმოდგენილია რამდენიმე თემატური მატრიცა სხვადასხვა საგანში. საგნობრივი საკითხების დასამუშავებლად შერჩეული აქტივობები ხელს უწყობს, რომ მოსწავლემ ნაბიჯ-ნაბიჯ, ცოდნათა დაკავშირებითა და პროცესის თვითორგანიზებით შეიმეცნოს ქვესაკითხები და წარმოადგინოს საბოლოო დავალებაში. ამდენად, სტანდარტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. წარმოდგენილ კურიკულუმში სასწავლო თემებისა და საგნობრივი საკითხების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ემოციური და ფსიქოლოგიური მზაობა. მაგალითად, თანატოლების ცხოვრება, მშობლები და შვილები, ურთიერთობები მოზარდებს შორის და ამ თემებთან დაკავშირებული ტექსტები, მოსწავლის ცხოვრებისეული კონტექსტებია და მათზე მსჯელობა მნიშვნელოვანია მისი პიროვნული ზრდისა და ემოციური განვითარებისთვის. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და სასკოლო პროექტები საშუალებას მისცემს მოსწავლეს ამოიცნოს საკუთარი ემოციები, ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია (თანაგრძნობა) სხვების მიმართ, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს. გარდა საგნობრივი კურიკულუმისა, სასკოლო გეგმის ზოგად ნაწილშიც ხაზგასმულია, რომ სკოლისთვის ჯანსაღი სასწავლო გარემოს ნაწილია მოსწავლის პიროვნული და ფსიქოემოციური განვითარება. ამდენად, სტანდარტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით სკოლას გააზრებული აქვს ჰოლოსტური შეფასების მნიშვნელობა. მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. მასალებში მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად წარმოდგენილია კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. ასევე, ინსტრუმენტი- სოლოტაქსონომია, რომელიც წარმოაჩენს მოსწავლის მიღწევებს სამიზნე ცნებებთან მიმართებით. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეხმარებათ მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებასა და პროგრესის შეფასებაში, რის საფუძველზეც გეგმავენ სასწავლო პროცესს. ამდენად, სტანდარტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. კათედრა მოსწავლეებს აფასებს კომპლექსური ტიპის დავალებების საფუძველზე, იყენებს განმავითარებელი და განმსზაღვრელი შეფასების რუბრიკებს, რომლებიც წარმოდგენილია ატვირთულ მასალაში სხვადასხვა საგნისთვის. განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშებში აქცენეტები გაკეთებულია სტანდარტის მისაღწევ შედეგებზე, რაც შეფასებას უფრო ვალიდურს ხდის. მაგალითისათვის, შეფასების

რუბრიკებში კრიტერიუმები მიემართება გრძელვადიან მიზნებს ანუ სამიზნე ცნებებს, რაც ადასტურებს, რომ მოსწავლეების პროგრესი იზომება საგნობრივი სტანდარტის გრძელვადიან მიზნებთან მიმართებით. ამდენად, სტანდარტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგ საკითხებს: შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები; ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ). დეტალურადაა გაწერილი თუ როგორ ხდება ვერიფიკაციის პროცესი, შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა, ვალიდაციის წესი და პროცედურა. საბაზო საფეხურზე კათედრები უფრო სპეციფიური მექანიზმებით მუშაობს, კერძოდ, განმსაზღვრელი ისე განმავითარებელი შეფასება გვაძლევს მოსწავლის მრავალმხრივ შეფასების შესაძლებლობას; მრავალკომპონენტიანობა და სხვადასხვა წყაროზე დაფუძნებული შეფასება მოსწავლის შესაძლებლობების მრავალმხრივ გაანალიზებაში ეხმარება მათ. მოსწავლის შეფასება ხელმისაწვდომია მშობლებისთვის (ინდივიდუალურად), ინფორმაციის გაზიარება მშობლებისთვის შესაძლებელია როგორც სემესტრის განმავლობაში (დაინტერესების შემთხვევაში, მოსწავლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენა/გაღრმავების მიზნით), ისე სემესტრის ბოლოს; შეფასებისას, კათედრები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, აანალიზებს მის მიღწევებს და შეიმუშავებს მხარდაჭერის მექანიზმებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

6.თითოეული დოკუმენტი, რომელშიც მოსწავლეზე რაიმე ინფორმაციაა დაფიქსირებული, მათ შორის პირადი საქმეები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება და ა.შ. ინახება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, სკოლის კანცელარიაში. მოსწავლეთა მობილობის განხორციელების დოკუმენტაციის განთავსება ხდება ორგანიზებულად. სკოლაში ჟურნალების მონიტორინგზე განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, რომელიც გარკვეული პერიოდულობით, განვლილი სასწავლო წლის ბოლოს, აარქივებს ყველა დოკუმენტაციას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შეფასების ვერიფიკაცია
2. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
3. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
4. საბაზო საფეხურის კურიკულუმები.
5. თვითშეფასების ფორმა
6. სასკოლო სასწავლო გეგმა
7. კათედრების ოქმები;
8. სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
9. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მხარდამჭერ და მიმღებლობით სასწავლო გარემოს. კურიკულუმზე მუშაობისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები, იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, გამოიყენება სწავლების უნივერსალური დიზაინი, იგეგმება და ხორციელდება სასკოლო თუ საკლასო ღონისძიებები, არაფორმალური განათლება მოსწავლეს უჩენს ნდობის, დაცულობის, მიმღებლობის განცდას. ამას ადასტურებს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ორიენტირებული თანამშრომლობა. მასწავლებლებს შორის ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, რჩევების მიცემა და გამოცდილების გაზიარება. პედაგოგების მიერ კოლეგების მიმართ გაცემული უკუკავშირი ძირითადად პროგრესსა და განვითარებაზეა ორიენტირებული. ახალბედა კადრის მიმართ კოლექტივის მიმღებლობა დადებითი და კონსტრუქციულია. წარმოდგენილი დოკუმენტაციით აგრეთვე დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვისაც საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. ეს ყველაფერი, კი მხარდამჭერი და პოზიტიური გარემოს დასტურია.

   ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. სწავლა ხორციელდება მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე. კომპლექსური დავალებების შესრულებისას გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები, რა შეუძლია მას. სკოლა ახორციელებს სხვადასხვა სახის სასწავლო პროექტებს, ატარებს ღონისძიებებს და გეგმავს ექსკურსიებს. მშობლებში, მოსწავლეებსა და მასწავლებლებში პერიოდულად ხორციელდება მოსაზრებებისა და საჭიროებების გამოკითხვა და ანალიზი. სწავლება მიმდინარეობს კომპლექსური დავალებების მეშვეობით, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, რომლის ნებისმიერი აზრი მისაღები და წახალისებულია მასწავლებლის მიერ. ამ დროს მოსწავლე აქტიურია, ხოლო მასწავლებელი ასრულებს ფასილიტატორის როლს. ის მოსწავლესთან ერთად გეგმავს სასწავლო პროცესს, აძლევს მას დავალებების არჩევის შესაძლებლობას. სკოლას გააზრებული აქვს, რომ საბაზო საფეხურზე მნიშვნელოვანი ასპექტია მოსწავლის საჭიროების მუდმივი მონიტორინგი, ამიტომაც, სამომავლოდ ამ მიმართულებით გეგმავს მეტად გააქტიურებას. კერძოდ, მასწავლებლები ჩაატარებენ გამოკითხვებს, საჭიროების კვლევას და სხვ.

   ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. სკოლაში არის მეგობრული, ურთიერთთანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემო. ტარდება ურთიერთდასწრების გაკვეთილები, მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას. პედაგოგების მიერ კოლეგების მიმართ გაცემული უკუკავშირი განვითარებაზეა ორიენტირებული. გადაწყვეტილების მიღებისას იკვეთება გუნდურობა და კოლეგიალურობა. მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესი, პასუხისმგებლობის დელეგირება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, დანერგილი კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი

სკოლის წარმატებული გამოცდილებაა. სკოლა მზადაა, შეინარჩუნოს თანამშრომლობითი გარემო სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის მხრიდან სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდის მდგრადობისა და საერთო წარმატებისთვის.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა უზრუნველყოფს სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმი
2. პროექტები, საკლუბო მუშაობა, არაფორმალური განათლება;
3. სასკოლო პროექტი
4. ურთიერთდასწრების რეფლექსიები
5. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა (2023-2024);
6. საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
7. საჯარო სკოლის სტარტეგიული განვითარების გეგმა;
8. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
9. კათედრის სხდომის ოქმები;
10. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

X შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3 1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია თუ როგორ ხორციელდება კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტის თანახმად კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და მონიტორინგი ამ პროცესის უწყვეტი ნაწილია, ჩამოყალიბებულია შესაბამისი კითხვები, რომელთა ანალიზი კურიკულუმის მონიტორინგისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების საშუალება იქნება. ასევე იგეგმება მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება, რაც ასევე კურიკულუმის შეფასების საფუძველი იქნება. კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების რამდენიმე ფორმა არსებობს საბაზო საფეხურზე, მათ შორის კომპლექსური დავალების ანალიზი, რომლის დროსაც მასწავლებელი აღრიცხავს მოსწავლეთა შედეგებს კომპლექსურიდან კომპლექსურამდე, ასევე თემატური მატრიცის ან კომპლექსური დავალების გაუმჯობესების გზებსა და რეკომენდაციებს. აღნიშნული შეფასება სასწავლო წლის ბოლოს წარედგინება კათედრებს, სადაც ხდება თითოეული მასწავლებლის მოსაზრებისა და რჩევის გაზიარება და გათვალისწინება შემდეგი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში. საბაზო საფეხურზე ტარდება დიაგნოსტიკური წერები, სასწავლო წლის დასაწყისში და ბოლოს.

   ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სკოლაში არსებული მონიტორინგისა და შეფასების ფორმები სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებასა და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. დიაგნოსტიკური წერები, როგორც განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ჩატარდა მერვე კლასებში, ემსახურებოდა მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებას, მათ მონიტორინგს, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების წარმოჩენას. 2022-2023 წლებში განხორციელებულმა პრე და პოსტ ტესტებმა გამოკვეთა სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება ამ მიმართულებითაც. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ისევე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით.

   ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სკოლაში ფუნქციონირებს სწავლის პროცესის/ ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, რომლიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; სკოლაში ინტენსიურად ხორციელდება სწავლების ხარისხის მონიტორინგი, მოსწავლეების შედეგების კვლევა და ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების მოძიება/დანერგვა. სკოლაში მონიტორინგი

ემსახურება პრობლემების იდენტიფიცირებასა და წარმატების გაზომვას. მიმდინარე სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს მონიტორინგის მექანიზმის კიდევ უფრო ეფექტურად/მიზნობრივად ამოქმედდებას, რაც შეაფასებს მიღწევებს და ასევე გამოკვეთს მიმართულებებს, სადაც საჭიროა დახმარება/მხარდაჭერა. სკოლა გეგმავს გაძლიერებას ხარისხის განვითარების ჯგუფის მუშაობის მეთოდოლოგიის დახვეწისა და გამრავალფეროვნების მიმართულებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
2. საბაზო საფეხურის კურიკულუმი
3. პროექტები, საკლუბო მუშაობა , არაფორმალური განათლება
4. სკოლის თვითშეფასების ფორმა
5. სასკოლო - სასწავლო გეგმა
6. საგნობრივი კათედრების ოქმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასება ხდება სხვადასხვა წყაროების დახმარებით. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა ძლიერი მხარეების წარმოჩენას და სუსტი მხარეების გაუმჯობესებას. მოსწავლეთა შეფასება ხდება, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებით. მოსწავლეებს აფასებენ, როგორც ტესტებით და დამოუკიდებელი დავალებებით, ისე სხვადასხვა სახის პროექტებით და პრეზენტაციებით. რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ახერხებენ შეაფასონ საკუთარი კვლევის, ცოდნის გამოყენების და პრეზენტაციის უნარები. შეფასების ეს შესაძლებლობა ეხმარება მოსწავლეებს განუვითარდეთ დამოუკიდებლად აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის მნიშვნელოვანი უნარები. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესის მონიტორინგს და შეფასებებს ძირითადად მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების საფუძველზე აკეთებს. ინტერვიუს პროცესში გასაუბრებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში

სკოლას მშობლებთან პირდაპირი კომუნიკაციის გამოყენების პრაქტიკაც გააჩნია. მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე, არამედ, მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. მოსწავლეთა მრავალმხრივი კონტექსტით შეფასებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებას. საბაზო საფეხურზე გამოყენებულია მოსწავლეთა მიღწევების იდენტიფიცირებისთვის ისეთი ტიპის დავალებები, რომელიც იძლევა სურათს მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების შესახებ. საბაზო საფეხურის მოსწავლეები ცოდნას აგებენ ინდივიდუალურად, წყვილში, ჯგუფებში მუშაობით, საშინაო თუ საკლასო დავალებებით, კლასგარეშე აქტივობებით, რომელიც შესაბამისად, ფასდება განსხვავებული შეფასების რუბრიკებით და განმავითარებელი შეფასებით, რაც საბოლოო ჯამში გვაჩვენებს მოსწავლის წარმატებას დინამიკაში. სკოლა მოსწავლეს ხედავს სხვადასხვა კონტექსტში და ცდილობს მის წარმოჩენას/ შეფასებას. შეფასების დროს გათვალისწინებულია ყველა ინდივიდუალური ფაქტორი (შესაძლებლობები, უნარები, გამოცდილებები, წინაპირობები, პიროვნულობა , თვითგანსაზღვრა და სხვა)“ პედაგოგებმა ინტირვიუს დროს ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ მოსწავლეთა ხელშეწყობის მიზნით იქმნება სოციალური თუ კოგნიტურად ხელსაყრელი გარემო სასწავლო პროცესში; ამისათვის ფორმალურთან ერთად იყენებენ არაფორმალურ აქტივობებს, მაგ.: ექსკურსიებს, გასვლით გაკვეთილებს, იწვევენ სტუმრებს და სხვა.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება სკოლას ეხმარება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაში და სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებაში, სწავლის უნარების დეფიციტის იდენტიფიცირებასა და გაუმჯობესების გზების მოძიებაში; კათედრებზე დამკვიდრებულია მოსწავლეთა შეფასებისას დროისა და სივრცის გათვალისწინება, მთელი რიგი ფაქტორებით, რომლებსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე (მოსწავლის პიროვნულ თუ ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე). მონაცემების შეგროვებისთვის საბახო საფეხურზე მასწავლებლები იყენებენ ღია და დახურული ტიპის ტესტებს, კომპლექსურ დავალებებს, პროექტებს, აანალიზებენ საშინაო თუ საკლასო დავალებებს, რაც იძლევა მკაფიო სურათს მოსწავლეთა პროგრესისა და მიღწევების შეფასებისთვის.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. სასკოლო-სასწავლო გეგმისა და სკოლის თვითშეფასების ფორმის მიხედვით მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, შეფასებისას მასწავლებელი ხედვის სხვადასხვა პერსპექტივებსა და მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს. ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე, მაგალითად, მოსწავლის სიტუაციის შესწავლისას შემფასებელი (დამრიგებელი, მასწავლებელი, დირექცია) მხედველობაში იღებს იმას, რომ ბავშვის მდგომარეობაზე გავლენას ახდენს, არამარტო ოჯახი, მასწავლებლები და მეგობრები, არამედ მშობლების სამსახური, მშობლების სამეგობრო, სანათესავო, თემი და ა.შ. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ და იყენებენ კონსტრუქტივიზმის პრინციპებს და დიფერენცირებულ მიდგომის მეთოდებს. სკოლას აქვს გამოცდილება და სამომავლო ხედვა. მოსწავლის შეფასებისას მასწავლებელი ცდილობს სრული სურათი შეიქმნას მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შესახებ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
2. საბაზო საფეხურის კურიკულუმი
3. სკოლის თვითშეფასების ფორმა
4. სასკოლო-სასწავლო გეგმა

განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

X შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინტერვიურებისას როგორც აღნიშნეს, პედაგოგებს აქვთ კურიკულუმის შექმნისა და რევიზიის გამოცდილება. ისინი თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მსჯელობენ კურიკულუმის მიხედვით განხორციელებული აქტივობების ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე, ახდენენ მის განზოგადებას. ასევე, სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითერებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობით განხორციელებული შეფასების საფუძველზე ადგენს იმ საჭიროებებს, რომელთა დადებითად გადაჭრა გააუმჯობესებს სასწავლო პროცესს. შეფასების შედეგები და რეკომენდაციები კი გათვალისწინებული იქნება მომდევნო წლის კურიკულუმის შექმნისას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლის წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანს, რომ „კურიკულუმის შემუშავება და მისი სრულყოფა არის ციკლური პროცესი. მასზე მასწავლებლების მიერ მუშაობა მიმდინარეობს მუდმივ რეჟიმში. გადამუშავებული კურეკულუმის შემუშავების დროს მასწავლებლები ითვალისწინებენ როგორც თავად მათ მიერ კურიკულუმების გადამუშავების დროს მიღებულ გამოცდილებას ისე სხვა მასწავლებელთა მიერ გაზიარებულ გამოცდილებას. აღნიშნულის საფუძველზე იქმნება გადამუშავებული კურიკულუმი.“ ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა ;დანართი N8
- დანართი N135; სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი
- ინტერვიუს შედეგები
- კათედრის სხდომის ოქმი

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

X შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმი)	Xშეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	X შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, სადაც განსაზღვრულია სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები, კურიკულუმის განვითარების ეტაპები, კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, გამიჯნულია კურიკულუმის შემუშავების და განხორციელების პროცესში სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ფუნქციები. მეთოდოლოგია ასევე ითვალისწინებს განვითარების ისეთ მნიშვნელოვან პრინციპს, როგორიცაა მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობა და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები. კურიკულუმის შემუშავების პროცესში გამახვილებულია ყურადღება კონცეპტუალურ ჩარჩოზე, კურიკულუმის დიზაინზე, დანერგვის ინსტრუმენტებზე შუალედურ სასწავლო მიზნებზე, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაციაზე, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციებსა და კურიკულუმის განვითარების პროცესში მონაწილეობის ფორმებზე.
   მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ისინი სასწავლო წლის დაწყებამდე იკრიბებიან, განიხილავენ გასული სასწავლო წლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ცდილობენ დაგეგმონ კურიკულუმის ისეთი ჩარჩო, რომელშიც აღმოფხვრილი იქნება წინა სასწავლო წლის პრობლემები. ასევე, კურიკულუმის დაგეგმვისას თანამშრომლობენ სხვადასხვა საგნობრივი ჯგუფების მასწავლებლებთან, კურიკულუმის ირგვლივ მსჯელობენ კათედრების სხდომებზე და საბოლოოდ კურიკულუმის დაგეგემვისას მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მასწავლებელთა შეხედულებები და მოსწავლეთა შესაძლებლობები. იმის გათვალისწინებით რომ მშობელი სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილია აქტიურად თანამშრომლობენ მათთან, ხვდებიან მათ, მშობელთა კრებებზე აცნობენ კურიკულუმში გაწერილ შუალედურ და გრძელვადიან მიზნებს, იღებენ მათგან უკუკავშირს. სკოლა სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების შემუშავებამდე გეგმავს პედაგოგებისთვის, მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის შეიმუშავოს გამოკითხვის ფორმა, რაც ხელს შეუწყობს ახალ სასწავლო წელს კურიკულუმის გაუმჯობესებული ვარიანტის შემუშავებას.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია.
2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში სკოლა ითვალისწინებს და კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ ამ პროცესს ხელი შეუწყო წინასწარ დაგეგმილმა შეხვედრებმა კათედრის წევრებთან

და მშობლებთან. კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ ისინი მოიცავენ მოსწავლეთა ინტერესების სფეროებს. ასევე აღინიშნა, რომ ითვალისწინებენ მოსწავლეთა შედეგების ანალიზს, რა იყო მათთვის ყველაზე საინტერესო და რაზე გაუჭირდათ მუშაობა. მოსწავლეთა ინტერესების და დიფერენცირებული მიდგომების საფუძველზე მასწავლებლები ქმნიან და ავითარებენ სასკოლო კურიკულუმს, რითაც სასკოლო კლიმატი ხდება მეტად უსაფრთხო და პოზიტიური. სკოლაში განხორციელებულია არაერთი საინტერესო პროექტი, რის დამადასტურებლადაც წარმოდგენილი იქნა მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტებისა და შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სსიპ-ქალაქ თბილისის N60 საჯარო სკოლის საშუალო საფეხურზე კურიკულუმებზე მუშაობის პროცესი ციკლურია, პროცესის თანამონაწილეები არიან სხვადასხვა კათედრები, მასწავლებლები, მოსწავლეები, რიგ შემთხვევებში - მშობლებიც; მასწავლებლები პროცესის მიმდინარეობისას ეყრდნობიან წინა წლის გამოცდილებას და ახორციელებენ მოდიფიცირებას მშობელთა და მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია

4. სსიპ-ქალაქ თბილისის N60 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმის თემატიკა მორგებულია თითოეულ ინდივიდზე და ითვალისწინებს თანამედროვე სასკოლო საზოგადოების საჭიროებებს; პრიორიტეტების განისაზღვრება სხვადასხვა კათედრების შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი ხარვეზების/ მიღწევების მიხედვით; ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში, საშუალო საფეხურზე, ტარდება მოსწავლეების მშობლებთან შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც მშობლებს დამრიგებლების მხრიდან მიეწოდებათ ინფორმაცია სასწავლო პროცესში არსებული სიახლეების შესახებ; მშობლები ეცნობიან წინასწარ გაწერილ კომპლექსური დავალების ეტაპებს, კათედრებზე მომზადებულია კომპლექსური დავალების ბარათები, რომელთაც კლასის დამრიგებელი უზიარებს მშობლებს, პირისპირ ან/და ონლაინ ფორმით; სოციალურ ქსელში, (როგორიცაა Teams-ის და Facebook-ის ჯგუფები თითოეული კლასისთვის, მშობლებისთვის და თანამშრომლებისთვის). სკოლის გვერდზე, პერმანენტულად ხდება გაზიარება კათედრებზე განხორციელებული აქტივობების, რომელიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის/თემისთვის, გარდა ამისა, შექმნილია კლასის (დახურული) ჯგუფები, რომელშიც დამრიგებლები, ყოველდღიურ რეჟიმში აზიარებენ სიახლეებს, განხორციელებული/განსახორციელებელი აქტივობების ნუსხას, მიზნობრივ რეკომენდაციებს/სტატიებს აღმზრდელობით საკითხებსა და ბავშვთა ფსიქოლოგიის შესახებ; აგრეთვე, სკოლას აქვს ბლოგი, რომელიც განახლების ეტაპზეა. სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც მუდმივად ხდება საინტერესო/სახალისო აქტივობების ნუსხის განახლება, მოსწავლეთა ნამუშევრების, ნახატების გამოფენა;
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმი
2. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია

3. სკოლის თვითშეფასების ფორმა
4. სასკოლო-სასწავლო გეგმა
5. 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა

2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ქმნის მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების შესაძლებლობას იმდენად, რამდენადაც თემატური დაგეგმვისას გათვალისწინებულია საშუალო საფეხურის სტანდარტით მოცემული სავალდებულო თემები და ტექსტები, სავალდებულო ტექსტებთან ერთად შერჩეულია პარალელები ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურიდან, რათა საკმაოდ რთული პროგრამა მოსწავლისთვის მოსაწყენი და ერთფეროვანი არ აღმოჩნდეს. როგორც ამბობენ, ცდილობენ, მოსწავლეებს მსოფლიო ლიტერატურული პროცესის კონტექსტში გააზრებინონ ქართული ლიტერატურა. ზემოაღნიშნულის მაგალითად დაასახელეს ,,ვეფხისტყაოსნის“ სწავლებისას გამოყენებული მიდგომები. კერძოდ, ტექსტის სწავლებისას მოიძიებენ ამავე ჟანრის უცხოენოვან კლასიკას, უვითარებენ ტექსტების შედარებითი ანალიზის უნარებს, ეხმარებიან მოსწავლეებს, აღმოაჩინონ მსგავსება-განსხვავება.

X-XII კლასებისათვის, შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესების დაგეგმვასა და განვითარების გზას. წარმოდგენილ ჩარჩოებში სასწავლო წლის განმავლობაში შუალედური მიზნები იმგვარადაა გაწერილი, რომ ზედმიწევნით პასუხობს ესგ-ის მიერ საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ ინდიკატორებს. წარმოდგენილ ჩარჩოებში ნათლად ჩანს სამიზნე ცნების მისაღწევი გზები.

კურიკულუმში წარმოდგენილი თემები, თემების შესაბამისი საკითხები და საკითხთა კლასტერი, კომპლექსური დავალებები, საგანმანათლებლო აქტივობები, რესურსები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და გამოცდილების გააქტიურებაზე. რაც კარგად ჩანს საშუალო საფეხურის საგნის კურიკულუმებში. გასაუბრებისას გამოიკვეთა რომ საშუალო საფეხურის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ კურიკულუმი არის მოსწავლზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზა. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე, უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. გრძელვადიანი მიზნების, ე.წ გლობალური ფუნქციური უნარებისა და საგნობრივი ცოდნის კავშირი წარმოჩენილია საგნობრივი კურიკულუმის იმ ნაწილში, სადაც სასწავლო თემები დაკავშირებულია მოსწავლისთვის ნაცნობ სიტუაციებთან, მაგალითად, პიროვნული არჩევანი და პრინციპები, პიროვნული და ეროვნული თავისუფლება და ა.შ. მასწავლებლების თქმით, ამგვარი სასწავლო თემები თავისთავად უწყობს ხელს მოსწავლეებში კრიტიკული, მოქალაქეობრივი უნარების განვითარებას, საკუთარი და სხვა ერების კულტურის დაფასებასა და პატივისცემას. ამასთან, საგანთა ინტეგრირება (მაგალითად, ქართული ლიტერატურა და ისტორია, მოქალაქეობა, ხელოვნება...), რისი გამოცდილებაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ისე ზეპირი რეფლექსიით, ხაზს უსვამს, რომ ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაზე ზრუნვა კათედრისთვის მნიშვნელოვანია.
–წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოების მთავარი ფოკუსი სამიზნე ცნებებია, რომლებიც წარმოადგენენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კომპლექსური დავალების პირობები/მონახაზები 2023-2024 წლის კურიკულუმის ჩარჩოებიდან, ისეა შერჩეული, ჩამოყალიბებული, რომ უნდა იწვევდეს მოსწავლეებში ისეთი ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას, როგორიცაა შემოქმედებითი აზროვნება, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია. თემების ფარგლებში მუშავდება ყველა ცნება. სწორად აქვთ შერჩეული ასევე საკითხები, მოსწავლეებს ისეთი პროდუქტების შექმნას სთავაზობენ, მაგალითად, მე–10 კლასელებს კანონის არსის გაცნობას და გააზრებას,რაც გამოიწვევს შემოქმედებით და კრიტიკულ აზროვნებას. შემოქმედებით ,ასევე კრიტიკულ აზროვნებას განავითარებას გამოიწვევს, მაგალითად მეათე კლასელებისათვის ისტორიაში შეთავაზებული კომპლექსური დავალების პირობა: მუზეუმის და ექსპონანტების დათვალიერება და ჩანაწერების შესრულება, რომელიც ერთგვარი გამოწვევაცაა მისთვის, რადგან მოსწავლემ დავალებაში წარმოჩენილი ამოცანა/პრობლემა ორიგინალურად, შემოქმედებითად, საკითხზე ორიენტირებულად უნდა გადაწყვიტოს წარმოდგენილ კურიკულუმებში სამიზნე ცნებები (ქვეცნებები), თემები, საკითხები, რესურსები იძლევა შესაძლებლობას პროცესი იყოს ორიენტირებული ფუნქციურ კომპონენტურ უნარებზე, კერძოდ მე-10 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეა „სამუხრუჭე მანძილის გამოთვლა“ მიემართება შემდეგ ფუნქციურ უნარებს: შემოქმედობითობა, კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ნებელობა. ასევე სხვა კომპლექსური ბუნების დავალებებში სხვადასხვა კლასებისათვის. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმში სასწავლო პროცესის დიფერენცირების რეალურ მცდელობაზე მეტყველებს რამდენიმე ფაქტორი:
ა) სასწავლო თემების შერჩევისას მოსწავლეთა ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება; ბ) მოდიფიცირებული და კლასის საჭიროებასა და წინარე გამოცდილებას მორგებული კომპლექსური ბუნების რამდენიმე დავალება; გ) ინდივიდულური სასწავლო გეგმები, რომელთა საფუძველზეც ირკვევა, რომ კათედრის წევრებს შეუძლიათ, განსაზღვრონ სასწავლო მიზნები სსსმ მოსწავლეებისთვის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით; მასწავლებლების წინარე გამოცდილება და მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების ანალიზის უნარი ცხადყოფს, რომ შეუძლიათ სასწავლო პროცესი დაგეგმონ ისე, რომ გამოიყენონ დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები.
კომპლექსური დავალებებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ დავალების პირობა ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვს სხვადასხვა არჩევანი , საბოლოო პროდუქტიც მრავალფეროვანია. ამ მსჯელობას ამყარებს კათედრასთან ინტერვიუ, რომლის დროსაც მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში, სხვადასხვა აქტივოების, პროექტების განხორციელების დროს, ითვალისწინებენ მოსწავლეთა შესაძლებლობებს, საჭიროებებს და იმის მიხედვით ახდენენ დავალების პირობის, აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენცირებას. ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს

ეძლევთ შესაძლებლობა მოსწავლეებს შესთავაზონ სასწავლო მიზნებისა და საგნობრივი საკითხების/შინაარსების გააზრებისთვის მრავალფეროვანი მეთოდები (მაგალითად მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ სასწავლო პროცესში იყენებენ სხვადასხვა ვიდეო და აუდიო დამხმარე მასალას).

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს. აღნიშნულის დამადასტურებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ სკოლის მიერ წარმოდგენილი ი.ს.გ, ადაპტირებული კომპლექსური დავალებები და კურიკულუმის დაგეგმვისას დიფერენცირეული სწავლების გამოყენება.
კურიკულუმში გათვალისწინებული კომპლექსური დავალებების პირობა , კრიტერიუმები და აქტივობები ფორმულირებულია ისე რომ ფარავს ცოდნის სამივე კატეგორიას და აგებულია მარტივიდან რთულისკენ. გათვლილია სხვადასხვა მზაობის მოსწავლეებისათვის. გარდა ამისა კომპლექსური დავალების წარმოდგენილი ნიმუშები მოსწავლეს აძლევს აირჩიოს მისთვის სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის ფორმა, რაც დიფერენცირებული მიდგომის ელემენტებია . ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების გრძელვადიან მიზნებთან მიმართება ჩანს კათედრის მიერ თითოეული საფეხურისთვის (დაწყებითი, საბაზო, საშუალო) მტკიცებულებად ატვირთული შეფასების რუბრიკების ნიმუშებში. საანალიზოდ სკოლამ წარმოადგინა როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. რუბრიკებში შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენებისა და საგნობრივი სტანდარტის თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგებიდან. მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, რა მოეთხოვება მოსწავლეს კონკრეტული დავალების შესრულებისას. კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა ზუსტად ეხმიანება ამავე დავალების პირობაში მოცემულ მოთხოვნებს, რაც ადასტურებს, რომ მოსწავლისთვის თავიდანვე ნათელია, რა ცოდნის წარმოჩენა ევალება.
ინტერვიუსას მასწავლებლებმა ხაზი გაუსვეს, რომ ისინი იყენებენ ასევე სიტყვიერ განმავითარებელ კომენტარებს/შეფასებებს სწავლების პროცესში. მათ აღნიშნეს, რომ განმავითარებელი კომენტარის გაკეთებისას ცდილობენ ჯერ დადებითი ასპექტები წარმოაჩინონ, შემდეგ კი გასაუმჯობესებელ მხარეზე ისაუბრონ. მათთვის მნიშვნელოვანია მოსწავლის მიმღებლობა განმავითარებელი შეფასების მიმართ.
წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია განმავითარებელი შეფასების ნიმუშები, რომელიც ეყრდნობა ეროვნული სასწავლო გეგმის ტაქსონომიას. რომლებიც ზოგად წარმოდგენას ქმნის დაწყებითი საფეხურის ფარგლებში შეფასების აღნიშნული ტიპის წარმოების წესზე. განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები ისეა ჩამოყალიბებული რომ ხელს უწყობს სასწავლო პროცესში მიმდინარეობისას სხვადასხვა სახის მეთოდური ორიენტირების გამოკვეთას. გულისხმობს მოსწავლის მხრიდან შესრულებული სამუშაოს აღწერას და წარმოდგენილი ნაშრომის გასიტყვებას და შეფასებას.
შეფასების რუბრიკების შექმნაში მონაწილეობენ მოსწავლეებიც და მათ წინასწარ იციან ის კრიტერიუმები , რომლითაც შეფასდება მათი დავალება.
უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული რუბრიკები შუალედურ მიზნებთან მიმართებით ნამდვილად ვალიდური შეფასების ინსტრუმენტია, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით განზოგადებულ რუბრიკებზე. იმის გათვალისწინებით, რომ სკოლას აქვს გამოცდილება შექმნას განმავითარებელი შეფასების რუბრიკა შუალედურ დავალებასთან მიმართებით, აღნიშნული კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია. ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. კურიკულუმის შედგენისას წინარე გამოცდილება გათვალისწინებულია იმ თვალსაზრისით, რომ 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებისას მასწავლებლები დაეყრდნენ წინა სასწავლო წელს, კომპლექსური დავალებების დანერგვა-განხორციელების პროცესში მიღებულ გამოცდილებას. შეიტანეს დავალებები, რომელთა შექმნის პროცესშიც მოსწავლეებმა განსაკუთრებული ინტერესი და მოტივაცია გამოავლინეს. მართალია, კათედრას დოკუმენტური სახით არ წარმოუდგენია პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, თუმცა გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ ეფექტიანი თანამშრომლობის კულტურა, აანალიზებენ მოსწავლეების ნამუშევრებს, გამოყოფენ მიღწევებსა თუ ტიპურ ხარვეზებს და ერთად გეგმავენ სამომავლო აქტივობებს.
გასაუბრებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი დაგეგმვის პროცესში ურთიერთთანამშრომლობენ და ერთმანეთთან განიხილავენ მიღწეულ შედეგებს, დაგროვილ გამოცდილებას.(იხილეთ,კათედრის სამოქმედო გეგმა,ოქმები) ისინი მსჯელობენ რომელმა აქტივობამ თუ დავალებამ რა შედეგი გამოიღო, როგორ მოხდა მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, მათი მოტივაციის ამაღლება და უკეთესს შედეგებზე გასვლა. ისინი იყენებენ ერთმანეთის მიერ დანერგილ „წარმატებულ“ აქტივობებსაც.
ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს რომ კურიკულუმის შევსებისას თანამშრომლობენ კათედრაზე. გაითვალისწინეს საგნის სწავლების წარმატებული გამოცდილება და ასახეს კურიკულუმის ჩარჩოში.
ჩატარებული კომპლექსურების ანალიზით და მიღებული შედეგების გათვალისწინებით იგეგმება შემდეგი კომპლექსური დავალება,რომელიც მორგებულია შესაბამისი უნარებსა და გამოცდილებას. მოსწავლეთა დავალებების შეფასების და ანალიზის საფუძველზე მასწავლებელი კათედრის წევრებთან, ერთობლივად მუშაობს მომდევნო წლის კურიკულუმზე. აღნიშნული კრიტერიუმის დამდასტურებლად, შეგვიძლია მივიჩნიოთ დაწყებით საფეხურზე ოთხი წლის შემაჯამებელი ოქმი, სადავ განხილულია მიღწეული შედეგები და შედეგებზე დაყრდნობით მიღეულია გადაწყვეტილებები მომავალში სამოქმედოდ.ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმი
- პროექტი
- ინდ.გეგმები
- თვითშეფასების ფორმა
- ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

X შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება
2.2.1 სასწავლო პრ.ოცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1 სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2.ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3.სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმში წარმოდგენილია რამდენიმე კომპლექსური დავალება. პროდუქტები, რომლებიც უნდა შექმნას მოსწავლემ, მოითხოვს ტექსტების სიღრმისეულ ანალიზს, კონცეპტუალური საკითხების გააზრებას, ინტერპრეტირებას, დამოკიდებელი მოსაზრების ჩამოყალიბებას, ჟანრის სტრუქტურის, ენობრივი თავისებურებების ცოდნას და გამოყენებას, რაც, ბუნებრივია, ხელს უწყობს მოსწავლის აქტიურ და შემოქმედებით პროცესში ჩართვას. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ და შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სასწავლო პროცესში განხორციელებული პროექტები, სასკოლო კლუბები და სასკოლო კურიკულუმში გაწერილი შუალედური მიზნები ხელს უწყობს მოსწავლეს აქტიურად ჩაერთოს შემოქმედებით პროცესებში. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.
2. კონსტრუქტივისტული სწავლების ერთ-ერთი მთავარი პრინციპი წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ახალის შენებაა. სწორედ აღნიშნული პრინციპის მიხედვით არის შექმნილი საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი ჩარჩო კურიკულუმები, სადაც შუალედური მიზნები (კომპლექსური დავალებები) იმგვარად არის შერჩეული და გადანაწილებული, რომ მოსწავლეს აძლევს მიღებული ცოდნის გამოყენების საშუალებით ახალი ცოდნა შეიძინოს. ცოდნის კონსტრუირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი სასწავლო თემების მოსწავლისთვის ნაცნობ, შინაარსიან კონტექსტებთან დაკავშირებაა, რაც მას წინარე ცოდნის საფუძველზე ახლის აგებაში ეხმარება. წარმოდგენილ

კურიკულუმში ეს პრინციპი დაცულია იმ თვალსაზრისით, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა შინაგანი მზაობა და ინტერესები. მეორე მხრივ, საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები გულისხმობს სხვადასხვა ქვეცნებებისა და ქვესაკითხების შესწავლას და გაერთიანებას, რაც ცოდნათა დაკავშირების მაგალითია. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები იმ თვალსაზრისით, რომ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების პრეზენტაციის ეტაპი თავისთავად მოითხოვს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, როგორ შეასრულა დავალების კრიტერიუმები. მასწავლებლებლებმა აღნიშნეს, რომ დოკუმენტური სახით არ წარმოუდგენიათ, მაგრამ მიმდინარე აქტივობების ფარგლებშიც სისტემატურად უსვამენ მოსწავლეებს ე.წ პროცედურულ შეკითხვებს, რომლებიც გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა ინსტრუქციის შესასრულებლად. მასწავლებლები აცნობიერებენ, რომ მეტაკოგნიტური უნარების დასახვეწად საჭიროა თვითშეფასების ინსტრუმენტების გამოყენება და გეგმავენ ამ მიმართულებით პრაქტიკის გაუმჯობესებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპები ცოდნის სამ კატეგორიას - დეკლარატიული, პირობისეული და პროცედურული- აერთიანებს. საშუალო საფეხურზე, წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. კონკრეტული თემის ფარგლებში გააქტიურებული საგნობრივი ქვესაკითხების მაგალითზე წარმოაჩინეს, როგორ წარმოუდგენიათ დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული შინაარსის შეკითხვების საშუალებით მოსწავლეებს სიღრმისეულად შეასწავლონ საკითხი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების პრინციპი საგნობრივ კურიკულუმში წარმოჩენილია იმ თვალსაზრისით, რომ თემის ფარგლებში შესწავლილ განსხვავებულ საგნობრივ საკითხებს მოსწავლე ერთმანეთთან აკავშირებს და საბოლოოდ ერთ შემოქმედებით პროდუქტში აერთიანებს. ერთ-ერთ ინსტრუმენტად გამოყენებულია კომპლექსური დავალება. X-XII კლასების კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მოსწავლისაგან მოითხოვს საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით და ცოდნის მობილიზებით შექმნას პროდუქტი, რაც თავის მხრივ ადასტურებს იმას, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საგნობრივი კურიკულუმები საშუალო საფეხურისათვის

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგნობრივი კურიკულუმები შედგენილია საგნობრივი სტანდარტების გათვალიწინებით, რაც თავის მხრივ გულისხმობს საშუალო საფეხურის სამიზნე ცნებების, მკვიდრი წარმოდგენებისა და თემის ფარგლებში მისაღწევი შედეგების გათვალისწინებას. შუალედური მიზნები იმგვარად არის შერჩეული, რომ სასწავლო წლის განმავლობაში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება და ქვეცნება. აგრეთვე, სასწავლო წლის განმავლობაში შემოთავაზებული თემები და ქვესაკითხები ეხმარება მოსწავლეს სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბებაში. კონტექტმაგალითების შერჩევისას გათვალისწინებულია როგორც საშუალო საფეხურის სავალდებულო პროგრამა, ისე მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. იკვეთება, რომ მასწავლებლები ცდილობენ, დამატებითი თემები, სასწავლო ტექსტები, დოკუმენტური ფილმები დაამუშავონ საკლასო პროექტების ფარგლებში, რათა საშუალო საფეხურის მკაცრად განსაზღვრულმა პროგრამამ მოსწავლეების მოტივაცია არ დააქვეითოს. ამდენად, სტანდარტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. წარმოდგენილ კურიკულუმში სასწავლო თემებისა და საგნობრივი საკითხების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ემოციური და ფსიქოლოგიური მზაობა. მაგალითად, პიროვნული არჩევანი, ადამიანის პასუხისმგებლობა ერისა და სახელმწიფოს წინაშე, სიყვარული და მეგობრობა და ამ თემებთან დაკავშირებული ტექსტები, მოსწავლის ცხოვრებისეული კონტექსტებია და მათზე მსჯელობა მნიშვნელოვანია მისი პიროვნული ზრდისა და ემოციური განვითარებისთვის. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები და სასკოლო პროექტები საშუალებას მისცემს მოსწავლეს ამოიცნოს საკუთარი ემოციები, ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, გააცნობიეროს სხვების პოზიცია და გამოხატოს ემპათია (თანაგრძნობა) სხვების მიმართ, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს. გარდა საგნობრივი კურიკულუმისა, სასკოლო გეგმის ზოგად ნაწილშიც ხაზგასმულია, რომ სკოლისთვის ჯანსაღი სასწავლო გარემოს ნაწილია მოსწავლის პიროვნული და ფსიქოემოციური განვითარება. ამდენად, სტანდარტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. ირკვევა, რომ კათედრის წევრები აცნობიერებენ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობას, შეფასება ინტეგრირებულია სასწავლო პროცესთან და მოსწავლის ყოველდღიური პროცესის განუყოფელი ნაწილია. მასწავლებლები იყენებენ როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას; აკვირდებიან, აანალიზებენ მოსწავლის პროგრესს. სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია შეფასების ორივე ტიპის აღწერა მიზნების, ამოცანების და კრიტერიუმების მიხედვით. კათედრა ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეკომენდაციებს სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვასთან დაკავშირებით, შერჩეული აქვს შესაბამისი ინსტრუმენტი. ამდენად, სტანდარტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები იძლევა საშუალებას, დაისკვნას, რომ მოსწავლეები ფასდებიან სანდოობისა და სამართლიანობის პრინციპის გათვალისწინებით. მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლა ირჩევს შეფასების სამკომპონენტიან მოდელს საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი ქულების გამოყენებით. კათედრა აცნობიერებს, რომ თითოეული შეფასება უნდა დააყრდნოს ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან კრიტერიუმებს და აქვს რეალისტური გეგმა ამ მიმართულებით. ამდენად, სტანდარტის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
5. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგ საკითხებს: შერჩევის მექანიზმი (რისკების სისტემა); ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი; ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები; ვერიფიკაციის პროცედურა (დასკვნა, დასკვის განხილვა, სამოქმედო გეგმა და ა.შ). დეტალურადაა გაწერილი თუ როგორ ხდება ვერიფიკაციის პროცესი, შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა, ვალიდაციის წესი და პროცედურა. საშუალო საფეხურზე კათედრები უფრო სპეციფიური მექანიზმებით მუშაობენ, კერძოდ, როგორც განმსაზღვრელი ისე განმავითარებელი შეფასება გვაძლევს მოსწავლის მრავალმხრივ შეფასების შესაძლებლობას; მრავალკომპონენტიანობა და სხვადასხვა წყაროზე დაფუძნებული შეფასება მოსწავლის შესაძლებლობების მრავალმხრივ გაანალიზებაში ეხმარება მათ. მოსწავლის შეფასება ხელმისაწვდომია მშობლებისთვის (ინდივიდუალურად), ინფორმაციის გაზიარება მშობლებისთვის შესაძლებელია როგორც სემესტრის განმავლობაში (დაინტერესების შემთხვევაში, მოსწავლის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოვლენა/გაღრმავების მიზნით), ისე სემესტრის ბოლოს; შეფასებისას, კათედრები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებს, აანალიზებს მის მიღწევებს და შეიმუშავებს მხარდაჭერის მექანიზმებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

6. თითოეული დოკუმენტი, რომელშიც მოსწავლეზე რაიმე ინფორმაციაა დაფიქსირებული, მათ შორის პირადი საქმეები, განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება და ა.შ. ინახება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, სკოლის კანცელარიაში. მოსწავლეთა მობილობის განხორციელების დოკუმენტაციის განთავსება ხდება ორგანიზებულად. სკოლაში ჟურნალების მონიტორინგზე განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირი, რომელიც გარკვეული პერიოდულობით, განვლილი სასწავლო წლის ბოლოს, აარქივებს ყველა დოკუმენტაციას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შეფასების ვერიფიკაცია
2. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
3. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი
4. საშუალო საფეხურის კურიკულუმები.
5. თვითშეფასების ფორმა
6. სასკოლო სასწავლო გეგმა
7. კათედრების ოქმები;
8. სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
9. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა;

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
5. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
6. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მხარდამჭერ და მიმღებლობით სასწავლო გარემოს. კურიკულუმზე მუშაობისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები, იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, გამოიყენება სწავლების უნივერსალური დიზაინი, იგეგმება და ხორციელდება სასკოლო თუ საკლასო ღონისძიებები, არაფორმალური განათლება მოსწავლეს უჩენს ნდობის, დაცულობის, მიმღებლობის განცდას. ამას ადასტურებს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერაზე ორიენტირებული თანამშრომლობა. მასწავლებლებს შორის ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, რჩევების მიცემა და გამოცდილების გაზიარება. პედაგოგების მიერ კოლეგების მიმართ გაცემული უკუკავშირი ძირითადად პროგრესსა და განვითარებაზეა ორიენტირებული. ახალბედა კადრის მიმართ კოლექტივის მიმღებლობა დადებითი და კონსტრუქციულია. წარმოდგენილი დოკუმენტაციით აგრეთვე დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვისაც საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. ეს ყველაფერი, კი მხარდამჭერი და პოზიტიური გარემოს დასტურია.
   ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. სწავლა ხორციელდება მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე. კომპლექსური დავალებების შესრულებისას გათვალისწინებულია მოსწავლის შესაძლებლობები, რა შეუძლია მას. სკოლა ახორციელებს სხვადასხვა სახის სასწავლო პროექტებს, ატარებს ღონისძიებებს და გეგმავს ექსკურსიებს. მშობლებში,

მოსწავლეებსა და მასწავლებლებში პერიოდულად ხორციელდება მოსაზრებებისა და საჭიროებების გამოკითხვა და ანალიზი. სწავლება მიმდინარეობს კომპლექსური დავალებების მეშვეობით, რომლებიც ორიენტირებულია მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე. სასწავლო პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე, რომლის ნებისმიერი აზრი მისაღები და წახალისებულია მასწავლებლის მიერ. ამ დროს მოსწავლე აქტიურია, ხოლო მასწავლებელი ასრულებს ფასილიტატორის როლს. ის მოსწავლესთან ერთად გეგმავს სასწავლო პროცესს, აძლევს მას დავალებების არჩევის შესაძლებლობას. სკოლას გააზრებული აქვს, რომ საშუალო საფეხურზე მნიშვნელოვანი ასპექტია მოსწავლის საჭიროების მუდმივი მონიტორინგი, ამიტომაც, სამომავლოდ ამ მიმართულებით გეგმავს მეტად გააქტიურებას. კერძოდ, მასწავლებლები ჩაატარებენ გამოკითხვებს, საჭიროების კვლევას და სხვ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. სკოლაში არის მეგობრული, ურთიერთთანამშრომლობაზე დაფუძნებული გარემო. ტარდება ურთიერთდასწრების გაკვეთილები, მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას. პედაგოგების მიერ კოლეგების მიმართ გაცემული უკუკავშირი განვითარებაზეა ორიენტირებული. გადაწყვეტილების მიღებისას იკვეთება გუნდურობა და კოლეგიალურობა. მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესი, პასუხისმგებლობის დელეგირება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის, დანერგილი კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტი სკოლის წარმატებული გამოცდილებაა. სკოლა მზადაა, შეინარჩუნოს თანამშრომლობითი გარემო სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის მხრიდან სკოლისადმი მიკუთვნებულობის განცდის მდგრადობისა და საერთო წარმატებისთვის.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა უზრუნველყოფს სკოლაში არსებულ პოზიტიურ კლიმატს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საშუალო საფეხურის კურიკულუმი
2. პროექტები, საკლუბო მუშაობა, არაფორმალური განათლება;
3. სასკოლო პროექტი
4. ურთიერთდასწრების რეფლექსიები
5. სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა (2023-2024);
6. საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
7. საჯარო სკოლის სტარტეგიული განვითარების გეგმა;
8. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
9. კათედრის სხდომის ოქმები;

10. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

X შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

4. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
5. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
6. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია თუ როგორ ხორციელდება კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტის თანახმად კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და მონიტორინგი ამ პროცესის უწყვეტი ნაწილია, ჩამოყალიბებულია შესაბამისი კითხვები, რომელთა ანალიზი კურიკულუმის მონიტორინგისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების საშუალება იქნება. ასევე იგეგმება მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება, რაც ასევე კურიკულუმის შეფასების საფუძველი იქნება. კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების რამდენიმე ფორმა არსებობს საშუალო საფეხურზე, მათ შორის კომპლექსური დავალების ანალიზი, რომლის დროსაც მასწავლებელი აღრიცხავს მოსწავლეთა შედეგებს კომპლექსურიდან კომპლექსურამდე, ასევე თემატური მატრიცის ან კომპლექსური დავალების გაუმჯობესების გზებსა და რეკომენდაციებს. აღნიშნული შეფასება სასწავლო წლის ბოლოს წარედგინება კათედრებს, სადაც ხდება თითოეული მასწავლებლის მოსაზრებისა და რჩევის გაზიარება და გათვალისწინება შემდეგი სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. სკოლაში არსებული მონიტორინგისა და შეფასების ფორმები სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებასა და მხარდაჭერაზეა ორიენტირებული. 2022-2023 წლებში განხორციელებულმა პრე და პოსტ ტესტებმა გამოკვეთა სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა და დახმარება ამ მიმართულებითაც. კათედრების წევრებისა და დირექციის თანამშრომლობით, მონიტორინგი და შეფასება წარიმართება როგორც მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებით ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით, ისევე სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებით, პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებითა და სკოლის ინსტიტუციური განვითარებით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. სკოლაში ფუნქციონირებს სწავლის პროცესის/ ხარისხის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმი, რომლიც ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; სკოლაში ინტენსიურად ხორციელდება სწავლების ხარისხის მონიტორინგი, მოსწავლეების შედეგების კვლევა და ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების მოძიება/დანერგვა. სკოლაში მონიტორინგი ემსახურება პრობლემების იდენტიფიცირებასა და წარმატების გაზომვას. მიმდინარე სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს მონიტორინგის მექანიზმის კიდევ უფრო ეფექტურად/მიზნობრივად ამოქმედდებას, რაც შეაფასებს მიღწევებს და ასევე გამოკვეთს მიმართულებებს, სადაც საჭიროა დახმარება/მხარდაჭერა. სკოლა გეგმავს გაძლიერებას ხარისხის განვითარების ჯგუფის მუშაობის მეთოდოლოგიის დახვეწისა და გამრავალფეროვნების მიმართულებით.
ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
2. საშუალო საფეხურის კურიკულუმი
3. პროექტები, საკლუბო მუშაობა , არაფორმალური განათლება
4. სკოლის თვითშეფასების ფორმა
5. სასკოლო - სასწავლო გეგმა
6. საგნობრივი კათედრების ოქმები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა შეფასება ხდება სხვადასხვა წყაროების დახმარებით. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა ძლიერი მხარეების წარმოჩენას და სუსტი მხარეების გაუმჯობესებას. მოსწავლეთა შეფასება ხდება, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებით. მოსწავლეებს აფასებენ, როგორც ტესტებით და დამოუკიდებელი დავალებებით, ისე სხვადასხვა სახის პროექტებით და პრეზენტაციებით. რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ახერხებენ შეაფასონ საკუთარი კვლევის, ცოდნის გამოყენების და პრეზენტაციის უნარები. შეფასების ეს შესაძლებლობა ეხმარება მოსწავლეებს განუვითარდეთ დამოუკიდებლად აზროვნებისა და პრობლემის გადაჭრის მნიშვნელოვანი უნარები. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სკოლა სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესის მონიტორინგს და შეფასებებს ძირითადად მასწავლებელთა გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების საფუძველზე აკეთებს. ინტერვიუს პროცესში გასაუბრებიდან და წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში სკოლას მშობლებთან პირდაპირი კომუნიკაციის გამოყენების პრაქტიკაც გააჩნია. მოსწავლეების შეფასება არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომპლექსური დავალების საბოლოო პროდუქტის შეფასებაზე, არამედ, მოსწავლის შეფასება ხდება კომპლექსური დავალების მიმდინარეობის დროს, სხვადასხვა აქტივობების საშუალებით.

   ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2. მოსწავლეთა მრავალმხრივი კონტექსტით შეფასებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებას. საშუალო საფეხურზე გამოყენებულია მოსწავლეთა მიღწევების იდენტიფიცირებისთვის ისეთი ტიპის დავალებები, რომელიც იძლევა სურათს მოსწავლის მრავალმხრივი განვითარების შესახებ. საშუალო საფეხურის მოსწავლეები ცოდნას აგებენ ინდივიდუალურად, წყვილში, ჯგუფებში მუშაობით, საშინაო თუ საკლასო დავალებებით, კლასგარეშე აქტივობებით, რომელიც შესაბამისად, ფასდება განსხვავებული შეფასების რუბრიკებით და განმავითარებელი შეფასებით, რაც საბოლოო ჯამში გვაჩვენებს მოსწავლის წარმატებას დინამიკაში. სკოლა მოსწავლეს ხედავს სხვადასხვა კონტექსტში და ცდილობს მის წარმოჩენას/შეფასებას. შეფასების დროს გათვალისწინებულია ყველა ინდივიდუალური ფაქტორი (შესაძლებლობები, უნარები, გამოცდილებები, წინაპირობები, პიროვნულობა , თვითგანსაზღვრა და სხვა)“ პედაგოგებმა ინტირვიუს დროს ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ მოსწავლეთა ხელშეწყობის მიზნით იქმნება სოციალური თუ კოგნიტურად ხელსაყრელი გარემო სასწავლო პროცესში; ამისათვის ფორმალურთან ერთად იყენებენ არაფორმალურ აქტივობებს, მაგ.: ექსკურსიებს, გასვლით გაკვეთილებს, იწვევენ სტუმრებს და სხვა.

   ინდიკატორი შესაბამისობაშია.

3. შეფასებისას მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება სკოლას ეხმარება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებაში და სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებაში, სწავლის უნარების დეფიციტის იდენტიფიცირებასა და გაუმჯობესების გზების მოძიებაში; კათედრებზე დამკვიდრებულია მოსწავლეთა შეფასებისას დროისა და სივრცის გათვალისწინება, მთელი რიგი ფაქტორებით, რომლებსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე (მოსწავლის პიროვნულ თუ ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე). მონაცემების შეგროვებისთვის საშუალო საფეხურზე მასწავლებლები იყენებენ ღია და დახურული ტიპის ტესტებს, კომპლექსურ დავალებებს, პროექტებს, აანალიზებენ საშინაო თუ საკლასო დავალებებს, რაც იძლევა მკაფიო სურათს მოსწავლეთა პროგრესისა და მიღწევების შეფასებისთვის.

   ინდიკატორი შესაბამისობაშია.

4. სასკოლო-სასწავლო გეგმისა და სკოლის თვითშეფასების ფორმის მიხედვით მოსწავლის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, შეფასებისას მასწავლებელი ხედვის სხვადასხვა პერსპექტივებსა და მოსწავლეზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს. ყველაფერი რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს შედეგზე, მაგალითად, მოსწავლის სიტუაციის შესწავლისას შემფასებელი (დამრიგებელი, მასწავლებელი, დირექცია) მხედველობაში იღებს იმას, რომ ბავშვის მდგომარეობაზე გავლენას ახდენს, არამარტო ოჯახი, მასწავლებლები და მეგობრები, არამედ მშობლების სამსახური, მშობლების სამეგობრო, სანათესავო, თემი და ა.შ. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ და იყენებენ კონსტრუქტივიზმის პრინციპებს და დიფერენცირებულ მიდგომის მეთოდებს. სკოლას აქვს გამოცდილება და სამომავლო ხედვა. მოსწავლის შეფასებისას მასწავლებელი ცდილობს სრული სურათი შეიქმნას მოსწავლის ფსიქო-ემოციური მდგომარეობის შესახებ.

ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია
2. საშუალო საფეხურის კურიკულუმი
3. სკოლის თვითშეფასების ფორმა
4. სასკოლო-სასწავლო გეგმა
5. განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

X შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგნობრივი კათედრები მუდმივად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციას კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების შესახებ; მათი მიგნებების, დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობების ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების შესახებ. ასევე მსჯელობენ კურიკულუმში, სამიზნე ცნებებზე გასასვლედად საჭირო თითოეული აქტივობის განხორციელების მნიშვნელობასა და მიზნობრიობაზე. მთელი სასწავლო წლის განმავლობაში თითოეული საგნობრივი კათედრების მიერ მოხდება განხორციელებული კურიკულუმის რევიზია და ანალიზი. სასკოლო საზოგადოება საუბრების და მსჯელობის მეშვეობით განიხილავენ განვლილ სასწავლო წელს. ინტერვიუს დროს ასევე აღინიშნა, რომ ამ პროცესების განხილვა ხორციელდება უმეტესწილად ზეპირსიტყვიერად, საუბრების საშუალებით და ახალი სასწავლო წლიდან მოახდენენ მათ სრულყოფილ დოკუმენტირებას.. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

2.. ინტერვიურებისას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლა, შედეგების გათალისწინებით გეგმავს, რომ კურიკულუმი იყოს მოსწავლეზე ორიენტირებული, გამოყენებული იქნას სწავლების დიფერენცირებული მიდგომები და გამდიდრებული იყო მრავალფეროვანი რესურსებით. სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა;
- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა; დანართი N8
- ინტერვიუს შედეგები
- კათედრის სხდომის ოქმი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

X შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

22.11.2023
თარიღი